საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
9 – 15 მარტი, 2011
№8 (99)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

4 «ვარდების რევოლუციამ» საქართველო აშშ-ის მორჩილ დანამატად აქცია

თამაზ წივწივაძე:
6 ბებია–თქვენისამ!

გურამ ოდიშარია:
აფხაზეთში, კვადრატული მეტრები კი არა, ადამიანები
9 უნდა დავიბრუნოთ

დავით თევზაძე:
10 ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული არმიის, უწინარესად, დიქტატორს უნდა ეშინოდეს

SOS: ქართან
16 სოცაგენტია!

5

ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ უნდა მიუძღოდეს წინ „ქამარშემოჭერილი“ სამინისტროების მიერ ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილ სარიტუალო გვირგვინებს („ვენოკებს“) — უშუალოდ მინისტრები თუ თავად პრეზიდენტი...



## წინ მინისტრები, უკან ვენოკი, და სექტემბრამდე რა ვჭამოთ, მიშა?!

მეუფე იობი:
18
## აფხაზები, ოსები... მე ისინი მიყვარს!

ბურჯანაძემ და ნოღაიდელმა სააკაშვილს ხელისუფლებაში ყოფნა 11 გაუხანგრძლივეს

ფსიქოლოგიის პროფესორი ხელისუფლებას გენოციდში 12 ადანაშაულებს



ალექსანდრე ლუკაშენკო:
„სააკაშვილმა ოპოზიციის მანიფესტაცია სასტიკად ჩაახშო. თქვენ კი მასთან ურთიერთობებს განაგრძობთ. რატომ? იმიტომ, რომ სააკაშვილი თქვენი ძაღლიშვილია“
*Washington Post*

## საქართველოს პრეზიდენტს ძაღლიშვილი 2 უწოდეს

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„WIKILEAKS"-ის თანახმად, სააკაშვილი, რომელიც საჯარო განცხადებებში და (სავარაუდოდ) ქართულ-ბელარუსული მოლაპარაკებების დროს ხაზგასმულ პატივისცემას აფიქსირებდა, ზურგს უკან ლუკაშენკოზე საუბრობდა ისე, თითქოს ის იაფფასიანი პოლიტიკური მეძავია**

## ბაჟ*ურ*ნალისტები



**მიხეილ სააკაშვილი,** საქართველოს პრეზიდენტი:

1 სექტემბრიდან მინიმალური პენსია 100 ლარს გაუტოლდება, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიას 7 ლარი დაემატება, ხოლო სოციალურად დაუცველებისთვის - 30 ლარი და 15-ლარიანი სადაზღვევო ვაუჩერი. ეს ნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების პენსია სამომხმარებლო კალათის ადექვატური იქნება.

*„პირველი"*



**ედუარდ შევარდნაძე,** ექს-პრეზიდენტი:

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ძალიან მაშფოთებს ბურების ამბავი. არ ვიცი, ადამიანი, რომელმაც მათი ჩამოყვანის გადაწყვეტილება მიიღო, ან გენიოსია, ან სულელი. ისინი ან ქვეყნის ასაშენებლად ჩამოიყვანა, ან დასაღუპად. ვეჭვობ, არ აგვაშენებენ. ასეთი ნაბიჯები საპროტესტო კოეფიციენტით ეგვიპტეს ნამდვილად გვაახლოებს!

*„ასავალ-დასავალი"*



**სოსო ცისკარიშვილი,** ექსპერტი:

ზედიზედ იკრიბება გაერო, იკრიბება ევროსაბჭო, ინტენსიურად იმართება ნატოს სხდომები, საქართველოს ხელისუფლება კი მორცხვად დუმს. ერთი აუგი არ დასცდენიათ ან მუბარაქზე, ან კადაფიზე. არადა, როგორ უყვართ ხოლმე სხვა შემთხვევებში „საერთაშორისო მარაქაში" გარევა. რას ნიშნავს ეს?

*„კვირის პალიტრა"*



**ირაკლი მელაშვილი,** ექსპერტი:

უეცრად იწყება საუბარი უცხოელების მხრიდან, რომ თურმე მთლად კარგად არ ყოფილა ქართულ ბიზნესში საქმე, ამ თემაზე განსაკუთრებულ აქცენტს ამერიკელები აკეთებენ. ამერიკელების მხრიდან პირველად დაისვა საკითხი, რომ თურმე საქართველო ნარკოტრაფიკის გზაა; უკაცრავად და, ამ გზას ვინ მეთვალყურეობს?

*„კვირის ქრონიკა"*

# რატომ უწოდა ლუკაშენკომ სააკაშვილს ძაღლიშვილი?!

**„არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოპოზიციის მანიფესტაცია სასტიკად ჩაახშო. თქვენ კი მასთან ურთიერთობას განაგრძობთ. რატომ? იმიტომ, რომ სააკაშვილი თქვენი ძაღლიშვილია", — განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ „Washington Post"-თან საუბარში. კარგი იქნება, თუ ის ქართველი ტელეექსპერტები, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინათ აღგზნებულად საუბრობდნენ სააკაშვილი-ლუკაშენკოს სტრატეგიული ალიანსის შესაძლებლობაზე, ამ ციტატას დღეში სამჯერ, ხმამაღლა, გამოთქმით, როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯგუფურად წაიკითხავენ; იმედია, ეს გარკვეულ თერაპიულ ეფექტს იქონიებს. ისე, საინტერესო კია, რატომ თქვა ლუკაშენკომ ასეთი რამ?!**



### THEIR SON OF A BITCH „თქვენი ძაღლიშვილი"

— ორმაგად შეურაცხმყოფელი გამონათქვამია (სხვათა შორის, ქართული თარგმანი „son of a bitch"-ის უხერხულ ქვეტექსტს ოდნავ არბილებს). ჩვეულებრივ, „ადამიანურ" ასპექტს თავი რომც დავანებოთ, მას მძიმე პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. **„ჩვენი ძაღლიშვილი"** თავის დროზე პრეზიდენტმა რუზველტმა ნიკარაგუის დიქტატორს — ანასტასიო სომოსა გარსიას უწოდა. ამის შემდეგ ეს ეპითეტი საზიზღარი, თუმცა ვაშინგტონის მიმართ ლოიალური დიქტატორების დახასიათებისთვის გამოიყენება.

არადა, სააკაშვილი ბოლო დროს უაღრესად თბილად საუბრობდა ბელარუსის ლიდერზე, გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში კი ისე სწრაფად მიულოცა, ალბათ, ლუკაშენკოს ოჯახის წევრებსაც დაასწრო; მაშინ, როდესაც დანარჩენი მსოფლიო ფეხს ითრევდა, ხოლო ლუკაშენკოს გამარჯვების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ იდგა. მაგრამ **ლუკაშენკომ სააკაშვილი ინაუგურაციაზე არ დაპატიჟა, გასულ კვირას კი ალიყური უთავაზა.**

**ერთის შეხედვით, მისი ქცევა უხეში და უცნაური ჩანს, თუმცა, სავარაუდოდ, მას ჰქონდა სერიოზული მიზეზი სააკაშვილის გულწრფელობაში ეჭვი შეეტანა.**

„WikiLeaks"-ის „ქართულ დოსიეში" არის ერთი საინტერესო დოკუმენტი, აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის დეპეშა, რომელიც აღწერს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის — ალექსანდრ ვერშბოუს საუბარს მიხეილ სააკაშვილთან (და მისი გარემოცვის წევრებთან); შეხვედრა გასული წლის ოქტომბერში გაიმართა.

ციტატა: **„სააკაშვილმა ბელარუსის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესაძლო აღიარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა. სააკაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ლუკაშენკოსა და პუტინის პოზიციები მნიშვნელოვნად განსხვავდება და სთხოვა, აშშ-ს ბელარუსის „სტაფილო შესთავაზოს",** რათა ამ აღიარებას ხელი შეუშალოს.

**„ძირითადი მოტივაცია ლუკაშენკოსთვის,** — თქვა მან, — **არის ფული, ხოლო რუსეთის მთავრობა კომპენსაციას სთავაზობს. სააკაშვილმა ივარაუდა, რომ ნებისმიერი წინადადება დასავლეთის მხრიდან, განსაკუთრებით კი, „IMET"-ის** (სამხედრო განათლებისა და წვრთნის საერთაშორისო პროგრამა. — რედ.) **აშშ-ის მხრიდან, მინსკში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენას შესაძლებელს გახდის. ბელარუსი ყურადღებით ადევნებს თვალს აშშ-ის მოქმედებას და ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის ბოლოდროინდელი ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპაში აღიარების შესახებ გადაწყვეტილების შეფერხების მიზეზი გახდა. ბელარუსი კრემლის ალტერნატივას ეძებს, ხოლო ლუკაშენკოს ისეთი ვინმე სჭირდება, ვინც მას რეფორმების „გზას უჩვენებს". მინისტრის მოადგილემ ვერშბოუმ გამოთქვა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ლუკაშენკო დაინტერესებულია რეფორმებით, თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რომ ლუკაშენკო სავსებით აცნობიერებს, გრძელვადიან პერსპექტივაში რომ ვერაფერს მოიგებს, თუ რუსეთი კონტროლს გააძლიერებს".**

ძნელი ამოსაცნობი არაა, რა ხასიათზე დადგებოდა ლუკაშენკო ამ აბზაცის წაკითხვის შემდეგ. **„WIKILEAKS"-ის თანახმად, სააკაშვილი, რომელიც საჯარო განცხადებებში და (სავარაუდოდ) ქართულ-ბელარუსული მოლაპარაკებების დროს ხაზგასმულ პატივისცემას აფიქსირებდა, ზურგს უკან ლუკაშენკოზე საუბრობდა ისე, თითქოს ის იაფფასიანი პოლიტიკური მეძავია** („შესთავაზეთ სტაფილო", „მისთვის ძირითადი მოტივაცია ფულია" და ა.შ.). გამორიცხული არაა, რომ მსგავსი დამოკიდებულების დადასტურება ლუკაშენკომ, „WikiLeaks"-ის გარდა, სხვა, უფრო კომპეტენტური, წყაროებიდანაც მიიღო.

საერთოდ, ეს დეპეშა მთლიანობაში საკმაოდ სახალისო შთაბეჭდილებას ტოვებს: გამოცდილი დიპლომატი ვერშბოუ მეტწილად ზრდილობიანად დუმს, ხოლო მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო პოლიტიკაზე ისეთი გაქანებით მსჯელობს და ისეთი მასშტაბის რჩევებს აძლევს, რომ მკითხველს შეიძლება უნებლიეთ ელდარ რიაზანოვის ცნობილი კომედიიდან ერთი ფრაზა გაახსენდეს: „Тут товарищ из самодеятельности по столам чечетку бил..."

არის კიდევ ერთი თვალშისაცემი მომენტი: **ამ დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმის ნაცვლად, რომ ურთიერთობები ბელარუსთან ორმხრივ საფუძველზე აეგო** (აქედან სარგებლის მიღება ნამდვილად შეიძლებოდა), **სააკაშვილმა მათში მესამე ძალის** (აშშ-ის) **ჩარევა სცადა და მინსკელ პარტნიორს განიხილავდა, როგორც მანიპულაციის ობიექტს; ამას კი „პატიოსან თამაშს" ნამდვილად ვერავინ უწოდებს.** გამორიცხული არაა, რომ ამით სააკაშვილმა სასურველის ნაცვლად დიამეტრალურად საპირისპირო შედეგი მიიღოს და ლუკაშენკომ სეპარატისტული რეგიონების აღიარებასთან დაკავშირებით თავის ფრთხილ და ზომიერ პოზიციას გადახედოს. ასეთ პოლიტიკას, ჩვეულებრივ, არაფრისგან პრობლემების შექმნას უწოდებენ.

**საინტერესოა, რა განწყობა ეუფლება ქართველ საზოგადოებას, როდესაც მისი სახელმწიფოს პირველ პირს სხვის ძაღლიშვილად მოიხსენიებენ?**

**საინტერესოა, რა განწყობა ეუფლება ქართველ საზოგადოებას, როდესაც მისი სახელმწიფოს პირველ პირს სხვის ძაღლიშვილად მოიხსენიებენ?**

მოკლედ

## გაერომ ლიბია დასაჯა



გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ლიბიას ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობა შეუჩერა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაეროს ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. მათ რეზოლუციის მიღებისას შეშფოთება გამოთქვეს ლიბიაში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის გამო. მსგავსი რამ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს არსებობის ისტორიაში პირველად მოხდა. ლიბია საბჭოს წევრი ისევ გახდება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქ ძალადობა შეწყდება.

## კენედის მკვლელი არ შეიწყალეს

აშშ-ში უკვე მეთოთხმეტედ უთხრეს უარი ვადამდელ გათავისუფლებაზე ადამიანს, რომელსაც სენატორ რობერტ კენედის მკვლელობის გამო (1968 წელი) სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ასეთი გადაწყვეტილება პირობითი-ვადამდელი გათავისუფლების კომისიის წევრებმა მიიღეს. მათი აზრით, 66 წლის იორდანელი სირხან სირხანი ჩადენილ დანაშაულს სათანადოდ არ ინანიებს. ამის საპასუხოდ, კენედის მკვლელი აღნიშნავს, რომ ყოველდღიურად ღრმა სინანულს განიცდის. თუმცა მეხსიერების დაკარგვის გამო არ ახსოვს, თუ როგორ ესროლა კენედისა და კიდევ ხუთ ადამიანს.

რატომ მივიდა სააკაშვილი ტელეკამერების თანხლებით სამხედროებთან სწორედ ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ვერც დაფინანსების გაზრდას, ვერც (სიტყვაზე) ახალი შეიარაღების შეძენას ახარებდა, მაშინ, როდესაც, სავარაუდოდ, ესმოდა, რომ მისი შეხება სამხედრო კონტექსტთან უარყოფითი მოგონებების გააქტიურებას გამოიწვევდა?

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ბრძოლის ყიჟინა მოესმა

**„ჩემთვის მართლაც დიდი პატივია, ბიჭებო, თქვენთან ერთად სამშობლოს სამსახური, რადგან ჩვენ, ყველანი ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცები ვართ. ჩვენ არასოდეს ვწყვეტთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებზე ფიქრს, ზრუნვას და შეძლებისდაგვარად ხელის შეწყობას“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა სპეცრაზმელებთან სტუმრობის დროს. სააკაშვილს სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. საინტერესოა, რომ ბოლოს, მის გარდერობში მილიტარული ელემენტი, კერძოდ კი დაფოთლილი ჯავშანჟილეტი, 2008 წლის აგვისტოში, გორის ცენტრში ფიგურირებდა. რაც იქ მოხდა, ყველას მშვენივრად ახსოვს.

**საქართველოში, სავარაუდოდ, ცხოვრობს საკმაოდ ბევრი ადამიანი, რომელთათვისაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და მხედრულ სულისკვეთებაზე მოსაუბრე სააკაშვილის დანახვა სირცხვილის მძაფრ განცდას უკავშირდება.**

ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, ცნობილი „გარბენა“ გორში (და არანაკლებ ცნობილი მანიპულაციები ჰალსტუხით), რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ეს სააკაშვილისთვის, სავარაუდოდ, ათწლეულების განმავლობაში დარჩება იმის ნათელ მაგალითად, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს მთავარსარდალი და ქართველი მამაკაცი ზოგადად. **თუ სააკაშვილს ეგონა, რომ ის ეპიზოდი დავიწყებას მიეცა და მას თამამად შეუძლია სამხედრო ტანსაცმელში გამოჩნდეს და გოროზი განცხადებები აკეთოს, ის შეცდა; არავის არაფერი დავიწყებია.**

ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს „შეძლებისდაგვარად ხელშეწყობას“, გასული წლის ივლისში თავდაცვის სამინისტროში სტუმრობისას სააკაშვილმა თქვა: **„სამხედრო ბიუჯეტი ეკონომიკური კრიზისის გამო შევამცირეთ, მაგრამ ვეცდებით, რომ ეს პროცენტი უკან დაგიბრუნოთ“,** მაგრამ მან ეს დაპირება არ შეასრულა. 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში თავდაცვაზე 660 მილიონი ლარი გამოიყო. არანაირ „პროცენტის დაბრუნებას“ 2010 (744 მილიონ 550 ათასი ლარი) და მითუმეტეს 2009 (868 მილიონ 565,7 ათასი ლარი) წლებთან შედარებით ადგილი არ ჰქონია. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის ეს ფრთხილი „შეძლებისდაგვარად“ და მგზნებარე (თუ ცარიელი?) რიტორიკა „ფიქრსა და ზრუნვაზე“.

შეიძლება გაჩნდეს ლოგიკური კითხვა: **რატომ მივიდა სააკაშვილი ტელეკამერების თანხლებით სამხედროებთან სწორედ ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ვერც დაფინანსების გაზრდას, ვერც (სიტყვაზე) ახალი შეიარაღების შეძენას ახარებდა, მაშინ, როდესაც, სავარაუდოდ, ესმოდა, რომ მისი შეხება სამხედრო კონტექსტთან უარყოფითი მოგონებების გააქტიურებას გამოიწვევდა?** ამ კითხვაზე პასუხის ძებნა ოდნავ შორიდან უნდა დავიწყოთ.



## რატომ ვაგზავნით სულ უფრო მეტ ჯარისკაცს ავღანეთში? რისთვის იხოცებიან იქ ჩვენი ბიჭები?

ჯერ კიდევ ოქტომბერში, ავღანეთში ოთხი ქართველი სამხედროს დაღუპვის კვალობაზე „EurasiaNet“-ი წერდა: **„იმის მიუხედავად, თუ რას აკეთებს საქართველო ავღანეთში, მისი ნატოში გაწევრების პერსპექტივა ძალიან შორია. თუკი მსხვერპლის რაოდენობა გაიზრდება, ქართველებს შეიძლება სულ უფრო და უფრო აქტიურად გაუჩნდეთ კითხვა: რა არის ამ ომში კარგი?“.** სავარაუდოდ, უკვე მაშინ ამერიკელებმა იგრძნეს, რომ საქართველოში ავღანურ ოპერაციებში მონაწილეობის მიმართ ნეგატიური განწყობა ყალიბდება. ამის შემდეგ მსხვერპლიც გაიზარდა და უარყოფითი დამოკიდებულებაც გაძლიერდა, სოციალურ ქსელებში ეს ძალიან მკაფიოდ აისახება.

სპეცრაზმელების ბაზაზე სააკაშვილის გამოსვლის ძირითადი ნაწილი, შესაძლოა, ამ განწყობაზე რეაგირების მცდელობას წარმოადგენდა. **„სამწუხაროდ, ავღანეთში მსხვერპლი გვქონდა. გუშინ ვანში ბოლოს დაღუპული მებრძოლი დავკრძალეთ, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ შეიარაღებული ძალებისა და ჩვენი ქვეყნის თითოეული ასეთი დანაკარგი შეიარაღებული ძალებისთვის უნდა იყოს მეტი გაძლიერების და უფრო მეტი სულისკვეთების საწინდარი. საბოლოოდ, ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევდრკეთ. ჩვენი საქმე არის სამართლიანი — ეს ყველამ კარგად ვიცით“,** — განაცხადა სააკაშვილმა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმემ ამ სიტყვებში იპოვა პასუხი ძალიან მარტივ და, ამასთანავე, უაღრესად მნიშვნელოვან კითხვებზე: **რატომ ვაგზავნით სულ უფრო მეტ ჯარისკაცს ავღანეთში? რისთვის იხოცებიან იქ ჩვენი ბიჭები?**

ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ავღანურ ოპერაციებში მონაწილეობის აუცილებლობაზე საუბარი სააკაშვილს ამერიკელმა პარტნიორებმა ურჩიეს, რადგან გააცნობიერეს, რომ საქართველოში ეს ომი ძალიან არაპოპულარული ხდება. სხვა ქვეყნის მეთაური, რომელსაც შიშთან პრობლემები არ აქვს, ალბათ, ავღანეთშიც ჩავიდოდა (კოალიციის წევრი სახელმწიფოების ლიდერები სწორედ ასე იქცევიან) და ჯარისკაცებს (ირიბად კი მთელ საზოგადოებას) ადგილზევე გაამხნევებდა, თუმცა სააკაშვილს ამის გაკეთება დღემდე აზრად არ მოსვლია, და ამის მიზეზი, ალბათ, არც ისე რთული ამოსაცნობია. **გამორიცხული არაა, რომ ამერიკელები ავღანეთში ჩასვლას მალე ისეთი დაჟინებით ურჩევენ, რომ სააკაშვილი უარს ვერ ეტყვის. იმედია, ამ შესაძლო ვიზიტის დროს სააკაშვილს არ მოეჩვენება, რომ მას ყოველი მხრიდან გამძვინვარებული თალიბების მასა უტევს, ისე, როგორც ეს გორში ჰიპოტეტურ რუსულ თვითმფრინავთან დაკავშირებით** (სავარაუდოდ) **მოხდა, ყველაფერი ზედმეტი ექსცესების გარეშე ჩაივლის.** თუმცა კითხვა „რას ვაკეთებთ ავღანეთში?“ ნებისმიერ შემთხვევაში აქტუალური დარჩება.

### სულ ქვევით, ქვევით, დაბლა და დაბლა

**ყველაფერი დანარჩენი გასულ კვირას ძველებურად იყო. ისევ მძვინვარებდა ინფლაცია და უამრავი ადამიანი გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევას ცდილობდა. ჩვენი ქვეყნის დაბეჩავებული მდგომარეობა კვლავინდებურად აისახებოდა სხვადასხვა რეიტინგებსა და პუბლიკაციებში.**

როგორც „The Atlantic“-მა დაადგინა, მსოფლიოში (!) უმუშევრობის მაჩვენებლით (16,5%) მე-11 ადგილზე ვართ. ცოტა უფრო რთულადაა საქმე ერაყსა და ბოტსვანაში (17,5% და 17,6%), ცოტა უკეთ — იემენსა და ბურუნდიში (16,1% და 14%), ხორვატიასა და ტუნისში (14,8% და 14,2%). სინამდვილეში კი ჩვენი მდგომარეობა უფრო მძიმეა და ამას ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ მალავენ. ასე, 4 მარტს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში მიხეილ მაჭავარიანმა 16-პროცენტიან მაჩვენებელზე საუბრისას განაცხადა: **„რეალურად ეს ციფრი უფრო მაღალია“.** საიდუმლო არაა, რომ უამრავი „თვითდასაქმებულის“ გათანაბრება დასაქმებულებთან მხოლოდ ერთგვარი სტატისტიკური ფოკუსია და რეალური უმუშევრობის დონით საქართველო შესაძლოა „The Atlantic“-ის რეიტინგში პირველ ადგილზე გასულ მაკედონიასაც კი (33,8%) უსწრებს.

თავზარდამცემი ციფრები გასულ კვირას საკრებულოს დეპუტატმა ვიქტორ დოლიძემ გაახმიანა, როდესაც საზოგადოებას „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის“ 2010 წლის მონაცემები წარუდგინა: **მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით, საქართველო მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის 192-ე ადგილზეა. ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფო წლიურად 35 დოლარს ხარჯავს (ვინაიდან სააკაშვილს რუსეთთან შედარება უყვარს, აღვნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი რუსეთში 243 დოლარია). ევროპის 47 სახელმწიფოს შორის საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობა ყველაზე მაღალია. საინტერესოა, რა უნდა ვუწოდოთ ყოველივე ამას — „ჯანდაცვის რეფორმა“ თუ უბრალოდ „გენოციდი“?**

რეიტინგებთან დაკავშირებით ერთი საინტერესო რამ უნდა აღინიშნოს: **„ჯინის ინდექსის“ მიხედვით, უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის საქართველოში გაცილებით დიდია, ვიდრე ეგვიპტეში.** ამასთანავე, 2005-08 წლებში ჩვენთან დღეში 1,25 დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობდა მოსახლეობის 13,4%, ეგვიპტეში კი — 2%. ეს და ბევრი სხვა მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ **ეგვიპტელებს ჩვენზე გაცილებით უკეთესი ცხოვრება აქვთ. ამ მონაცემების გაცნობისას შეიძლება პარადოქსულადაც კი მოგვეჩვენოს, რომ ჰოსნი მუბარაქი, რომელსაც, სხვათა შორის, ტერიტორიები არ დაუკარგავს, უკვე ჩამოაგდეს, ხოლო მიხეილ სააკაშვილი ჯერჯერობით თავის სავარძელში ზის.** თუმცა კრიზისი საქართველოში მართლაც რომ არნახული ტემპით ღრმავდება და გამორიცხული არაა, რომ ეს სხვაობა ჩვენს ქვეყანასა და ეგვიპტეს შორის უახლოეს მომავალში აღმოიფხვრება.

**დიმიტრი მონიავა**

## გაფრაზებული



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს რიყეზე რომ არ გამოეყენებინა სპეცრაზმი, პირდაპირ ვამბობ — ჩვენ მას მშვიდობიანად ვამხობდით!

ამ სპეცრაზმელებმა და მათმა ოჯახებმა უნდა იცოდნენ ერთი რამ: როცა სააკაშვილი მოკურცხლავს საქართველოდან, ეგენი აქ დარჩებიან!

*„ასავალ-დასავალი“*



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:**

გამოდის, რომ სააკაშვილს ჰქონია სალაპარაკო, ათას სისულელეს რომ აბრეხვებს. ერთ-ერთი ბოლო გამოსვლისას საკუთარ შარვალზე რომ გვესაუბრა, ესაა საქმეზე ლაპარაკი?

*„ყველა სიახლე“*



**ლაშა ამირეჯიბი, „სახალხო კრების“ წევრი:**

მიშას ძალიან ბევრი ადამიანი ჰყავს გადასარჩენი, თავისი ოჯახის წევრები და უახლოესი ნათესავები, თორემ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებზე, პარლამენტარებზე და იმ ზონდერებზე, რომლებიც ხალხს ატერორებენ, საუბარი საერთოდ არ არის. მიშას ის მილიარდები აქვს დასაბინავებელი, რომელიც მან პრეზიდენტობის დროს ქვეყნის გაყიდვითა და ძარცვა-გლეჯით იშოვა.

*„კვირის ქრონიკა“*



**ლევან გაჩეჩილაძე, „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

დღეს მე რევანშისტი ვარ. არავის ეგონოს, რომ რაღაცრაღაცები გვავიწყდება და ვინმეს რამეს ვაპატიებთ, არავის არაფერს არ ვაპატიებთ. ეს ხალხი თავისი ფეხით წავა საგიჟეში ან ციხეში. სააკაშვილს ჰგონია, რომ საქართველოს ისტორია დაიწყო 2003 წელს, რომ მანამდე არ არსებობდა საქართველო, ბევრ ოპოზიციონერს ჰგონია, რომ იმ დროს დაიწყო საქართველოს ისტორია, როდესაც ის ხელისუფლებიდან ოპოზიციაში მოვიდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## პენტაგონის ახალი სათვალთვალო აპარატი

მაღალტექნოლოგიური მოწყობილობა „ნანო“ ჩვეულებრივ ჩიტს ჰგავს და მას ყველგან შეუძლია შეღწევა. აღნიშნული სათვალთვალო აპარატი საომარ ადგილებზე სადაზვერვო საქმიანობისთვის შეიქმნა. როგორც პროექტის ავტორები აცხადებენ, „ჩიტი“ უპილოტო თვითმფრინავების წარმოებაში ყველაზე წარმატებული პროექტია. მისი წონა სულ 19 გრამია და საათში 11 მილ სიჩქარეს ავითარებს. პენტაგონის დაკვეთით სადაზვერვო მოწყობილობა კალიფორნიაში შეიქმნა.



## სტრადივარიუსი — 100 ევროდ

ანტონიო სტრადივარიუსის 2,1 მილიონი ევროს ღირებულების უნიკალური ვიოლინოს მოპარვის შემდეგ ქურდებმა მისი 100 ევროდ გაყიდვა სცადეს. ირლანდიელმა ტურისტმა ჯონ მოგანმა 313 წლის ისტორიის მქონე ვიოლინო სამხრეთკორეელ მევიოლინე მინ-ჯიმ-კიმისგან იმ დროს მოიპარა, როდესაც გოგონა ლონდონის კაფეში სადილობდა. ქურდმა ვიოლინოს რეალური ღირებულება არ იცოდა. დამნაშავეები დააკავეს, მაგრამ ვიოლინოს კვალს ვერ მიაგნეს. მის დასაბრუნებლად ჯილდოდ 15 ათასი ევროა დაწესებული.

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დღეს საიდუმლი აღარ არის, რომ 2003 წლის მოვლენების უკან იდგნენ აშშ-ის გარკვეული წრეები (ძირითადად, რესპუბლიკელები) და მათ მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული პიროვნებები საქართველოში. ნათელია, რომ „ვარდების რევოლუციამ“ არაფერი სასიკეთო არ მოუტანა ქვეყანას და აშშ-ის მორჩილ დანამატად აქცია საქართველო, რომელსაც ერთადერთი დანიშნულება აქვს — რუსეთის გალიზიანება.**

### გიორგი ვეკუა:

# «ვარდების რევოლუციამ» საქართველო აშშ-ის მორჩილ დანამატად აქცია



**პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მომხდარ „ფერად რევოლუციებს“ არაბეთის ქვეყნებში „სისხლიანი რევოლუციები“ ჩაენაცვლა, რაშიც ასევე იკვეთება აშშ-ის აქტიური როლი. თუმცა რაღაც მომენტში, თუნდაც იმავე კადაფისთან დაკავშირებით, ამერიკამ ინიციატივა დაკარგა და ნათელი გახდა, რომ მსოფლიო ჟანდარმი გლობალურ პროცესებს ვერ აკონტროლებს. რამდენად გამოიკვეთა მსოფლიო მოვლენების ფონზე აშშ-ის რეპუტაციის რყევა, რეალურად რა გავლენა გააჩნდა მას ევროპაზე და რა ურთიერთობები აქვს დღეს აშშ-ს ზოგადად მსოფლიოსთან, ამის შესახებ ჩვენი რესპოდენტები ისაუბრებენ.**

**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გიორგი ვეკუა:**

— როგორც ჩანს, 13 თებერვალს ეგვიპტის პრეზიდენტის — ჰოსნი მუბარაქის თანამდებობიდან გადადგომა მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ეპოქის დაწყების უნებური მომასწავებელი გახდა. სხვათა შორის, მუბარაქის წინამორბედის — ანვარ სადათის მიერ 1979 წელს კემპ-დევიდის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლითაც გაფორმდა ზავი ისრაელთან, ასევე ახალი ეტაპის გაფორმება იყო ახლო აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში.

თითქმის 20 წელი აშშ და დასავლეთი ტკბებოდნენ სრული ძალაუფლებით ახლო აღმოსავლეთში. იქამდე მივიდა საქმე, რომ აშშ, ფაქტობრივად, საკუთარ შტატებად გადაქცევას უპირებდა ცალკეულ სახელმწიფოებს. ამერიკელები ერაყში შეიჭრნენ, თითქოსდა მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის საბაბით, დაამხეს სადამ ჰუსეინი, რომელსაც ერთ დროს უდიდეს დახმარებას უწევდნენ, და ბაღდადში ამერიკელი „მეფისნაცვალი“ დასვეს. კუვეიტში, ბაჰრეინში, ყატარში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, საუდის არაბეთში, ომანში, ერაყში, ავღანეთში ამერიკული სამხედრო ბაზებია განლაგებული.

**— რეალურად რა მიიღეს სანაცვლოდ არაბულმა სახელმწიფოებმა ამერიკისგან?**

— ამერიკის „იმპერიის“ ფრთებქვეშ ყოფნას არაფერი მოუტანია არაბული სახელმწიფოების მოსახლეობისათვის. მართალია, სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარ მონარქიებში ცხოვრების დონე მაღალია, მაგრამ, სამაგიეროდ, იქ დემოკრატია თითქმის არ არსებობს. შეიხები და პრინცები სიმდიდრეში იხრჩობიან და, მიუხედავად ისლამური ნორმების გარეგნულად მკაცრად დაცვისა, ხშირად საკმაოდ შორს დგანან ამ ნორმებისგან. ეგვიპტეში კი უმუშევრობა 43 პროცენტს აღწევს, მძვინვარებს კორუფცია, ბიუროკრატია, ამ დროს მდიდრები და სამთავრობო წრეების წარმომადგენლები ფეშენებელურ ვილებს იშენებენ ქაიროს გარეუბნებსა და საკურორტო ადგილებში.

**— რა წვლილი მიუძღვის არაბული ქვეყნების რევოლუციებში აშშ-ს და რა გახდა ამის საბაბი?**

— ვითარებაზე, რომელიც ახლა ახლო აღმოსავლეთშია, თავის დროზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ირანის ისლამურმა რევოლუციამ. ჯერ ლიბანში, შემდეგ კი პალესტინაში ძალზე გაიზარდა პროირანული რადიკალური დაჯგუფებების – „ჰეზბოლას“ და „ჰამასის“ ავტორიტეტი. განსხვავებით პროამერიკული რეჟიმებისგან, ისინი უკომპრომისოდ უპირისპირდებიან ისრაელს და მხარს უჭერენ პალესტინელთა ბრძოლას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად 1967 წლამდე არსებულ საზღვრებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ შეასრულა არაბი ლიდერებისადმი მიცემული დაპირებები, რომ პალესტინის სახელმწიფოს აღიარებაზე დაითანხმებდა ისრაელს. ამერიკელთა მიერ ორგანიზებული მოლაპარაკებები ისრაელსა და პალესტინის ავტონომიის ლიდერებს შორის, უკვე მერამდენე წელია, უშედეგოდ მიმდინარეობს. ისრაელი არანაირ დათმობებზე არ მიდის, აშშ-ის ადმინისტრაციას კი პოლიტიკური ნება არ აქვს, რომ ზეწოლა მოახდინოს თავის სტრატეგიულ პარტნიორზე.

მთლიანობაში, რამდენიმე ფაქტორმა – დასავლური ცხოვრების წესის მიუღებლობამ მუსლიმების მიერ, აშშ-ის მხრიდან ისრაელის შეუსუსტებელმა მხარდაჭერამ და პროამერიკული რეჟიმების კორუმპირებულობამ და უუნარობამ გამოიწვია სახალხო რევოლუციების მომწიფება არაბულ სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ „ფერადი რევოლუციების“ ტექნოლოგიები არაბულ ქვეყნებში მომხდარ მოვლენებშიც იყო გამოყენებული, ეს შეეხება სოციალური ქსელებით (Facebook, Twitter) საპროტესტო აქციების ორგანიზებას და ა.შ., მთლიანობაში, მოვლენათა საფუძველი სხვა იყო, ვიდრე თუნდაც საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციისა“. **დღეს საიდუმლი აღარ არის, რომ 2003 წლის მოვლენების უკან იდგნენ აშშ-ის გარკვეული წრეები (ძირითადად, რესპუბლიკელები) და მათ მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული პიროვნებები საქართველოში. ნათელია, რომ „ვარდების რევოლუციამ“ არაფერი სასიკეთო არ მოუტანა ქვეყანას და აშშ-ის მორჩილ დანამატად აქცია საქართველო, რომელსაც ერთადერთი დანიშნულება აქვს – რუსეთის გალიზიანება.**

თუმცა აშშ, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირის სხვა ქვეყნები ცდილობენ, საკუთარ ინტერესებში გამოიყენონ სახალხო გამოსვლები ისლამურ სამყაროშიც. ისინი შეეცდებიან, ხელისუფლების სათავეში მოიყვანონ „ახალი მუბარაქები“, ოღონდ დასავლური, ლიბერალური და დემოკრატიული შეფერილობით. თუ ეს არ გამოვიდა, მაშინ აშშ აამუშავებს ქაოსის გამოწვევის პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი ირანის, ჩინეთის ან დასავლეთის მოწინააღმდეგე სხვა ძალების გავლენის სფეროში არ აღმოჩნდეს.

### ბესარიონ გუგუშვილი:

# ამერიკამ ეგვიპტესა და ლიბიაში «მიშა» ვერ იპოვა!



**გვესაუბრება ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი:**

— დავიწყოთ იმით, რომ ძალიან მცდარი წარმოდგენებია, თითქოს ევროპაში ოდესმე პროამერიკული განწყობა არსებობდა. ამერიკამ საშინელებები ჩაიდინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში: უკანონოდ ხვრეტდნენ ხალხს, ყველა რეგიონს შეუსიეს „ჯაბა იოსელიანები“ და ეროვნულად მოაზროვნე ხალხზე 2-3 წლის განმავლობაში ნადირობა გამოაცხადეს. საფრანგეთში იმ დროისთვის ათი ათასობით ადამიანი უკანონოდ დახვრიტეს პროამერიკელმა ბანდიტებმა. როგორც საქართველოს „ბუა“ რუსეთია, ასევეა ევროპის „ბუაა“ ამერიკა. ალბათ, ატყობთ, სხვადასხვა პოლიტიკური კამათების დროს საფრანგეთი, გერმანია და ევროპის სხვა სახელმწიფოები როგორ იჭერენ რუსეთის მხარეს და არა ამერიკისას, თან ისე, რომ ამერიკას აწყენინონ. მაგალითად, მისტრალების მიყიდვაზე რომ არის საუბარი, რუსეთს ეს მისტრალები აბსოლუტურად არაფერში არ სჭირდება, მაგრამ ეს ჟესტია — შენ ხომ რუსეთს მტრობ, მე რუსეთს ვაიარაღებო.

ევროპას ამერიკა არ აწყობს, რადგან ევროკავშირი თვითონაა „ამერიკა“. ევროკავშირის მიზანი იყო, შეექმნა ამერიკის სადარი ინდუსტრიული და საბაზრო სტრუქტურა. ასეც მოხდა, დღეს ევროკავშირი უფრო ძლიერია (მანქანათმშენებლობაში და ა. შ.) ყველაფერში, ვიდრე აშშ. საქმე იქითკენ მიდის, რომ ამერიკა მსოფლიო ეკონომიკის პარაზიტად გარდაიქმნება ბოლოს. რაც უფრო მაგრად ეკვრის ამერიკას, მით უფრო ბრაზდება რუსეთი და თავში ურტყამს საქართველოს.

**— როგორ აფასებთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან ამერიკის ურთიერთობას?**

— კომუნისტურმა ბლოკმა ერთ დროს საშინელი დარტყმა მიაყენა და სასტიკად დაამარცხა ამერიკა ვიეტნამში, იქიდან ამერიკა ისე გარბოდა, როგორც დამფრთხალი ვირთხა. ეს იყო პერიოდი, როდესაც სოციალისტური ქვეყნები ზენიტში იყვნენ და, მაშინდელი გლობალიზმის თვალსაზრისით, რეჟიმები შექმნეს აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აზიაში, რომლის ნარჩენებს ახლაც ვხედავთ, მაგალითად კუბა და რიგი სხვა სახელმწიფოები. ისინი „ვარშავის აქტის“ საყრდენი იყვნენ, მაგრამ იმ პერიოდში დასავლეთი იძულებული იყო, ესენი აეტანა.

სადამ ჰუსეინს, კადაფს უამრავი საბჭოთა ორდენი და მედალი აქვთ, ისინი საბჭოთა კავშირის გმირები იყვნენ, ისევე, როგორც კასტრო. კასტრო საბჭოთა კავშირის „მიშა“ იყო. მიშა კი ამერიკის „კადაფი“ ან „მუბარაქია“.

სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, სომალი, ეგვიპტე და დანარჩენი მსგავსი სახელმწიფოების რეჟიმი 30-40 წლის წინათ შეიქმნა, როცა საბჭოთა იმპერია ყვაოდა. დრო გავიდა, საბჭოთა კავშირი დაინგრა და პირველი, ვინც რეორგანიზაციაში მოხვდა, იყო სომალი, სადაც საბჭოთა კავშირს უდიდესი ატომური წყალქვეშა ბაზა ჰქონდა და მთელ ინდოეთის ოკეანეს აკონტროლებდა. პირველი რევოლუციაც სწორედ აქ მოხდა და რა დღეშია დღეს სომალი, კარგად მოგეხსენებათ, ანუ ის პროცესი, რაც ახლა ხდება ეგვიპტესა და ლიბიაში, იქ, სომალიში, ოცი წლის წინათ დაიწყო. ამ ყველაფრით ის მინდა ვთქვა, რომ, რაც დღეს ხდება ჩრდილოეთ აფრიკასა და არაბულ ქვეყნებში, ეს არის მცდელობა იმ სისტემების დემონტაჟის, რომელიც ცივი ომის ზენიტში შეიქმნა და მისი დაშლის შემდეგ, ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით, იქ ამერიკას იდეოლოგიური დასაყრდენი არ ჰყავს და ვერც ეყოლება, მიუხედავად იმისა, რომ იქაური მთავრობა შეუძლია დაამხოს, დახვრიტოს, ჩამოახრჩოს. ამერიკამ იქ ვერ შექმნა ის, რაც უკრაინასა და საქართველოში, აქ, ორივეგან, მან მოასწრო პროდასავლური მონური, სატელიტური ძალების შექმნა, როგორიც იყო „მოქალაქეთა კავშირი“ საქართველოში და იუშჩენკოს მთავრობა — უკრაინაში. გარდა ამისა, დასავლეთმა მოახერხა და აქ იდეოლოგიური დასაყრდენები შექმნა, მაგალითად, თბილისში ნებისმიერ თინეიჯერს შუბლზე აწერია, რომ მას სურს ამერიკელობა, ირქმევს „გელფრენდს“ და „ბოიფრენდს“, არაბულ ქვეყნებში კი ასეთები თითზე ჩამოსათვლელია და მათზე დაყრდნობით სახელმწიფო იდეოლოგიას ვერ ჩამოაყალიბებს ამერიკა. ამერიკამ ამ სახელმწიფოში „პროამერიკული“ საზოგადოება ვერ შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აღარ არის დაინტერესებული ცივი ომის დროინდელი დიქტატურების შენარჩუნებით. ამის მაგალითია სომალი, იქ თავის დროზე „პროსაბჭოთა“ ხელისუფლების დამხობა მოხდა, მაგრამ ახალი ვერ შეიქმნა. ავიღოთ იგივე ავღანეთი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა წელიწადში 200 მილიარდ დოლარს „ახარჯავს“, მაინც ვერ აიგო რაიმე ბუდე. ამერიკა ვერც სომალიში და ვერც ერაყში ვერ პოულობს „მიშას“. თუნდაც ეგვიპტე ავიღოთ, ის რევოლუცია ამერიკის წამოწყებულია და ამაში ობამამ ნობელის პრემია აიღო ავანსად. მას გლობალიზატორებისგან საბჭოთა სისტემის 40 წლისწინანდელი ნარჩენი რეჟიმების დემონტაჟი ჰქონდა დავალებული. მართლაც, მათ ეგვიპტეში მუბარაქის გაგდება მოახერხეს, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა, მაშინ იქ ბურჯანაძე, სააკაშვილი და ჟვანია უნდა დასვას, სხვანაირად არაფერი გამოუვა, მაგრამ ეგვიპტეში არის კი „მიშა“?! არა! ეგვიპტეში იყო, არის და იქნება მხოლოდ სამხედროების დიქტატურა. ლიბიაშიც ის ამბები იმიტომ კი არ ხდება, რომ კადაფი, იგივე აფრიკის „ლენინი“, კარგია ან ცუდი, უბრალოდ, მათი დრო ამოიწურა, იმ სისტემის დრო აღარ არსებობს, რომელშიც ისინი შეიქმნენ, ამიტომ წამოიწყო ამერიკამ ეს ტალღისებური რევოლუციები.

**ეკა რობაქიძე**

**P.S. როგორც ხედავთ, განსხვავებული ხედვის მიუხედავად, ჩვენი რესპონდენტების პოზიციები ემთხვევა იმაში, რომ ხშირ შემთხვევაში თავის მიერ ინიცირებული მსოფლიო არეულობების მართვა აშშ-ს აღარ ძალუძს, მის რეპუტაციას საძირკველი მოერყა და ვაშინგტონი ინიციატივას დღითიდღე კარგავს. ეს კი ნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთში ინსპირირებული „მართვადი ქაოსი“ დღითიდღე ნამდვილ ქაოსად იქცევა და „არაბული სამყაროს“ ტვირთი ევროპას სერიოზულად დააწვება...**

ჯანდაცვის სამინისტრო კიდევ ერთი შესყიდვით გამოირჩევა და ვერონიკას სამინისტროს მიერ ბიუჯეტის ხარჯზე ნაყიდ HUGO BOSIS ქოლგასაც უკან იტოვებს, კერძოდ ყვავილების გვირგვინიც (გასაგებად რომ ვთქვა — „ვენოკი") კი ბიუჯეტიდან ამ სამინისტროს კვიტაშვილის მინისტრობის დროს ბიუჯეტიდან დაუფინანსებია. ამ ფაქტზე ყურადღებას საერთოდ არ შევაჩერებდი, რომ არა ის გარემოება, რომ, გვირგვინს ვინ ჩივის, კვიტაშვილმა ნეკროლოგის განთავსების ხარჯებიც კი ბიუჯეტს „შეაწერა"...

მხილება

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# წინ მინისტრები, უკან ვენოკი, 1 სექტემბრამდე რა ვჭამოთ, მიშა?!

**„საქართველო და მსოფლიომ" გასულ ნომერში, საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, შემოგთავაზათ მასალა რიგი სამინისტროების მიერ ათვისებული თანხებისა და ეკონომიკის სამინისტროს, მსუბუქად რომ ვთქვათ, უცნაური ხარჯების შესახებ. მკითხველი განსაკუთრებით გააკვირვა ამ სამინისტროს მიერ უჩვეულოდ დიდი ოდენობით ყავის მოხმარებამ და ბიუჯეტის ხარჯზე ცნობილი ბრენდის ძვირადღირებული ქოლგის შეძენამ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეკონომიკის მინისტრს უცნაურ ხარჯებში არც კულტურის, საგარეო საქმეთა და ჯანდაცვის მინისტრები უდებენ ტოლს და საბიუჯეტო სახსრებს ისეთ „მომსახურეობაზე" ხარჯავენ, როგორიცაა სარიტუალო გვირგვინის („ვენოკი") ან სულაც რვაათასლარიანი ტრიბუნის შეძენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ბიუჯეტი რიგი ჩინოვნიკებისთვის საკუთარი სახსრების დაზოგვის, უცხოეთის ძვირფას კურორტებზე ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ნებივრობის, ძვირადღირებული ავეჯის შეძენისა და ფუფუნების სხვა ელემენტებით საკუთარი თავის განებივრების საუკეთესო საშუალებაა.**



ასე, მაგალითად: **ენერგეტიკის სამინისტრო** პერიოდული ლიტერატურის შეძენისთვის კვარტალში 3748 ლარს იხდის. შეძენილ გამოცემებს შორისაა ჟურნალი „ენერგია", რომელსაც ენერგეტიკის სამინისტრო კავშირ „მეცნიერება და ენერგეტიკისგან" ყიდულობს. 16 ცალ ჟურნალში 800 ლარია გადახდილი, გამოდის, რომ ერთი ჟურნალი 50 ლარი ღირს. საინტერესოა, რა ხარისხისა და მნიშვნელობისაა ეს ჟურნალი, რომ ის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია და თანაც ენერგეტიკის სამინისტრო მის შესაძენად ამხელა თანხას ხარჯავს?! **რა კერძს ამზადებენ, უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ 2010 წლის პირველ კვარტალში ძვირადღირებული მიკროტალღური ღუმელი შეიძინა.**

ხოლო ამ უწყების სატელეფონო საუბრები (ქალაქის ტელეფონზე) კვარტალში 329 ათასი ლარი ჯდება; 79-არხიანი ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიწოდების მომსახურება კი — 4 055 ლარი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საწვავის **ულიმიტო მომსახურებით სარგებლობს.** 2010 წელს იგი 2006 წელს გამოშვებული BMW-730LI-ით სარგებლობდა. გიგა ბოკერიას კი მოადგილის თანამდებობაზე ყოფნისას 2005 წელს გამოშვებული ავტომანქანა „ფოლქსვაგენ ტუარეგი" ჰყოლია და თვეში 650 ლიტრ საწვავს აძლევდნენ. **საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებსა და მის ხელმძღვანელობას რეგიონებში სიარული არ უწევთ, საზღვარგარეთ კი, მოგეხსენებათ, ისინი ავტომანქანებით არ მიბრძანდებიან, საინტერესოა, რაში მოიხმარდნენ ისინი ამ რაოდენობის საწვავს ყოველთვიურად.**

**საგარეო საქმეთა სამინისტრომ შპს „ანისგან" 8004 ლარად ტრიბუნა შეიძინა.** ასეთი ტრიბუნით სარგებლობის ტრადიცია საქართველოს პრეზიდენტმა დანერგა, ერთხანობას სააკაშვილსა და ტრიბუნაზე ანეკდოტებსაც კი ყვებოდნენ. ამდენად, გასაგებია, რომ მის ხელქვეითებს, თუნდაც მიმბაძველობის სენიდან გამომდინარე, გასჩენოდათ სურვილი, ბრიფინგები სპეციალურ ტრიბუნასთან გაემართათ, მაგრამ **ყოვლად გაუგებარია, რა მასალისგან არის დამზადებული ტრიბუნა, რომელიც 8 ათას ლარზე მეტი ღირს?** როგორც ჩანს, საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ნაკლებფასიანი ტრიბუნიდან გაკეთებული განცხადებები „ქართული დიპლომატიის მორიგ გამარჯვებაზე" ნაკლებდამაჯერებლად ჟღერს, ამიტომაც არ „იძუნწეს" და ტრიბუნა ბარაქიანი შეუკვეთეს... **ვაშაძის უწყებაში ღვინოც ჰყვარებიათ. შპს „წინანდლის ძველ მარანს" მათ 2010 წლის 12 აპრილს 17360 ლარი ჩაურიცხეს ღვინის ჩამოსასხმელად.**

ქართველ კაცს ღვინო რომ უყვარდეს, დასაძრახი არაა, მაგრამ, ფასს რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა, ვის მიართვეს ძღვნად ღვინო, რომელიც 12 ქორწილს გადაიხდიდა?!

სარესტორნო მომსახურება ვაშაძის უწყებას 55 ათასი ლარი დაუჯდა, დელეგაციების მისაღები საღამოები — 17 ათასი, ჯეოსელის სატელეფონო მომსახურება — 137 ათას 48 ლარი, დელეგაციის ავტოტრანსპორტით მომსახურებაში კი გადახდილია 90 ათასი ლარი. როგორც ჩანს, სამინისტრომ რამდენიმე ლიმუზინი იქირავა და ასე მოატარა მთელი საქართველო უცხოელ სტუმრებს.

ძვირადღირებულ საჩუქრებსაც არ აკლებენ სტუმრებს ჩვენი დიპლომატები. **„მინანქრის ხელოვნების გალერეაში" შეძენილი საპროტოკოლო საჩუქრები 15800 ლარისაა, „ქართული მინანქრის ხელოვნებაში" — 43947, „ზარაფხანაში" — 10 ათასი, ჯულიეტა ფანჯიკიძისგან შეძენილი საჩუქარი კი — 8 ათასი ლარის. ათასლარიან საჩუქრებზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. რესტორან „კოპალაში" სტუმრების გამასპინძლება 15 ათასი ლარი დაჯდა, შპს „რაგბის სამყაროს" მიერ ორგანიზებულ გამასპინძლებაში 10 ათასი ლარი დაიხარჯა, „წისქვილში" ქეიფი — 5 ათასი ლარი, „ნიუ ფუდ სერვისის" მიერ ორანიზებული მისაღები საღამო — 10 ათასი ლარი, „ჯი ემ თი სასტუმროების" მიერ მოწყობილი საღამოს ორგანიზება — 5500 და 13500, „ახალი სასტუმროს" მიერ მისაღები საღამოს ორგანიზება — 29174.**

მოგეხსენებათ, საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლე ნინო ანანიაშვილი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელძღვანელია. ჰოდა, ხანდახან, როგორც ჩანს, მას მეუღლე ეხმარება. მაგალითად, **2010 წელს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს კულტურულ სანახაობითი ღონისძიებისთვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 10250 ლარი გადაუხადა, სასტუმროებით მომსახურებაში სხვადასხვა დროს — 65 ათასი ლარი...**

**საგარეოსგან განსხვავებით, ჯანდაცვის სამინისტრო ძვირადღირებული და ხშირი მივლინებებით არ გამოირჩევა.** სამაგიეროდ, შეძენილი ციფრული ტექნიკის ჩამონათვალით თუ ვიმსჯელებთ, ამ სამინისტროში ერთი სტუდია მაინც უნდა ჰქონდეთ მოწყობილი. **ჯანდაცვის სამინისტრო კიდევ ერთი შესყიდვით გამოირჩევა და ვერონიკას სამინისტროს მიერ ბიუჯეტის ხარჯზე ნაყიდ HUGO BOSIS ქოლგასაც უკან იტოვებს, კერძოდ ყვავილების გვირგვინიც (გასაგებად რომ ვთქვა — „ვენოკი") კი ბიუჯეტიდან ამ სამინისტროს კვიტაშვილის მინისტრობის დროს ბიუჯეტიდან დაუფინანსებია.** ამ ფაქტზე ყურადღებას საერთოდ არ შევაჩერებდი, რომ არა ის გარემოება, რომ, **გვირგვინს ვინ ჩივის, კვიტაშვილმა ნეკროლოგის განთავსების ხარჯებიც კი ბიუჯეტს „შეაწერა"...**

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2010 წლის 9 თვის განმავლობაში მივლინებებზე 199175 ლარი დახარჯა. 6 ათასი ლარი გადაუხადა „პრაიმ ტაიმს" მედია მონიტორინგისთვის. რურუას უწყებას ხევსურული ხმალი „გორდაც" შეუძენია 2990 ლარად. „პოპულში" 14 ათასი ლარის სურსათი და სასმელი შეიძინეს, „გუდვილში" კი — 9075 ლარის.** მინერალურ წყალს ამ უწყებაშიც ბარაქიანად შეექცევიან, მაგრამ, როგორც ჩანს, რურუას ცოცხალი წვენები უყვარს და სამინისტრომაც წვენსაწური და ბლენდერი შეიძინა 424 ლარად.

**გარკვეული წარმოდგენა, ალბათ, უკვე გაქვთ, როგორ კარგად იკვებებიან ამ სამინისტროს მაღალჩინოსნები. ახლა გადავხედოთ მათ დამოკიდებულებას ალკოჰოლურ სასმელთან: ღვინო ამ სამინისტროში ძალიან მოთხოვნადი პროდუქტია და მასზე ხარჯი ყოველკვარტალურად ათეულობით ათას ლარს შეადგენს.**

სამინისტროს ვებგვერდის დამზადება 20 ათასი ლარი დაჯდა, მაშინ, როდესაც საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულთაგან ყველამ იცის, რომ ასეთი ვებგვერდის დამზადება ყველაზე დიდი 4 ათას ლარს არ აღემატება. აუდიო სისტემები დაჯდა 19893 ლარი. ბლენდერს, წვენსაწურს ან გორდას ვინ ჩივის, **კულტურის სამინისტრო ოქროულობასაც ბიუჯეტის ხარჯზე ყიდულობს. 2 ცალი ოქროს ბეჭედი მათ 2062 ლარად შეიძინეს. 122 ათას 512 ლარია გადახდილი „ტოიოტა ლენდ კრუიზერი 200"-ში. 17 ათასი ლარის სავიზიტო ბარათები, კონვერტები, ჩანთები, მისალოცი ბარათები, აბრები და ბანერები დამზადდა 2010 წელს. „პოდიუმში" შეუძენიათ შარფი 250 ლარად, ხოლო „პრესტიჟში" — 2 ათასი ლარის პარფიუმერია.**

კულტურის სამინისტრო თოჯინებსაც ყიდულობს. შპს „გუდვილში" უწყებამ ბიუჯეტის ხარჯზე იყიდა თოჯინა (ხმოვანი ფუნქციით) 60 ლარად. კონცერტის განათებით უზრუნველყოფაში დახარჯულია 14160 ლარი, ხოლო სცენითა და გახმოვანებით უზრუნველყოფაში — 23600 ლარი. **სამინისტრომ ასევე შეიძინა ერთი ცალი ხმალი თეიმურაზ ჯალაღონიასგან 8750 დოლარად. ასეთი ფასის მქონე სულ მცირე ესკალიბურივით ბასრი და ყოვლისშემძლე უნდა იყოს, თუმცა რომელი არტურ მეფე, ან თუნდაც მრგვალი მაგიდის რიგითი რაინდი ბატონი რურუაა, რომ ბიუჯეტს ასე „მომჭირნედ" ხარჯავს?!**

რურუას მეფე არტურობისა და რაინდობის რა მოგახსენოთ, მაგრამ სამძიმარზე ბიუჯეტის ხარჯზე სიარული რურუას უწყებაშიც ყვარებიათ, **2010 წელს ამ უწყებამ სარიტუალო კალათა 200 ლარად შეიძინა. ისე, როგორც ჩანს, კვიტაშვილზე და რურუაზეა ნათქვამი, წინ მკვდარი... უკაცრავად წინ მინისტრი, უკან ვენოკიო...**

ვენოკსა და გლოვას რომ თავი დავანებოთ, უცნაური შენაძენები კულტურის სამინისტროს ხარჯებში სხვაც ბევრია. ასე მაგალითად: 9600 ლარად შეძენილი სავარჯიშო სარბენი ბილიკი და 1086 ლარად შეძენილი შორტები გეტრებითურთ...

**სოფო გელაშვილი**

**P.S. საქართველოს პრეზიდენტი პენსიონერებს 1 სექტემბრიდან პენსიების 100 ლარამდე გაზრდას დაჰპირდა. თუ რით უნდა შეავსონ დარჩენილ ექვს თვეში პენსიონერებმა საკუთარ ისედაც მწირ ბიუჯეტში ინფლაციის და ფასების ზრდისგან გაჩენილი ხვრელი, პრეზიდენტს არ უთქვამს. ერთი სიტყვით, მან უპასუხოდ დატოვა კითხვა, რომელიც, სავარაუდოდ, პენსიონერთა უმრავლესობას გაუჩნდა – სექტემბრამდე რა ვჭამოთ, მიშა?!**

**სამაგიეროდ, პრეზიდენტს არ დავიწყნია ხაზგასმა, რომ მსოფლიო კრიზისის პარალელურად ხელისუფლებამ ქამრები შემოიჭირა და მკვეთრად შეამცირა უწყებრივი ხარჯები; რომ ამ ხარჯების შემცირება მომავალშიც გაგრძელდება და 2012 წელს პენსიები, სავარაუდოდ, 100 დოლარამდე გაიზრდება.**

**მკითხველმა თავად დაასკვნას, ნიშნავს თუ არა ქამრების შემოჭერას სამინისტროების მიერ ბიუჯეტის ხარჯზე 122-ათასიანი ჯიპის, 8700-დოლარიანი ხმლის, 9600-ლარიანი სარბენი ბილიკისა და 200-ლარიანი სარიტუალო გვირგვინის შეძენა. მკითხველმა, ასევე, თავად გადაწყვიტოს, ვინ უნდა მიუძღოდეს წინ „ქამარშემოჭერილი" სამინისტროების მიერ ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილ სარიტუალო გვირგვინებს („ვენოკებს") — უშუალოდ მინისტრები თუ თავად პრეზიდენტი...**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**თუ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბურჯანაძეების ოჯახიდან ქმარი, ბადრი ბიწაძე, დღევანდელი დავით სოსლანია, ხოლო ცოლი, ნინო ბურჯანაძე, — მეფე თამარი, რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში ხალხი ბურჯანაძეებს გაჰყვება; მითუმეტეს, მსგავს შემთხვევაში, არც ბატონი ანზორ ბურჯანაძე რჩება ფუნქციის გარეშე, მასაც შეუძლია არაბთა დიდი მეფის, როსტევანის სიტყვები გაიმეოროს: „ნინო-ი ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმა მშობელმან!..“**

# თამაზ წივწივაძე: ბებიათქვენისამ!

## სადაც დასაღვრელია, უნდა დაიღვაროს

**გასულ კვირას ოპოზიციის მიერ დაანონსებული ხელისუფლების შეცვლის რევოლუციურ სცენარსა და ზოგადად ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ცნობილი კრიტიკოსი, მწერალი და პუბლიცისტი თამაზ წივწივაძე.**

**— ბოლო დროს აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში განვითარებული მოვლენების პარალელურად საქართველოში ოპოზიციური სპექტრი სულ უფრო ხშირად საუბრობს იმაზე, რომ აჯანყებებისა და არეულობების ტალღა მალე საქართველოშიც გადმოინაცვლებს. მაგალითად, ამასწინათ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, საქართველოში მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდებაო, ლევან გაჩეჩილაძემ კი პირობა დადო, რომ ზაფხულს ქვეყანა სააკაშვილის გარეშე შეხვდება. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია საქართველოში რევოლუცია და რამდენად არიან ოპოზიციის ლიდერები, იგივე ბურჯანაძე და გაჩეჩილაძე, ის ძალა, რომელსაც, რევოლუციის შემთხვევაში, საზოგადოება უნდა გაჰყვეს?**

— ბატონო ჯაბა, უპირველეს ყოვლისა, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა „საქართველო და მსოფლიოს“ საინფორმაციო სივრცეში. სხვათა შორის, მე ისიც მახარებს, რომ ეს ინტერვიუ, გაზეთის სახელწოდებიდან გამომდინარე, არა მარტო საქართველოს, რამდენიმე უცხო ქვეყანასაც გადასწვდება!..

ცხადია, ეს პასუხისმგებლობის ხარისხსაც ზრდის და მეტ მოვალეობასაც გვაკისრებს, თავი არც ადგილობრივ და არც საერთაშორისო თანამეგობრობაში შევირცხვინოთ!..

კი, ბატონო, თქვენი პირველი შეკითხვა რთულია, მაგრამ, თუ ყველაფერზე ასე ვიწუწუნეთ, ადვილი არც ფაფის ჭამაა — სულის შებერვა იმასაც სჭირდება, თუკი, რასაკვირველია, ზედმეტად ცხელია!

არადა, როგორც ამ შეკითხვიდან ჩანს, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში უეცრად ამოვარდნილი ეს „ცეცხლი და ურაგანი“, მალე საქართველოშიც გადმოინაცვლებსო!

მართალია, ასე მხოლოდ ოპოზიცია ფიქრობს, მაგრამ მერე რა — ცოტ-ცოტა და რაღაც-რაღაცები ოპოზიციამაც ხომ იცის?

არა, ბატონებო, ამათ, შეიძლება ის არ იცოდნენ, რა გზით უნდა ჩაენაცვლონ ხელისუფლებას, თორემ ფული სად და როგორ უნდა გამოადნონ, ამ საქმეში სხვისგან არაფერი ესწავლებათ!

მითუმეტეს, ზემოთ დასახელებული ეს ორი ოპოზიციონერი იმდენად ღრმადაა ფინანსურ საკითხებში გათვითცნობიერებული, რომ მსოფლიოს რა პერიმეტრზეც უნდა მიფრინავდეს, თუნდაც ძირსდაუშვებლად, „პარაშუტის“ აუცილებლობა, არც ერთს არ ავიწყდება!

ოღონდ აქ ის ძველი პარაშუტი არ იგულისხმება, საჭიროების შემთხვევაში, ციდან ძირს უსაფრთხოდ რომ ეშვებოდა! — დღევანდელ დღეს „პარაშუტი“ ფულის მასის იმ გარკვეულ რაოდენობას ეწოდება, მილიონ დოლარს ცენტი რომ არ დააკლდება და, ბრძოლის წაგების შემთხვევაში, შენს საკუთარ ოჯახს მოხმარდება უცხოეთში გასახიზნად!..

რაკი ბურჯანაძეს უთქვამს, აჯანყებებისა და არეულობის ტალღა მალე საქართველოში გადმოინაცვლებსო, ცხადია, მის ნათქვამს წყალი არ გაუვა!

**ასევე სანდოდ მეჩვენება ბატონ გაჩეჩილაძის მიერ დადებული პირობა, რომ ამ ზაფხულს საქართველო სააკაშვილის გარეშე შეხვდება, ოღონდ თავად პრეზიდენტს რამდენ მილიონ დოლარად დაუჯდება გაჩეჩილაძის ეს, ერთი შეხედვით, უბრალო განცხადება, ამის შესახებ სიმართლეს მხოლოდ ლეიბორისტების მომავალ პრესკონფერენციებზე შევიტყობთ!..**

### «ბენ ალი დაამხეს!.. ჰოსნი მუბარაქი დაამხეს!.. მუამარ კადაფი (თითქმის!) დაამხეს!.. შენ რაღას იტყვი, სააკაშვილო, ახლა ვისი ჯერია?!»

საერთოდ კი, ესენი — ბურჯანაძე და გაჩეჩილაძე — სიტყვის ხალხია და ტყუილები, ხამუშ-ხამუშ თუ გამოერევათ!..

თუმცა მაინც კარგია, რომ ამ საკითხებზე, ამათ გარდა, ჩემი აზრიც რომ გაინტერესებთ და მეკითხებით:

„რამდენად არიან ოპოზიციის ლიდერები, იგივე ბურჯანაძე და გაჩეჩილაძე, ის ძალა, რომელსაც, რევოლუციის შემთხვევაში, საზოგადოება უნდა გაჰყვეს?“

მთლად ზუსტად არ ვიცი, ჩემო კარგო, ამ ორ ცნობილ „პარაშუტისტს“ (აჯანყების დამარცხების შემთხვევაში, თავიანთი ოჯახებისთვის თითო-თითო „პარაშუტი“, ანუ თითო-თითო მილიონი დოლარი რომ აქვს გადადებული) რა დოზით გამოუცხადებს ნდობას ხალხის ის ნაწილი, რომელსაც სახლში მხოლოდ წყალი აქვს ადუღებული უშაქრო ჩაის დასალევად, თუმცა აქ მთავარი მაინც ისაა, რა თვალით შეხედავს ქართველი ხალხი დღეს ამ ორ მეამბოხეს!..



**ასე, მაგალითად: თუ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბურჯანაძეების ოჯახიდან ქმარი, ბადრი ბიწაძე, დღევანდელი დავით სოსლანია, ხოლო ცოლი, ნინო ბურჯანაძე, — მეფე თამარი, რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში ხალხი ბურჯანაძეებს გაჰყვება; მითუმეტეს, მსგავს შემთხვევაში, არც ბატონი ანზორ ბურჯანაძე რჩება ფუნქციის გარეშე, მასაც შეუძლია არაბთა დიდი მეფის, როსტევანის სიტყვები გაიმეოროს:**

„ნინო-ი ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმა მშობელმან!..“

არადა, ეს სიტყვები სიმართლესთან ახლოსაა. რომ არა ბატონი ანზორისთვის ბაბუას მიერ დანატოვარი ის ოქრო-ვერცხლი, რითაც მისი შვილი „მოქკავშირის“ საარჩევნო სიით პარლამენტში შეიყვანა, ახლა ჩვენი „ნინოი“ ქუთაისის რომელიმე სკოლაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე სასწავლო ნაწილის გამგე იქნებოდა!

ან, უკეთეს შემთხვევაში, — ერთ-ერთი ბიბლიოთეკის დირექტორი!..

ეს, რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ახლა კი ლევან გაჩეჩილაძეზეც ვთქვათ!

რასაკვირველია, ეს რაინდი კაცი მომავალ რევოლუციაში მთავარ დამრტყმელ ძალად მოიაზრება, ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე მიშასთან ფულების გადათვლა-გადმოთვლას დაიწყებს!

ამ სახალხო ამბოხების სცენარი კი, მე ასე წარმომიდგენია:

„მიშა, მოვდივარ!..“ — ამ სიტყვების სამჯერ დაყვირების შემდეგ, ბატონი ლევანი, თავისივე მხარდამჭერებიანად პრეზიდენტის სასახლისკენ გაემართება. გზადაგზა დასავლეთის მიმართულების სარდლის, ქალბატონ ჩიორა თაქთაქიშვილის რჩეულ საჯარისო ნაწილებს გაანადგურებს და 15 საათზე და ნოლ წუთზე, პრეზიდენტის მომხრე სამხედრო შენაერთების პირისპირ აღმოჩნდება!

რასაკვირველია, ბატონი გაჩეჩილაძე დავით აღმაშენებლის მიერ დამუშავებული სამხედრო ხერხებიდან ვერც ერთს ვერ გამოიყენებს! — ან ორასი ფრანგი ჯვაროსანი სად ჰყავს, ან კიდევ ამ რუსთაველის პროსპექტზე რა ტყის მასივები გააჩნია, რომ გაჩეხოს და საკუთარ მხარდამჭერებს უკანდასახევი გზები ჩაუხერგოს!..

ამიტომ, ჩემი აზრით და ტაქტიკური თვალსაზრისითაც, სწორად მოიქცევა, თუკი დივერსიული მიზნით მტრის ნაწილებში კაკლის მურაბის ნახევრადთავისუფალ ბანკებს წინასწარ მიმოაბნევს!..

არადა, ეს მარტივი სამოქალაქო ოპერაცია სამხედროების ბანაკში დიდ არევ-დარევას გამოიწვევს — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერთა შორის, ძირითადად, ქალები არიან. მათ კი კაკლის მურაბა, მიშას მრგვალი კაკლების შემდეგ, ყველაფერს ურჩევნიათ!..

და, მეორეც: ნახევრადთავმოხუფული იმ ორასიოდე ბანკიდან, ას ჩვიდმეტს რომ მაინც აეხადოს სახურავი, პრეზიდენტის სასახლის წინ ისეთი შემზარავი ბათქაბუთქი ატყდება, მტრისას — ფეხდაფეხ გაქცეულ ჩვენს ზომიერად მხდალ პრეზიდენტს აეროპორტამდე ვერავინ დაეწევა!..

მერედა, ვინ მისდევს, როო? წავიდეს და აახვიოს აქედან!..

მომისმინეთ, ბატონო ჯაბა! იქნებ, ახალი კითხვა დამისვათ და გამაჩეროთ, თორემ ხომ ხედავთ, ამ გიჟების ხელში ჭკუაზე მეც აღარ ვარ — ერთიანად დავცინი და ვაქილიკებ ამ სულელ ხელისუფლებას, ამ ბრიყვ ოპოზიციას და, ღმერთო შეგცოდე, ძვირფას თანამემამულეებსაც!..

და რაღა დაგიმალო — ჩემს თავსაც!..

**— თავის მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხი კითხვაზე — მოსალოდნელია თუ არა საქართველოში რევოლუცია — ასეთია: ის, რაც არაბულ სამყაროში ხდება, ჩვენთან უკვე მოხდა... (დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა სააკაშვილმა 11 თებერვალს პარლამენტში) რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს მოსაზრება და თუ ხედავთ რაიმე საერთოს ამ ხელისუფლებასა და აფრიკის ქვეყნების აწ უკვე დამხობილ რეჟიმებს შორის?**

— არ გაგიკვირდეს, თუკი გეტყვი — ესენი ურცხვი ხალხია, თორემ რამ ათქმევინათ ასეთი შუმი ტყუილი: რაც ახლა არაბულ სამყაროში მოხდა, ჩვენთან ეს უკვე იყოო!

„ვარდების რევოლუციას“ გულისხმობენ!

ამიტომ, ნუ მიწყენთ და, მეც ასევე ურცხვად ვუპასუხებ: იყო, არა? — ბებიათქვენისამ!..

ჯაბა, თქვენის ნებართვით, ახლა თავს ნებას ვაძლევ, თქვენი გაზეთის მკითხველებისა და საქართველოს მოსახლეობის წინაშე, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ეს კრიმინალური დაჯგუფება კიდევ ერთ საჯარო ტყუილში ვამხილო!

კი, ბატონო, დავუშვათ, რომ ის, რაც ახლა არაბულ სამყაროში ხდება, საქართველოში უკვე მოხდა — რამდენიმე ათასმა კაცმა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აიძულა, თანამდებობა დაეტოვებინა!

ყოფილი პრეზიდენტი თავისი ღირსების შესაბამისად მოიქცა: შეთქმულთა ერთ ჯგუფს ხელისუფლება გადასცა და თვითონ სახლში წავიდა!..

კიდევ ვიმეორებ და ვაცხადებ: ეს ყველაფერი მართლა იყო, ოღონდ მაშინ არაბულ სამყაროს ჯერ კიდევ ეძინა!..

მაგრამ, ამის შემდეგ არ იყო, ჯერ რომ რუსთაველზე (სხვათა შორის, რამდენიმეჯერ!) 100 ათასი კაცი შეიკრიბა, მერე იპოდრომზე — 300 ათასი, მერე „დინამოს“ სტადიონზე ისევ 100 ათასი?

კიდევ ერთხელ უნდა შეგაწუხოთ, თქვენც და თქვენი გაზეთის მკითხველებიც და, საქართველოს მთელი მოსახლეობა — იქნებ მითხრათ, ის ზღვა ხალხი, ისევ შევარდნაძის გადაყენებას მოითხოვდა თუ სააკაშვილისას?!

იმ დროისთვის ბატონი შევარდნაძე რამდენიმე წლის გადამდგარი არ იყო?!

ჰოდა, შე ვირეშმაკა სააკაშვილო, და თქვენც, უმაღლესი ხელისუფლების კრიმინალთა ერთო ჯგუფო, როდემდე გინდათ, ეს ხალხი ატყუოთ?!

არ გაგივათ ხელისუფლების ძალადობითა და ტყუილებით შენარჩუნება, თაღლითებო!

მითუმეტეს ახლა, როცა: ▶

### ბურჯანაძემ და გაჩეჩილაძემ შეიძლება არც იცოდნენ, რა გზით ჩაენაცვლონ ხელისუფლებას, თორემ ფული როგორ უნდა გამოადნონ, სხვისგან არ ესწავლებათ



ჩვენ დღისით-მზისით გვაყაჩაღებენ, დანაშაული სახეზეა და მიხეილ მაჭავარიანი წარბშეუხრელად, ფაქტობრივად, ადასტურებს, რომ ეს ნამდვილად ასეა. თუ ჩვენ დაგვხოცავდნენ, ის, ალბათ, იტყოდა: „ეს ეთნიკური წმენდაა“ და მყისვე გააგრძელებდა დუდღუნს იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება ჩვენზე.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## «დღევანდელ დღეს „პარაშუტი“ ფულის მასის იმ გარკვეულ რაოდენობას ენოდება, მილიონ დოლარს ცენტი რომ არ დააკლდება და, ბრძოლის წაგების შემთხვევაში, შენს საკუთარ ოჯახს მოხმარდება უცხოეთში გასახიზნად!..»

— ბენ ალი დაამხეს!..
— ჰოსნი მუბარაქი დაამხეს!..
— მუამარ კადაფი (თითქმის!) დაამხეს!..

შენ რაღას იტყვი, სააკაშვილო, ახლა ვისი ჯერია?!

**— ბატონო თამაზ, პროცესების რევოლუციური, კერძოდ ეგვიპტური და ტუნისური სცენარებით განვითარება თავისთავად გულისხმობს, რომ, თუ არეულობა იქნება, სისხლისღვრა გარდაუვალია. თქვენი აზრით, რამდენად მზადაა ჩვენი საზოგადოება ამისთვის?**

— სისხლის დაღვრისთვის საზოგადოება მზად არასდროს არ არის — სისხლი ან უნებლიეთ იღვრება, ან აშკარად — მიზანმიმართულად!..

ახლა კი, თქვენის ნებართვით, ორიოდ ეპიზოდს გავიხსენებ ჩემი წარსულიდან და ამ შეკითხვის პასუხიც ის იქნება!

პირველი ეპიზოდი: „ვარდების რევოლუციიდან“ ცოტა ხნის შემდეგ, კრწანისში სტუმრობისას, ბატონი შევარდნაძე მეკითხება:

— თამაზ, ხომ სწორად მოვიქეცი თავის დროზე პრეზიდენტის პოსტიდან რომ გადავდექი?

— არა, ბატონო ედუარდ, არ უნდა გადამდგარიყავით-მეთქი!..

ეტყობოდა, ჩემგან უფრო მეტი თანაგრძნობის გამოხატვას ელოდა და საკმაოდ გაკვირვებულმა შემომხედა:

— რატომ, თამაზ? უცხოეთის სპეცსამსახურებმა გამაფრთხილეს: მომიტინგეებს შორის არის სპირტი, ნარკოტიკი და, აქა-იქ — იარაღი, ამიტომ, თუ არ გადავდგებოდი, აუცილებლად სისხლი დაიღვრებოდაო...

— დაღვრით, ალბათ, დაიღვრებოდა, მაგრამ ასჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე დღეიდან დაიწყება მიხეილ სააკაშვილის საბოლოო ჩამოგდებამდე-მეთქი!..

შევატყვე, გულში არ მეთანხმებოდა, მაგრამ მაშინ ამ თემაზე საუბარი აღარ გავაგრძელებია!

მე ბატონ შევარდნაძეს იმას კი არ მოვუწოდებდი, რომ საერთოდ არ გადამდგარიყო, არამედ მინდოდა, კონსტიტუციურ ვადაში გადამდგარიყო!

მანამდე კი რამდენიმე თვე იყო დარჩენილი და ეს დრო საკმარისი აღმოჩნდებოდა საიმისოდ, ეს გიჟი ხელისუფლებაში არ მოეყვანა!..

არადა, ამ საუბრის დროს გული მეც მეთანაღრებოდა — ასაკოვან კაცს კიდევ მეტი რომ არ დავუთმე და ჩემი სათქმელიც ბოლომდე ვუთხარი!..

და ძალიან გამიხარდა ახლა, ბატონ ედუარდს აზრი რომ შეუცვლია და ჟურნალისტების კითხვაზე უკვე კატეგორიულად პასუხობს: „არ უნდა გადავმდგარიყავიო!..“

როგორც ჩანს, სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების აღვირახსნილი ძალადობა საკუთარ ხალხზე და საკუთარ ქვეყანაზე ყელში ამოუვიდა!..

ეპიზოდი მეორე: ერთხელ, როცა ლამაზად გატანილ გოლს ფეხზე წამომდგარი ასიათასამდე თბილისელი მაყურებელი უკრავდა ტაშს, ალტაცებასთან ერთად უეცარი ელდაც მეცა!

სრულიად უცაბედად წარმოვიდგინე, ამ უამრავი ხალხიდან, დაახლოებით რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, არც ერთი ცოცხალი აღარ ვიქნებოდით!..

ამიტომ, რაკი ეს ყველა ადამიანმა ვიცით, იმაზეც უნდა ვიფიქროთ, ღირს კი ჩვენი დარჩენილი სიცოცხლის წლები იმად, ყველა დროის საქართველოს ისტორიაში „დაწყევლილ თაობად“ რომ შევიდეთ?..

არადა, ორივე ეს ეპიზოდი მე მხოლოდ იმისთვის მოვიგონე, მკითხველისთვის რომ შემეხსენებინა: სამშობლოს, ღირსებისა და თავისუფლების დაცვა, გარდა ოფლისა, ზოგჯერ სისხლსაც მოითხოვს!..

ზემოთ გამოთქმული თქვენი ვარაუდი ტუნისურ თუ ეგვიპტურ მოვლენებზე — ვაითუ, სისხლი აქაც დაიღვაროსო — სხვა რას ფიქრობს, ამას ვერ გეტყვით, პირადად ჩემი აზრი კი ასეთია:

სადაც დასაღვრელია, უნდა დაიღვაროს!..

სამშობლოდაკარგული და ღირსებააყრილი კაცის სიცოცხლეს სიკვდილი ყოველთვის ჯობია!..

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

**P.S. შეიძლება ისე გამომდის, თითქოს ოპოზიციის კრიტიკა ჩემი თვითმიზანია, მაგრამ დასასრულს მაინც მინდა ვკითხო ლევან გაჩეჩილაძეს, გასულ კვირას რევოლუციის ტორნადო და კატრინა რომ დაუანონსა ხელისუფლებას: ბატონო ლევან, როცა ამბობთ, ქვეყანა ზაფხულს სააკაშვილის გარეშე შეხვდებაო, იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, რომელ ზაფხულს გულისხმობთ. თუ 2013 წელი გაქვთ მხედველობაში, დიდი მადლობა, მაგრამ „ნაცების“ მიერ ათასგზის გაუპატიურებული და ღირსებააყრილი ჩვენი კონსტიტუცია უკეთეს ვარიანტს გვთავაზობს; ასე რომ, ხალხზე ფიქრით ღამეებს ნუ გაათენებთ და ნუ გაგიჟდებით, ემანდ, პარაშუტმა არ გიმტყუნოთ; შეგიძლიათ წყნარად იყოთ... ყოველ შემთხვევაში, მიშა არსად წამსვლელი არ არის, იმიტომ, რომ მაგარია...**

მიხეილ მაჭავარიანი და დავით უსუფაშვილი სტუდიაში ალეკო ელისაშვილთან



# კარტელური უსინდისობა

**გასულ კვირას მიხეილ მაჭავარიანმა, როგორც ჩანს, მოხსნა ცინიზმის რეკორდი, ადრე მთავრობის საპარლამენტო მდივანს, გიორგი ხუროშვილს რომ ეკუთვნოდა. ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში წამყვანის რეპლიკაზე — „საწვავის სტაბილურად ერთი ფასია ყველა ბენზინგასამართ სადგურზე, მაშინ, როდესაც სხვადასხვა კომპანიებს შემოაქვს“ — მაჭავარიანმა ასეთი პასუხი გასცა: „ეს არის კარტელური შეთანხმება“ და, სავარაუდოდ, მეტი დამაჯერებლობისთვის ეს ფრაზა კიდევ ერთხელ გაიმეორა.**

ერთი შეხედვით, ეს ფაქტის კონსტატაციაა და ცინიზმის დოზით ახლოსაც ვერ მივა ხუროშვილის პასაჟთან გზების დაგებასთან დაკავშირებით: **„ხელისუფლება მოსახლეობას საჩუქარს უკეთებს და მოწყალებას იღებს, ამ საჩუქარს კი გაფრთხილება სჭირდება“** („GHN). სხვათა შორის, ხუროშვილი ამ გამონათქვამისთვის არ დასჯილა, რაც ირიბად ადასტურებს მოსაზრებას, რომ ხელისუფლების უმაღლესი პირები ამ მიდგომას იზიარებენ. თუმცა, თუ მაჭავარიანის ფრაზას ყურადღებით დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ მან არა მარტო მოხსნა ხუროშვილის სამოყვარულო რეკორდი, არამედ ცინიზმის ისეთ მწვერვალზე ავიდა, სადაც ქართველ პოლიტიკოსებს ფეხი ჯერაც არ დაუდგამთ.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; მუხლი 195. „მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა“ (28.04.2006. №2937):**

**1. მონოპოლიური საქმიანობა მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესებით, აგრეთვე, კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გავლენის შენარჩუნების, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევების, ან ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის, ან შენარჩუნების გზით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.**

**2. იგივე ქმედება, ჩადენილი:**

**ა) ჯგუფურად;**

**ბ) არაერთგზის**

**ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.**

კარტელური შეთანხმება (გარიგება) კი, რაზეც მამა აბრამის ბატკნის დაუვიწყარ ტონალობაში საუბრობდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი, თავის მხრივ, წარმოადგენს ბაზრის რომელიმე სეგმენტის მონაწილეთა შეთანხმებას საქონელი ან მომსახურება გარკვეულ ფასად გაყიდონ (ან შეიძინონ).

მოდით, გავამარტივოთ მთელი ეს კაზუისტიკა;

**ბენზინის ფასი საქართველოში მაღალია და გამუდმებით იზრდება.**

ეს ფასი არანაირ კომერციულ ლოგიკას არ ექვემდებარება, ბენზინი 30-40 თეთრით ძვირია (შესაბამისი დაანგარიშება, დიდი ხანია, გავრცელდა სოციალურ ქსელებში და იოლად ხელმისაწვდომია), **ვიდრე ეღირებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პრინციპი და ფასწარმოქმნის ჯანსაღი მექანიზმი იმოქმედებდა. ყოველთვიურად ჩვენ, მომხმარებლები, დაახლოებით 60 მილიონ ლიტრ საწვავს მოვიხმართ და გაბერილი ფასების გამო ათეულობით მილიონ ლარს ვკარგავთ.** ყველაზე ტევადი შეფასება ამ შემთხვევაში, ალბათ, იქნებოდა: „ჩვენ გვძარცვავენ“. ცხადია, საწვავის გაძვირება ავტომატურად იწვევს სხვა საქონლისა და მომსახურების გაძვირებას, ეს უფრო რთული შემთხვევაა, ვიდრე (მაგალითად) კარტელური გარიგება ფარმაცევტულ კომპანიებს შორის, რამაც მედიკამენტების ფასი არანორმალურად მაღალი გახადა.

ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **ჩვენ დღისით-მზისით გვაყაჩაღებენ, დანაშაული სახეზეა და მიხეილ მაჭავარიანი წარბშეუხრელად, ფაქტობრივად, ადასტურებს, რომ ეს ნამდვილად ასეა.** თუ ჩვენ დაგვხოცავდნენ, ის, ალბათ, იტყოდა: **„ეს ეთნიკური წმენდაა“** და მყისვე გააგრძელებდა დუდღუნს იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება ჩვენზე.

ისე, რას ვერჩით, რა ქნას?! ამქვეყნად ხომ კარტელური შეთანხმების გარდა არსებობს ისეთი ცნებები, როგორიცაა **„ხელისუფლების შავი სალარო“, „კლანური ინტერესები“, „ელიტარული კორუფცია“, „მაფიოზური სახელმწიფო“, „მონოპოლია“, „არაკაცობა“, „უსინდისობა“ და „მამაძაღლობა“.** მიხეილ მაჭვარიანი კი, ალბათ, არ არის ის კაცი, რომელიც ყოველივე ამასთან შებრძოლებას შეძლებს ან შეეცდება მაინც.

ასეთ სიტუაციაში ლეგიტიმური, ალბათ, მხოლოდ ორი კითხვა რჩება: **„რატომ ვითმენთ?“** და **„რას ველოდებით?“.** სწორი პასუხი კი ამ კითხვებზე თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს.

**დიმიტრი მონიავა**

## გაფრაზებულნი

**ვაჟა ლორთქიფანიძე, პროფესორი:**



ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ავტორიტატიზმი და ტოტალიტარიზმი დღევანდელ მსოფლიოში ანაქრონიზმია და ასეთი რეჟიმები დიდხანს ვერსად იარსებებს. ნურავის ექნება იმის იმედი, რომ ძალადობითა და ტერორით ძალაუფლებას დიდხანს შეინარჩუნებს, ამას, პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლების გასაგონად ვამბობ.

*„ასავალ-დასავალი“*

**ირაკლი სესიაშვილი, ექსპერტი:**



ხელისუფლება თუ რეალურად არ გადადგამს დემოკრატიისკენ ნაბიჯებს, რევოლუცია გარდაუვალია. არ გამოვრიცხავ, რომ რევოლუციური მოვლენები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ერთდროულად დაიწყოს... ყველაზე მეტად იმის მეშანია, რომ ახალგაზრდა ხელისუფალს არ აქვს იმდენი სიბრძნე და კაცთმოყვარეობა, საჭიროების შემთხვევაში უარი თქვას ძალისმიერ გზებზე.

*„ახალი თაობა“*

**ლუკა კურტანიძე, მსოფლიო ჩემპიონი:**



ჩვენთვის მთავარია, ქვეყანა არ დაგვენგრეს თავზე. ამის მიღწევა კი ყველა პატრიოტის დარაზმვითა და ყველაზე მაღლა სამშობლოს სიყვარულის დაყენებით შეიძლება. მე 30 წელი ვემსახურე ჩემს სამშობლოს და ვინმემ რომ მითხრას, ეს ქვეყანა არ გიყვარსო, ენას ამოვგლეჯ.

*„კვირის პალიტრა“*

**ნანა კაკაბაძე, ადამიანის უფლებათა დამცველი:**



ადამიანები, რომლებსაც აქვთ პრეტენზია პოლიტიკოსობისა და ლიდერობისა, ვერ გრძნობენ ქვეყნის მაჯისცემას! აბსოლუტურად ყველას ვგულისხმობ — ლევან გაჩეჩილაძით დაწყებული და ნინო ბურჯანაძით დამთავრებული!

*„ასავალ-დასავალი“*

**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**



თუ რაიმე ფული გაუკეთებიათ, ყველაფერს უკან მიატანინებენ და დაიჭერენ. ერთადერთი, თუ რევოლუცია მოხდა, ბოლო მომენტში გემბანიდან ვირთხებივით გაიქცევიან.

*„ყველა სიახლე“*

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ნაპოლეონ ქარქაშაძე:**
**ვშიშობ, რომ ვერც ჩვენი თაობა, ალბათ, ვერც ჩვენი მომდევნო თაობა ამას ვერ მოესწრება. ძალიან ღრმა და მტკივნეულია ის იარა, რომელიც ორივე ერს აქვს. თუმცა შეიძლება მოვლენების დაჩქარება, თუ ამისი პოლიტიკური ნება ექნება ზესახელმწიფოებს. მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა შევრიგდეთ — ქართველები და აფხაზები.**



# ჯერ ჩვენ და აფხაზები უნდა შევრიგდეთ

**დღევანდელი პუბლიკაციით ვასრულებთ საუბრების ციკლს პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძესთან. წინა ინტერვიუ ბატონმა ნაპოლეონმა დაამთავრა თავისი პოზიციის დაფიქსირებით, რომ კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე მხარეთა უშუალო მოლაპარაკება, ამ მოლაპარაკებაში ქართველების მხრიდან იმ ადამიანების ჩართვა, რომლებსაც აქვთ აფხაზებთან თანაცხოვრების, ერთობლივი მოღვაწეობის გამოცდილება და ჯერ კიდევ შერჩენიათ ავტორიტეტი, უპრიანი და ეფექტიანი იქნებოდაო.**

დამიანე გოგოხია, გიორგი ლეონიძე, გიორგი გულია, ივანე თარბა



## ვინ „დაშალა" საბჭოთა კავშირი?

— ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, — **აგრძელებს ბატონი ნაპოლეონი,** — ღმერთმა აცხონოს რეზო სალუქვაძე, ოთარ ზუხბაია, ლერი აბაშიძე. ცოცხლებიდან უმეტესობა საკმაოდ ხანდაზმულია. მაგრამ მაინც არიან ისეთები, ვინც უპრობლემოდ დაელაპარაკება აფხაზებს, ვისაც მოუსმენენ აფხაზები. **დავასახელებდი ცნობილ ქართველ პოეტს გენო კალანდიას, რომელსაც შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა აფხაზ მწერლებთან; გოგი ქავთარაძეს, ანდა — ზურაბ პაპასკირს, ცნობილ მეცნიერს; დავასახელებ იმდროინდელ სახელმწიფო მოღვაწეებს ე.წ. ნომენკლატურიდან — ვილენ ალავიძეს, ჯემალ ბერიძეს, გენერალ გივი ლომინაძეს, თამაზ ჩოჩიას, მომდევნო, ენერგიით სავსე და მიზანსწრაფი თაობიდან კი ალექსანდრე ჭაჭიას ვთხოვდი, მონაწილეობა მიეღო აფხაზებთან მოლაპარაკებაში.**

**— საბჭოთა პერიოდში სოჭი და ბიჭვინთა ქვეყნის ელიტის პრესტიჟულ დასასვენებელ კურორტებად ითვლებოდა. თქვენ საშუალება გქონდათ, შეხვედროდით კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, ე.წ. არაფორმალურ ვითარებაში. იყო კმაყოფილება და თვითდინების უშფოთველობა?**

— მოგიყვებით ერთი შეხვედრის ამბავს და დასკვნის გაკეთება თქვენთვის და „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებისთვის მომინდვია.

1980-იანი წლებია. გულრიფშში ვართ, ნოდარ დუმბაძის აგარაკზე, ცნობილი რუსი პოეტები: ევგენი ევტუშენკო, ვლადიმირ სოლოუხინი, მწერალი ივანოვი, ქართველებიდან — კოტე მახარაძე, პოეტი ზაურ ბოლქვაძე, რეზო სალუქვაძე და მე. სხვებიც იყვნენ.

სუფრა „წელში გატეხილი" არ იყო, როცა ევგენი ევტუშენკომ თამადას — კოტე მახარაძეს სადღეგრძელოს თქმის უფლება სთხოვა და გულწრფელად, აღფრთოვანებით ილაპარაკა საქართველოზე, იმ მეგობრობაზე, რომელიც მას აქვს ქართველებთან, აფხაზებთან და რომლის მადლი ჩვენს დღევანდელ შეკრებასაც სცხიაო.

ევტუშენკოს დაუყოვნებლივ და ოპერატიულად გამოეხმაურა სოლოუხინი:

— ჩვენი პრესა და რადიოტელევიზია ყოველდღე ლაპარაკობს საბჭოთა ხალხთა დიადი და ურღვევი მეგობრობის შესახებ. არ ვდავობ, შეიძლება, ასეც არის. მაგრამ მე მინდა, ცოტა სხვა კუთხით შევხედო იმ სინამდვილეს, რომელშიც ვცხოვრობთ.

დაწვრილებით ილაპარაკა იმ წარუშლელ შთაბეჭდილებაზე, რაც საქართველოში მოგზაურობით მიიღო, უწინარეს ყოვლისა, ხალხის ცხოვრების მაღალ დონეს გაუსვა ხაზი.

— ამ რეალობის მიუხედავად, — განაგრძო სოლოუხინმა, — ქართველებისგან, და არა მარტო თქვენგან, გვესმის გამუდმებული საყვედურები, რომ ჩვენ, რუსებმა სამშობლო წაგართვით, დავიპყარით თქვენი ქვეყანა, გაგიუქმეთ სახელმწიფოებრიობა, ვიტაცებთ თქვენს ეროვნულ სიმდიდრეს, ვანადგურებთ თქვენს კულტურას, რომ თქვენ ლატაკები ხართ, ჩვენ კი თქვენს ხარჯზე ფუფუნებაში ვცხოვრობთ და ა.შ. გუშინ ივანე თარბამ აფხაზურ ოჯახში წაგვიყვანა, მასპინძლის ეზოში მდინარის ტოტი ჩამოდიოდა, რომელიც სავსე იყო თევზით, საკუთარი ტყეც ჰქონდა, რომელშიც თხების არვე დაუდიოდა, მდელოზე ფუტკრის სკები ედგა. სამწუხაროდ, რუსები არც მას მოსწონდა... საქართველო გამონაკლისი არ არის. იგივე განწყობა შეინიშნება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

შემდეგ მან ილაპარაკა შორეულ რუსულ სოფლებში გამეფებულ სიღატაკეზე, შექმნილი დოვლათის უსამართლო განაწილებაზე, რის გამოც, უწინარესად, ზარალდება რუსეთი, ამ დოვლათის შემქმნელი ხალხი და დაასკვნა:

— რუსები ვკარგავთ სამშობლოს, შელახულია ჩვენი პატივი და ღირსება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მომწიფდა აზრი, რომ საჭიროა, ჩვენს თავს ჩვენვე მივხედოთ, ამისთვის კი რუსეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან უნდა გავიდეს. ჩვენ აქეთკენ უკვე მივდივართ.

თქვა ეს სოლოუხინმა და დადუმდა. ვდუმდით დანარჩენებიც.

— დიდ ერში სალი აზრი მალე მწიფდება, — თქვა ნოდარმა, — მაგრამ ჩვენ ამ ბუხართან საქეიფოდ შევიკრიბეთ და არა საბჭოთა კავშირის დასაშლელად, — ჩვეული იუმორით განმუხტა სიტუაცია.

**— თქვენ დაგიწყიათ საბჭოთა კავშირის დაშლა, ბატონო ნაპოლეონ, და ეგაა!**

## ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი, თუ – პირიქით?

**— 1989 წლის დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია და ამ ახალი წარმონაქმნის დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა. თუ არ ვცდები, ამ ფაქტის გამო არც თბილისში, არც სოხუმში ქართველებს შესაბამისი რეაქცია არ გვქონია...**

— არ შეგშლიათ, სამწუხაროდ, ასე იყო. კონფედერაციის შექმნა წინ უსწრებდა ქართველი არაფორმალების მიტინგებს. აფხაზებმა ჯერ კიდევ 1988 წლის დასაწყისში ჩამოაყალიბეს უკანონო შეიარაღებული რაზმები. შტაბად სოხუმში შერვაშიძეების ყოფილი სასახლე — მწერალთა კავშირის შენობა აირჩიეს. მე იქვე ვცხოვრობდი და ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ტრიალებდნენ იქ შეიარაღებული ადამიანები, მათ შორის იყვნენ ჩრდილოკავკასიელებიც, — ეს მითხრეს ჩემმა სტუდენტებმა. დაუყოვნებლივ ვაცნობე აფხაზეთის უშიშროების უფროსს — ავთანდილ იოსელიანს, რომელმაც ჩრდილოკავკასიელთა იქ ყოფნის შესახებ ჩემგან შეიტყო (!)

**— რაო მერე?**

— არც არაფერი, რადგან თბილისიდან კატეგორიულად მიგვითითეს, „პროვოკაციას არ აჰყვეთო".

ჩემთვის დღესაც გაურკვეველია, რა პროვოკაციაზე იყო საუბარი: მაინც და მაინც თავს უნდა დაგვესხმოდნენ, ხმა რომ ამოგვეღო? ამიტომ გადავწყვიტეთ და ჩვენი ინიციატივით შევხვდით აფხაზებს. ქართველების მხრიდან ვიყავით მე, რეზო სალუქვაძე, პროფესორი ლეონიდე ჯახაია, აფხაზების მხრიდან — ზურაბ აჩბა, ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე მიქვაბია და კიდევ ერთი, გუდაუთელი აფხაზი. პირველსავე შეხვედრაზე მივანიშნეთ, რომ გვქონდა ინფორმაცია მათი შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ და რომ ქართველებიც ვიყავით შეიარაღებულები, და თუ ინციდენტი მოხდებოდა, დიდი სისხლი დაიღვრებოდა. შევთანხმდით, რომ მხარეები „თავს შეიკავებენ".

**— კავკასიელ ხალხთა კონფედერაციაზე თუ გქონდათ საუბარი?**

— ეს საკითხი მკაცრად დავაყენეთ, ვთქვით, რომ კავკასიელები ქართველებიც ვართ და ჩვენც უნდა შევეყვანეთ ამ გაერთიანებაში. პასუხად მივიღეთ, რომ ჩრდილოკავკასიელებს სურთ გაერთიანება ერთ რესპუბლიკად (!), ხოლო სოხუმი დედაქალაქად აირჩიეს მისი ნეიტრალიტეტის (!) გამო. ამ პოზიციის სრულ ალოგიკურობას თვითონაც მიხვედრილი იყვნენ და ამიტომ დასძინეს, რომ ჩანაფიქრი განუხორციელებელია, რადგან რუსეთს ვერ მოერევიან და არც ჩვენ გვაძლევს ხელს ასეთი რესპუბლიკის შექმნაო... ცრუობდნენ ელემენტარულად, რადგან მაშინვე აშკარა იყო, რომ აფხაზებს ჩრდილოკავკასიელების გამოყენება ჩვენ წინააღმდეგ სურდათ. მოგვიანებით ასეც მოხდა.

**— უთხარით, რომ მიხვდით მათ ჩანაფიქრს?**

— მივახვედრეთ, რომ ქართველები არც ისე გულუბრყვილოები და იოლად გასაცურებლები ვართ, თუმცა კამათი არ გაგვიგრძელებია, იმიტომ, რომ ცხადი იყო — ერთმანეთს ვერ გადავარწმუნებდით.

**— ვერ დაძლია ეს წინაღობა იმ მეგობრულმა ურთიერთობამ, რომელიც ქართველ და აფხაზ კულტურის მოღვაწეებს ჰქონდათ?**

— ეს თემა განსაკუთრებული ანალიზის საგანია, ვლაპარაკობ მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების შესაძლებლობაზე. მაგრამ მეგობრობა მართლაც სანიმუშო და გულითადი გვქონდა.

ნოდარ დუმბაძის მეზობლად ცხოვრობდა ცნობილი აფხაზი პოეტი, კარგი მოქართულე ივანე თარბა, რომლის სახლის კარი ყოველთვის ღია იყო ქართველი თანამოკალმეებისთვის. დიდი მეგობრობა ჰქონდათ აფხაზური ლიტერატურის პატრიარქს — გიორგი გულიასა და შესანიშნავ ქართველ პოეტს — გიორგი ლეონიძეს, ბაგრატ შინკუბას და რევაზ მარგიანს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აღარაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ გადაიპატიჟებდნენ ჩემი აფხაზი მეზობლები ჩემთან ჩამოსულ გურამ ფანჯიკიძეს, ზაურ ბოლქვაძეს, ხუტა ბერულავას...

ამ მოგონებებს რომ გავყვეთ, შორს წაგვიყვანს. მაგრამ ერთ ფაქტს მაინც გავიხსენებ. სამუშაო დღე მთავრდება და ერთად ვსხედვართ — გულრიფშის რაიკომის მდივანი ნაჭყებია, გალის რაიკომის მდივანი შარანგია და მე. რომელიღაც ჩვენგანმა თქვა, ნახევარ საათში მოსკოვის რეისი მიფრინავს და ხომ არ მოვინახულოთო ჩვენი მეგობარი, გუდაუთის რაიკომის მდივანი კონსტანტინე ოზგანი, რომელიც საავადმყოფოში იწვა და მკურნალობდა.

თითქმის შუაღამე იყო, როცა ჩავფრინდით მოსკოვში, ვინახულეთ ოზგანი, მოვიკითხეთ, კინაღამ ცრემლები გადმოუგორდა — თქვენ გარდა არავის გავხსენებივაროო. დილამდე ვისაუბრეთ.

ასეთი ურთიერთობები იყო. მაგრამ ყველაფერი მთავრდებოდა, როგორც კი გამწვავდებოდა სიტუაცია.

## დანაწევრებული და დაპირისპირებული ქართველობა

**— მწვავე სიტუაციიდან გამოსვლის არავითარი გზა არ ჩანდა?**

— იყო მომენტები, რომელთა გამოყენება ეფექტიანად, ორივე მხარისთვის სასარგებლოდ შეიძლებოდა. იყო მცდელობაც, მაგრამ...

როცა აფხაზეთში ძალიან დაიძაბა სიტუაცია, საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ სოხუმში ჩასვლა და იქაურ ამბებში გარკვევა მთხოვა. წავედით მე და გენერალი ლერი აბაშიძე. ამ დროს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები უკვე ორად არიან გაყოფილი — ქართულ და აფხაზურ დაპირისპირებულ მხარეებად. შევხვდით ქართველ დეპუტატებს თამაზ ნადარეიშვილის მეთაურობით. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ შეტაკება გარდაუვალი იყო. ვცდილობდი გადამერწმუნებინა. შუა კამათიდან გამომიხმეს და მითხრეს, რომ ალექსანდრე ანქვაბს სურდა ჩემთან შეხვედრა, და, მიუხედავად ქართული დეპუტაციის წინააღმდეგობისა, — რა გესაქმება ანქვაბთანო, შევხვდი. ვისაუბრეთ პირისპირ. ბოლოს მითხრა, რომ კარგი იქნება, თუ თქვენს მოსაზრებებს არძინბას გააცნობთო.

შევედით მის კაბინეტში და არძინბა მეუბნება:

— ჩვენთან არის ერთმანეთს დაპირისპირებული ათამდე ქართული პოლიტიკური ჯგუფი. მითხარით, ვისთან შემიძლია ვისაუბრო პრობლემურ საკითხებზე. ნუ მაიძულებთ, დავჯდე თვითმარქვიებთან (მიმანიშნა ვინმე ახალაიაზე, რომელიც მილიციის პოლკოვნიკობას იბრალებდა), ნარკომანთან. არ დავჯდები სასაუბროდ არც ბორის კაკუბავასთან (დაასახელა კიდევ რამდენიმე კაცი).

თბილისმა მითხრას, რომელია თქვენი ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური გაერთიანება და მისი ლიდერი, რათა, მასთან შევეცადოთ მოვაგვაროთ საკითხები, რადგან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატები განგვიდგნენ, მათთან დიალოგი შეუძლებელია, რადგან ერთი ნაწილი ერთი ჯგუფის მიერ იმართება, მეორე — მეორის მიერ და ერთიანი აზრი არ არსებობსო.

აფხაზები მაშინ მოითხოვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს, სანაცვლოდ იძლეოდნენ იუსტიციის მინისტრის პოსტს, სხვა პრაქტიკული წინადადებებიც ჰქონდათ, გამოყოფაზე ლაპარაკიც არ იყო.

— მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქართველი გვეყოლება, — მითხრა არძინბამ.

— ქართველები მოითხოვენ, რომ კანდიდატურა მათ შეარჩიონ და არა თქვენ.

— იცით, ვის მთავაზობენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ? — მეკითხება არძინბა და მისახელებს ისეთი კაცის გვარს, რომელსაც ვიცნობდი, როგორც საეჭვო რეპუტაციის, არცთუ სუფთა ადამიანს.

**— არ იტყვით იმის გვარს?**

— არა, არ ვიტყვი.

**— ახლა ცოცხალია?**

— მგონი, ცოცხალია და მოსკოვშია... არძინბას ვუთხარი, რომ ჩავიდოდი თბილისში და ხელმძღვანელობას მოვახსენებდი ჩვენი საუბრის შინაარსს.

თბილისში ჩამოსვლისთანავე დავწერე მოხსენებითი ბარათი, სადაც იმდროინდელი (და არა დღეის გადასახედიდან) ვითარებიდან გამომდინარე ჩემი შეხედულებები ჩამოვაყალიბე. დეტალურად ამ ყველაფრის შესახებ ჩემს წიგნში ვწერ, რომელზეც მუშაობას უკვე ვამთავრებ.

**— თქვენს მოხსენებით ბარათს როგორი რეაქცია მოჰყვა?**

— არავის არსად არ დავუძახივარ, თუმცა ვეცადე.

**— ბატონო ნაპოლეონ, გულახდილად მითხარით, გჯერათ, რომ ჩვენ და აფხაზები ოდესმე ერთი სახელმწიფოს საზღვრებში ვიცხოვრებთ?**

— პოლიტიკური ლოგიკა აქეთკენ მიდის. თუმცა ვშიშობ, რომ ვერც ჩვენი თაობა, ალბათ, ვერც ჩვენი მომდევნო თაობა ამას ვერ მოესწრება. ძალიან ღრმა და მტკივნეულია ის იარა, რომელიც ორივე ერს აქვს. თუმცა შეიძლება მოვლენების დაჩქარება, თუ ამისი პოლიტიკური ნება ექნება ზესახელმწიფოებს. მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა შევრიგდეთ — ქართველები და აფხაზები.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ბევრი უხეში შეცდომაა დაშვებული თუნდაც სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს და, პირველ რიგში, სწორი პოლიტიკური ანალიზია საჭირო. ვერც პასუხისმგებელ პირს ვხედავ ვინმეს, ყველა ერთმანეთს აბრალებს: შევარდნაძე — კიტოვანს, ის — სხვას და ასე შემდეგ. შედეგი კი არ გვაქვს.




ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გურამ ოდიშარია: აფხაზეთში, კვადრატული მეტრები კი არა, ადამიანები უნდა დავიბრუნოთ

**...ასე აღმოჩნდა საკუთარი ქალაქიდან, საკუთარი სახლიდან დევნილი მწერალი თბილისში. მაგრამ ომსა და ტკივილს არ გაუბოროტებია, მისი ყველა ნაწარმოები ისევ სიყვარულით, აფხაზების, აფხაზეთისა და ზღვის მონატრებითაა გამსჭვალული. ამბობს, რომ ყველაზე მეტად მშვიდობა და მშობლიური ქალაქის ჰარმონია ენატრება. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, წარსულის შეცდომებსა და ქართველებსა და აფხაზებს შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენის საკუთარ სტრატეგიაზე აფხაზეთიდან დევნილი მწერალი გურამ ოდიშარია გვესაუბრება.**



**„ზოგი სვამდა ჩაის, ზოგი — სამსახურში ილვწოდა, ზოგი უკვე ზღვისპირა ბაღში თვლემდა, მაგნოლიების ჩრდილქვეშ, ზოგიც ზღვაში ნებივრობდა, ზოგიც... და ვერავინ გაიგო, როგორ მოეპარა ომი ქალაქს, როგორ შემოსრიალდა, შემოგრუხუნდა, შემოხრიალდა. ზოგმა წლების შემდეგაც ვერაფერი გაუგო ომს“.**

*(ნაწყვეტი გურამ ოდიშარიას მოთხრობიდან „პრეზიდენტის კატა“)*

— ყველანაირად უნდა აგვერიდებინა თავიდან ომის დაწყება. ხშირად ამბობენ, რომ რუსეთია ყველაფერში დამნაშავე. მაგრამ ვერც რუსეთი და ვერც ამერიკა ვერ გაგაკეთებინებს იმას, რის უფლებასაც საკუთარ თავს არ მისცემ.

ერთ მაგალითს გავიხსენებ: როდესაც თბილისში სამოქალაქო ომი იწყებოდა, ორი ძმა ერთმანეთის საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩნდა და ერთმანეთს ტყვია ესროლეს, სასიკვდილოდ გაიმეტეს. დრო გავიდა და შერიგდნენ, ერთხელ მითხრეს, ხედავ, რუსეთმა ეს რა გაგვაკეთებინა, ერთმანეთისთვის ტყვია გვასროლინაო... თუ ერი ხარ, ყველაფერს მომზადებული უნდა დახვდე. ბაქოშიც სურდათ სამოქალაქო ომის გაჩაღება, დაპირისპირებაც მოხდა, მაგრამ ყველაფერი სისხლისღვრის გარეშე დამთავრდა.

**მახოვს, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, რადიკალმა აფხაზებმა ხალხი შეკრიბეს და უთხრეს — ნახეთ, ქართველები როგორ ხოცავენ ერთმანეთს, ეგენი ჩვენ დაგვინდობენო?**

**— თქვენ სახალხო დიპლომატიის მიმართულებით მუშაობთ, არაერთხელ იმყოფებოდით აფხაზეთში, გყავთ აფხაზი მეგობრები, როგორია აფხაზების დამოკიდებულება, არსებობს თუ არა ორი ერის შერიგების პერსპექტივა?**

— მე აფხაზეთში დავიბადე და გავატარე მთელი ცხოვრება. მყავდა აფხაზი მეზობლები, მეგობრები და ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, პირველ რიგში ადამიანური ურთიერთობებია მთავარი.

**ვინაიდან მე პოლიტიკოსი არ ვარ, ჩემთვის იმდენად საინტერესო არ არის პოლიტიკურ კონცეფციებზე მუშაობა და ვფიქრობ, გაცილებით მნიშვნელოვანია, ქართველებსა და აფხაზებს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენა. სანამ ომი დაიწყებოდა, ვხედავდი, როგორ ნელ-ნელა წყდებოდა ადამიანებს შორის ურთიერთობა, რადგან, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს თავისი სტერეოტიპები ჰქონდა, თავისი ლიდერები ჰყავდა, რომლებიც ერთმანეთში ვერ თანხმდებოდნენ.**

აფაზეთში საზოგადოება „ჭრელია“, უამრავი არასამთავრობო თუ პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე და ყველას თავისი გეგმა აქვს... ასევე განსხვავებულად ფიქრობენ ცალკეული მცხოვრებლები. ზოგს მიაჩნია, რომ ქართველებთან ურთიერთობა აუცილებელია, ზოგიერთებიც სრულიად საპირისპიროს ფიქრობენ, ტერმინოლოგიითაც კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

**ვერ ვიტყოდი, რომ დაიმსხვრა მტრის ხატი, მაგრამ იმასთან შედარებით, როცა მე 7 წლის წინათ პირველად ვიყავი აფხაზეთში, შეიძლება ითქვას, რომ ქართველებისადმი დამოკიდებულება შეცვლილია, რასაც ვერ ვიტყვით პოლიტიკურ ვითარებაზე. ბოლოს შარშანწინ ვიყავი და სოხუმში ბევრი ქართველი ვნახე.**

ომმა ორივე მხარეს დიდი მსხვერპლი მოუტანა. ამიტომ ერთმანეთს უნდა გავუგოთ, გავაანალიზოთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში, გავუგოთ, რა ტკივილი აწუხებთ მათ და ისიც ვიცი, რომ ისინიც მზად არიან, გაიგონ ჩვენი ტკივილი. დაღვრილი სისხლი ძალიან მძიმეა. **როგორ გინდა, ელაპარაკო ოჯახს, რომელსაც ომში სამი შვილი დაეღუპა? შორიდან სხვა აფხაზეთი ჩანს, ისევე, როგორც იქიდან ჩანს სხვა საქართველო.**

პირველ რიგში, მიზეზები უნდა მოიძებნოს, რატომ დაიღვარა სისხლი, რა შეცდომა დავუშვით, ამ მოვლენების ანალიზი კი ჯერ არ მომხდარა. სამწუხაროდ, ჩვენი კონფლიქტი იმდენად მასშტაბური გახდა და უკვე ისეთი ქვეყნები არიან ჩართული ამ საქმეში, როგორიც ამერიკა და რუსეთია, რომ კონფლიქტის დასრულებაც გართულდა. როდესაც კონფლიქტი იწყებოდა, მაშინ შეიძლებოდა ეს ყველაფერი აფხაზი და ქართველი ლიდერების მეშვეობით გადაწყვეტილიყო, მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი ლიდერები მაშინ არც ერთ მხარეს არ აღმოჩნდნენ.

**— თქვენ აპოლიტიკური ადამიანი ხართ, გაქვთ ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხელოვანებთან, მაგრამ რამდენად შესაძლებელია პოლიტიკოსების გარშე ამ ურთიერთობების მოგვარება?**

**— გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, საბოლოოდ ისევ პოლიტიკოსებმა უნდა მიიღონ, მაგრამ სახალხო დიპლომატიას აქვს ერთი უპირატესობა — იგი არსებობს მაშინაც, როდესაც პოლიტიკოსები ვერ ელაპარაკებიან ერთმანეთს.**

**— ამჟამად რა ეტაპზეა პროცესები?**

— პოლიტიკური დიალოგი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სახალხო დიპლომატია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამხელა უბედურებაში ეს უდავოდ დიდი ბედნიერებაა, რადგან მსოფლიოში მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს, რომ მხარეებს ომის შემდგომ მაინც ასეთი მიმოსვლა და ურთიერთობა ჰქონდეთ.

**ბევრი უხეში შეცდომაა დაშვებული თუნდაც სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს და, პირველ რიგში, სწორი პოლიტიკური ანალიზია საჭირო. ვერც პასუხისმგებელ პირს ვხედავ ვინმეს, ყველა ერთმანეთს აბრალებს: შევარდნაძე — კიტოვანს, ის — სხვას და ასე შემდეგ. შედეგი კი არ გვაქვს.**

**— მართალია, თქვენ როგორც აღნიშნეთ, ადამიანური ურთიერთობები გაუმჯობესდა, წყენა გაფერმკრთალდა, მაგრამ, რაც დრო გადის, როგორ ფიქრობთ, დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ არ მუშაობს და „ზღვა, რომელიც შორია“, კიდევ უფრო გვშორდება?**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მძიმე ვითარება და გაურკვეველი მომავალი გვაქვს, მაგრამ ისტორიულად ცნობილია, რომ ცუდი ვითარება, შესაძლოა, მოულოდნელად შეიცვალოს. ჩვენ ოკეანეში ვართ და ტალღები პატარა ნავივით გვათამაშებს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთ კონტაქტი აფხაზურ მხარესთან.

**შეცდომა იყო იმის ყვირილი, რომ ჩვენ კვადრატული მეტრებით დავიბრუნებთ აფხაზეთს, ჩემთვის ადამიანის დაბრუნება უფრო მეტია, ვიდრე კვადრატული მეტრის, რადგან თუ აფხაზი შემოაბრუნე შენკენ, ის კვადრატული მეტრიც შემობრუნდება.**

**— თქვენს ყველა მოთხრობასა თუ ინტერვიუში ყოველთვის ძალიან ტოლერანტულად ხართ განწყობილი, თუცა ბევრი ფიქრობს, რომ სწორედ გადაჭარბებულმა ტოლერანტობამ მოგვიტანა ის, რომ საქართველომ საკუთარი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა...**

— ჩვენ ტოლერანტული პოლიტიკა არ გვქონია, ვინაიდან ტოლერანტული პოლიტიკა, უპირველესად, დიალოგში მჟღავნდება, ჩვენთან კი ჯერ იყო ეროვნული ტალღის აბობოქრება, მერე — დაპირისპირება. საქართველო გაიხლიჩა და ომიც დაიწყო.

**არსებობს ასეთი თეორია და საკმაოდ არგუმენტირებულიც, რომ აფხაზეთის ომი სამოქალაქო ომის შესაჩერებლად დაიწყო. ჩვენ რომ ტოლერანტულები ვყოფილიყავით, ყველანაირად შევეცდებოდით, ეს ომი თავიდან აგვეცილებინა. მიმაჩნია, რომ მაშინდელმა ქართულმა და აფხაზურმა პოლიტიკამ „სხვისი“ საქმე გააკეთა. რაც რუსეთმაც გამოიყენა და, შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც იყენებენ.**

**«როდესაც კონფლიქტი იწყებოდა, მაშინ შეიძლებოდა ეს ყველაფერი აფხაზი და ქართველი ლიდერების მეშვეობოთ გადაწყვეტილიყო, მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი ლიდერები მაშინ არც ერთ მხარეს არ აღმოჩნდნენ».**

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

## გამოხმაურებანი

**თემურ შაშიაშვილი, „თეთრი მოძრაობის“ ლიდერი:**



აზერბაიჯანის მაღალი თანამდებობის პირები საქართველოში ფულს დაუფარავად აკეთებენ. მაგალითად, აზერბაიჯანის გენერალურ პროკურორის ძმასთან საქართველოში გზების გაყვანაა დაკავშირებული.

*„კვირის ქრონიკა“*

**ვალერი გელბახიანი, პოლიტემიგრანტი:**



ახლა ბოლო სიტყვა ეკუთვნის ქართველ ხალხს და თუ ქართველი ხალხის ნება იქნება, სააკაშვილის რეჟიმი შეიცვლება! დიახ, ამ რეჟიმს უკვე ვერავინ და ვერაფერი გადაარჩენს!

*„ასავალ-დასავალი“*

**შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:**



მე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ რამაზ კლიმიაშვილი არის მოკლული და ეს მკვლელობა უკავშირდება მის პოლიტიკურ საქმიანობას, იმას, რომ ბატონი რამაზი მწვავედ იყო დაპირისპირებული ამ ხელისუფლებასთან.

*„ასავალ-დასავალი“*

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**



2011 წლის გაზაფხულზე არის უნიკალური შანსი, რომ საქართველოში ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები... საქართველო ძალიან რთულ ფაზაშია და ბევრი რამეა მოსაფიქრებელი ახალი რეფორმების გასატარებლად. არის მტერი, რომელიც თუ დარჩება, ჩვენი სახელმწიფო გაქრება.

**obieqtivi.net**

**ეკა ბესელია, „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერი:**



ჯარი ხალხის გვერდით დადგება. მხოლოდ რამდენიმე დაქირავებული ზონდერი თუ დაიცავს მიშას, მაგრამ ქართველი ხალხი მაინც გაიმარჯვებს!

*„ასავალ-დასავალი“*

მოკლედ

## მეფე აბდალა ფეისბუქს ყიდულობს

საუდის არაბეთის მეფე აბდალას სოციალური ქსელის — **ფეისბუქის** 150 მილიარდ დოლარად ყიდვა სურს. აბდალას მიზანია, არ დაუშვას ე. წ. მრისხანების დღის მოწყობა, რომელსაც **ფეისბუქის** ბლოგერები გეგმავენ. ექსპერტები ამბობენ, რომ **ფეისბუქის** საბაზრო ღირებულება 50 მილიარდი დოლარია. მეფე აბდალა კი მზად არის, მის დამფუძნებელს სამჯერ მეტი გადაუხადოს. საუდის არაბეთის ხელისუფლება შიშობს, რომ აქციების გამართვის შემთხვევაში ეგვიპტური სცენარი გათამაშდება.




## ეგვიპტის პრემიერი გადადგა

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი აჰმედ შაფაკი თანამდებობიდან გადადგა. ახალ პრემიერ-მინისტრად ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრი ისამ შარაფი დაინიშნა. მას ახალი მთავრობის ფორმირება დაევალა. შაფაკი პრემიერ-მინისტრად ქვეყნის პრეზიდენტის — ჰოსნი მუბარაქის გადადგომამდე ერთი დღით ადრე დაინიშნა. ეს დანიშვნა ქვეყანაში მასობრივი არეულობების ფონზე მოხდა. მის გადადგომას კაიროს მოსახლეობა კვლავ ტაჰრირის მოედანზე შეკრებით მოითხოვდა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„არმია არ იწვრთნება ამბოხებათა ჩასახშობად. არმია იწვრთნება ტერიტორიისა და ხალხის დასაცავად. მისი არასწორად გამოყენების შემთხვევაში იგი იშლება, ირღვევა. მაგალითად, შეიძლება დაირღვეს შიდაარმიული დაპირისპირებით, როცა გაიყოფა გარნიზონი მეთაურის გემოვნების შესაბამისად — ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რაც პირდაპირი გზაა სამოქალაქო ომისკენ, რომლის სცენარი ყველაზე ცუდია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მითუმეტეს, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა თავისი მყიფე ეკონომიკური ბაზითა და დემოგრაფიული პრობლემებით.“

# ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული არმიის, უწინარესად, დიქტატორს უნდა ეშინოდეს

**დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე, რომელიც ამჟამად IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის პრორექტორი და სრული პროფესორია.**

**18 თებერვალს უშიშროების საბჭოს წევრებთან ოპერატიულ თათბირზე, რომელზეც სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხი განიხილებოდა, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საქართველოს მხრიდან მოსალოდნელ პრობლემებზე ილაპარაკა, რაც „მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამართალდამცავი ორგანოებისა და ძალოვანი სტრუქტურების ხაზით... ნებისმიერი პროვოკაციის გზაზე სათანადო წინააღმდეგობა უნდა აღიმართოს“. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს არის, უკეთეს შემთხვევაში, ბოლო გაფრთხილება.**

**— ბატონო დავით, რამდენად „შეეფერება სიმართლეს“ მტკიცება, თითქოს ქართული ჯარის ჩამოყალიბება 2003 წლის შემდეგ დაიწყო?**

— ჯარის ჩამოყალიბება დაიწყო 1990 წლის ბოლოს — იმდროინდელი გვარდიის ბაზაზე იქმნებოდა გარკვეული სამხედრო ნაწილები. არმიის შექმნა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც, შეიძლება, ახლაც გრძელდება, წლები სჭირდება, საუკუნეები თუ არა. ერთი თაობის საქმე არ არის ეს. შეიარაღებული ძალები, რომლებიც დღეს რეალურ არმიებად წარმოგვიდგება, ხელეწიფება გარკვეული ნიშების შეცვლა, სულ ცოტა, 300 წელიწადია, ასპარეზზე არიან გამოსული. მარცხიც ჰქონიათ, წარმატებაც. ევროპაში ერთ-ერთი უძველესი არმია თურქეთის არმიაა — 600 წელს ითვლის იგი. მოკლედ, თანამედროვე ქართული არმიის შექმნა დაიწყო პრეზიდენტ გამსახურდიას დროს. ჩემი მინისტრობის პერიოდში უბრალოდ გაიხსნა კარი საერთაშორისო დახმარებისთვის: 17-18 ქვეყანასთან გვქონდა ურთიერთობა.

**— ამდენთან?**

— კი. საგნობრივი ურთიერთობა გვქონდა.

**— რამდენად ძლიერი არმია გვყავს ჩვენ დღეს, ბატონო დავით?**

— აქ სხვანაირად დავსვამდი საკითხს. არ არსებობს დღეს არმია, რომელსაც შეეძლება მარტომ გასწიოს წინააღმდეგობა. არმია არის ინსტრუმენტი, რომელიც გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად არსებობს. მცირეა არმია, მცირეა მისი გადასაწყვეტი ამოცანებიც.

ამ შემთხვევაში ქვეყნის მზაობა იგულისხმება. თუ ქვეყანა არ არის მზად ეკონომიკურად, ადამიანური რესურსებით და ასე შემდეგ, რაგინდ კარგი არმია ჰყავდეს, თუ ეს ნორმა მოშლილია, ანუ **არ არის ხელისუფლების ნება, ხალხის ნება, არ შეეგუოს ინტერვენციას, პლიუს ეკონომიკური რესურსი, მაშინ წინააღმდეგობის გაწევაზე ლაპარაკი ზედმეტია.**

ამ სამ კომპონენტთან ერთად უნდა იყოს **მუდმივი მოწოდება**. მაგრამ ეკონომიკური რესურსები საქართველოში რეალურად შეზღუდულია. ავიღოთ თუნდაც იარაღი, რომელსაც აქვს ერთი თვისება — ცვდება. საქართველოში კი არ გვაქვს იარაღის წარმოება.

**— მოწოდებაც შეგვიზღუდეს.**

— საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომლის მიხედვით, ყველა თავს იკავებს კონფლიქტური რეგიონებისთვის იარაღის მიწოდებისგან, რათა ბიძგი არ მიეცეს კონფლიქტების ან განახლებას, ან გამძაფრებას. ეს ბუნებრივი და ლოგიკური პოზიციაა. დღეს სწორედ ასეთ პირობებში ვიმყოფებით.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ გზა გაგვეხსნა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისკენ. ვმონაწილეობდით ევროპის ქვეყნების სამშვიდობო მისიებში, სადაც პრინციპულად დიდი პრობლემები არ ყოფილა. მაგრამ ავღანეთი, ბატონო დავით? დანაკარგები, რომელთაც იქ განვიცდით, არის ადეკვატური იმ დახმარების, რასაც ამერიკა გვიწევს?**



## დავით თევზაძე: აფხაზეთის ომი, ომი სამარჩაბლოში რჩება სამოქალაქო ომად

— ამ პრობლემასთან უშუალო შეხება არ მაქვს. მაგრამ ისე ჩანს, რომ წინასწარი წვრთნის პროცესი, რომელიც ფოკუსირებული იყო სამშვიდობო მისიაზე, შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდა იმისგან, რაც ჩვენებს იქ, ავღანეთში დახვდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი დიდი დანაკარგი არ გვექნებოდა.

**— თქვენ, როგორც საბრძოლო მეთაური, მონაწილეობდით აფხაზეთის ომში. დღეს ამ ომზე ძალიან ბევრს და კატეგორიულად ლაპარაკობენ ისინი, ვინც იმ დროს, შეიძლება, დაბადებულიც არ იყო.**

**მოვიგებდით იმ ომს, ბატონო დავით? იყო საამისო რაიმე წინაპირობა? რამ შეგვიშალა ხელი?**

— გეტყვით, რომ ომის მოგების წინაპირობები, როგორც ჩანს, არ არსებობდა. თუმცა მშვიდობის უზრუნველყოფა, ალბათ, შესაძლებელი იყო; ყოველ შემთხვევაში, იმაზე უკეთესის, როგორიც დღეს გვაქვს. დღევანდელი გადასახედიდან, როცა მეტი გამოცდილება შევიძინეთ, ასე ჩანს.

**— მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთის ომი იყო ისეთი, რომელშიც არ შეიძლება ყოფილიყო გამარჯვებული?**

— **აფხაზეთის ომი, ომი სამარჩაბლოში რჩება სამოქალაქო ომად. ქვეყნის მოქალაქეების ერთი ნაწილი იარაღით დაუპირისპირდა მეორე ნაწილს. სახელმწიფოსთვისაც წამგებიანი იყო და ხალხისთვისაც. სამოქალაქო ომი შინაგანად უფრო სასტიკი და არაადამიანურია. არავითარი მექანიზმი არ არსებობს მისი სამართლებრივი რეგულირებისთვის.**

**— სასტიკიო, თქვით. თქვენ, როგორც მეთაური, ჩვენს ჯარისკაცებს განაწყობდით სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლისთვის? მტრის მოსპობა-განადგურებისთვის, რადგან ომში არც ანგელოზები არიან, არც დემონები?**

— არანაირი ასეთი ბრძანება არ გაცემულა. არც არავის სჭირდებოდა ასეთი აგიტაცია. ომში რომ ჩავერთე, გაგრა უკვე დაკარგული იყო. იქაურ სტადიონზე სისასტიკე უკვე ჩადენილი ჰქონდათ ჩეჩნებს. ჩვენს მებრძოლებში ძალიან ძლიერი იყო შურისძიების გრძნობა, ამიტომ მათ არანაირი წაქეზება არ სჭირდებოდა.

**— ამ ბოლო კვირების განმავლობაში ერთი თემა წამოიწია განსაკუთრებით: დიქტატორი და არმია. დიქტატურა, უწინარეს ყოვლისა, არმიის საძირკველზე დგას, შემდეგ — ძალოვანი სტრუქტურების სისტემაზე.**

— არმია არსებობს იმისთვის, რომ ხალხი დაიცვას. არმიის გამოყენება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არასწორია. დიქტატორს უნდა ეშინოდეს, რომ ჯარი გამოიყენა ხალხის წინააღმდეგ. აუცილებლად უნდა ეშინოდეს! ისე ჩანს, რომ კადაფის თავისი ქვეყნიდან წასასვლელი არსად არ აქვს. ეს ძალიან სახიფათოა. ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციებში ოქროს გასასვლელს უტოვებენ ნებისმიერ ალყაშემორტყმულ გარნიზონს თუ სხვა საჯარისო დანაყოფს. თუ ასეთი დერეფანი არ არსებობს, ალყაში მოქცეულთა ბრძოლისუნარიანობა იზრდება, რადგან მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი თავგანწირვით ბრძოლაა. შედეგად იზრდება მსხვერპლის რაოდენობა ორივე მხრიდან. ლიბიის შემთხვევაში ჯობდა, რომ რომელიმე ქვეყანას შეეთავაზებინა მუამარ კადაფისთვის თავშესაფარი. ყველა სხვა ვარიანტით მოვლენების განვითარების პირობებში კადაფი ბოლომდე იბრძოლებს.

**— ესე იგი, არმია არსებობს ხალხის დასაცავად. თუ დიქტატორი დაუპირისპირდება ხალხს, არმია დაუპირისპირდება დიქტატორს, შეიძლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში არმიამ მხარი დაუჭიროს დიქტატორს, მაგრამ დიქტატორს, უწინარეს ყოვლისა, უნდა ეშინოდეს არმიის.**

— ასე გამოყენებული არმიის.

**— 2003 წლის ნოემბერში ვის მხარეს იდგა არმია, ბატონო დავით? იმ დროს, როცა თქვენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყავით?**

— არმია ასრულებდა თავის ძირითად დანიშნულებას. სიტუაციას ძაბავდა გარნიზონებში შეღწევის მცდელობა, რაც გამოიწვევდა იარაღის უკონტროლოდ გადინებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ იმ დღეებში არც დამდგარა არმიის არადანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხი.

**— დავუშვათ და ახლოაღმოსავლური არეულობის ტალღამ საქართველოსაც გადაუარა... როგორ ფიქრობთ, რას იზამს არმია ასეთ შემთხვევაში?**

— (პაუზა). რა და როგორ იქნება, ამაზე ლაპარაკი მარჩიელობას დაემსგავსება. შემიძლია ვთქვა, რა იქნება უმჯობესი. როგორი არეულობაც გინდა იყოს ქვეყანაში, არმიის ამოცანებს ვერავინ შეცვლის. **არმია არ იწვრთნება ამბოხებათა ჩასახშობად. არმია იწვრთნება ტერიტორიისა და ხალხის დასაცავად. მისი არასწორად გამოყენების შემთხვევაში იგი იშლება, ირღვევა. მაგალითად, შეიძლება დაირღვეს შიდაარმიული დაპირისპირებით, როცა გაიყოფა გარნიზონი მეთაურის გემოვნების შესაბამისად — ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რაც პირდაპირი გზაა სამოქალაქო ომისკენ, რომლის სცენარი ყველაზე ცუდია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მითუმეტეს, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა თავისი მყიფე ეკონომიკური ბაზითა და დემოგრაფიული პრობლემებით.** არ ვართ იმდენად გაფოფინებული, რომ ერთმანეთს თავი დავახოცინოთ.

სამოქალაქო ომი რომ არ მოხდეს, ამის ერთადერთი გარანტორი არის არმია, რომელიც ინარჩუნებს თავის მთლიანობას, არ ტოვებს გარნიზონების ტერიტორიას და აგრძელებს ფუნქციონირებას.

**— ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთში არის ჩვენთვის გაკვეთილი?**

— ისტორიამ ბევრი გაკვეთილი დაგვიტოვა. შემთხვევით არ არის ნათქვამი, რომ ისტორია მასწავლებელია. მაგრამ მე ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ისტორიიდან ესწავლოს რამე. ყველა მაინც და მაინც თავისი გამოცდილების მიხედვით ცდილობს სიარულს, პოლიტიკოსები — განსაკუთრებით (*ეღიმება*).

**— სლენგი რომ ვიხმარო, ქაჩავს ჩვენი ავტორიტარიზმი დიქტატურამდე?**

— პოლიტიკურ კომენტარებს არ ვაკეთებ (*იცინის*).

**— ბოლო შეკითხვა — ფილოსოფიურ ჭრილში, რომელიც იმდენჯერ მეორდება, რომ ბანალურად ობივატელური ხდება: რა გვეშველება?**

— მაგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა რომ შემეძლოს, საკუთარ თავს ვუშველიდი, უპირველესად...

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

---

მოკლედ

## გაერო ბელარუსს ბოდიშს უხდის

გაერომ მის მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაციისთვის, რომლის მიხედვითაც მინსკი კოტ-დივუარში იარაღს აგზავნიდა, ბელარუსის ხელისუფლებას ბოდიში მოუხადა. გაეროს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის მეთაური ალან ლე რუა განმარტავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია კოტ-დივუარში გაეროს მისიის წარმომადგენლის ცნობების საფუძლვეზე გავრცელდა, „ეს ცნობები სიმართლეს არ შეესაბამება და ბელარუსის წარმომადგენელს ბოდიში უკვე მოვუხადეთ“.



## მუბარაქის ვაჟმა ლამის თავი მოიკლა

ეგვიპტის ექს-პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის ვაჟმა ჯამალ მუბარაქმა სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება სცადა. ჯამალ მუბარაქი თავის მოწამლვას აპირებდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ეგვიპტელმა სამხედროებმა სხვადასხვა ბანკიდან მის მიერ განაღდებული მილიონობით დოლარის დაბრუნება მოითხოვეს. მუბარაქის ვაჟი შარმ-ელ-შეიხის საოჯახო რეზიდენციაში გონდაკარგული იპოვეს. ოჯახის ექიმის დახმარებით იგი გადარჩა.



2007 წლის 7 ნოემბერს ნინო ბურჯანაძეს საერთოდ არ აინტერესებდა ქართული საზოგადოება, დღეს კი მგზნებარე და გულანთებულ ოპოზიციონერად მოგვევლინა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## გიორგი ლაღიძე:

# ვაიოპოზიციონერებმა ბურჯანაძემ და ნოღაიდელმა მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში ყოფნა გაუხანგრძლივეს

**მერობის ყოფილი კანდიდატი, პროფესიით იურისტი გიორგი ლაღიძე პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი და სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის ორგანიზაციის პრეზიდენტია. მისი აზრით, იმ მძიმე სოციალურმა ფონმა, რომელიც დღეს საქართველოშია, აუცილებლად უნდა გამოიწვიოს საპროტესტო გამოსვლების ახალი ტალღა, რაც ხელისუფლების შეცვლით დამთავრდება. ამისათვის კი, ლაღიძის აზრით, აუცილებელია საზოგადოება გაემიჯნოს ვაიოპოზიციონერებს, რათა კიდევ ერთხელ ჩიხში არ შევიდეს პოლიტიკური პროცესები და ფუჭად არ გაიფლანგოს ქართველი ხალხის გულწრფელი ემოციები.**

### არც ერთი საპროტესტო აქცია არ ემსახურებოდა სააკაშვილის რეჟიმის დამხობას



**— ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გაზაფხულზე სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება. თქვენი აზრით, როდემდე მოითმენს ქართული საზოგადოება ხელისუფლების შეცდომებს?**

— ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ვითარებაა. ადამიანებს უჭირთ თავის რჩენა. ეს განპირობებულია იმით, რომ საკვებ პროდუქტებზე ფასები კატასტროფულად გაიზარდა, ზოგიერთზე — 100 პროცენტითაც. მოიმატა ფასმა საწვავზე. ეს ეკონომიკურ ვითარებას უფრო ამძიმებს. ხშირად ხელისუფლება მიზეზად მსოფლიო კრიზისს იშველიებს, თუმცა მიმაჩნია, რომ, რაც ჩვენთან ხდება, შიდაკლანური დაპირისპირებისა და ბიზნესის გადანაწილების ბრალია. საკვირველი, იცით, რა არის? — სომხეთში გაცილებით უფრო იაფია შაქარი, ვიდრე საქართველოში. არადა, იქაც ერთი შაქრის ქარხანა აქვთ და საქართველოშიც. რატომ უნდა ხდებოდეს ისე, რომ საქართველოში შაქრის ფასი სომხეთისაზე ბევრად მაღალია?! ეს თავისთავად ვიღაცის ბიზნეს-ინტერესებშია. სხვა ქვეყანასთან შედარებით, შეღავათიან ფასად ვღებულობთ საწვავს, თუმცა ამით ხელისუფლება მანიპულირებს, გლობალურ კრიზისს უკავშირებს ფასების მომატებას და ზრდის ფასს, რისი საშუალებითაც ცალკეული ჩინოვნიკების ჯიბეში მილიონები ილექება.

**— მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ამ ყველაფრის მიმართ პროტესტი არსებობს, რეალურად არაფერი კეთდება მის შესაჩერებლად.**

— დღეს ქართველი ოპოზიციონერები ერთმანეთს ტალახს ესვრიან, იმის მაგივრად, რომ რაიმე რეალური გააკეთონ ხელისუფლების წინააღმდეგ. სამარცხვინოა ასეთი საქციელი! თუმცა დასასრული ვაიოპოზიციისა და ხელისუფლების ამ თავაშვებულობას აუცილებლად ექნება. **შეიძლება საზოგადოებას სულაც არ დასჭირდეს რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ლიდერი და ისე ქაოტურად გამოვიდეს ამ მძიმე სოციალური გარემოს გამო ქუჩაში.** ეს პროცესი კი გამოიწვევს არა მარტო ხელისუფლების შეცვლას, არამედ ვაიოპოზიციის კრახსაც.

### ნინო ბურჯანაძე არა ოპოზიციონერი, არამედ საკუთარი ქონების დამცველია

**— თქვენ პატიმრების უფლებების დამცველიც ხართ, რა ხდება ამ მხრივ ქართულ საპყრობილეებში?**

— პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე დაუფარავად საუბრობენ, რომ საქართველოში პატიმართა უფლებების დაცვის მხრივ უმძიმესი მდგომარეობაა. მერწუნეთ, შევარდნაძის პერიოდში გაცილებით უფრო ღია იყო სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, ვიდრე ახლა. მაშინ მე პატიმართა უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობდი და თავისუფლად შევდიოდი დაწესებულებებში, ვესაუბრებოდი პატიმრებს და პირველი პირისგან ვიღებდი ინფორმაციას. როდესაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ფაქტობრივად, ჩარაზა სასჯელაღსრულების კარი. ახლა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახურისგან ვიღებ გაფილტრულ ინფორმაციას, იმას, რაც მათ აწყობთ. ეს თავისთავად არ არის ობიექტური ინფორმაცია. **ხშირად მიკავშირდებიან პატიმრები, მათი ახლობლები და მიყვებიან, როგორ ცემენ და ამცირებენ პატიმრებს. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ამ მხრივ გლდანის საპყრობილეში, ქსანში, ქუთაისსა და რუსთავის ახლადაშენებულ ციხეებში.** მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკისა, ხელისუფლება მაინც არ აპირებს ამ მდგომარეობის გამოსწორებას. ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ესაა სისტემური ხასიათის პრობლემა და კონკრეტულად რომელიმე დაწესებულების დირექტორის დონეზე არ წყდება. ეს მოდის უფრო ზემოდან. სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ იქ, სადაც აწყობდა, დაამყარა წესრიგი, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხა ციხეებში ვითარების გამოსწორება. ეს იმიტომ ხდება, რომ არ აწყობთ, არ უნდათ.

**დღეს ჩვენი სასამართლოები ნოტარიუსებად იქცა. აკანონებენ ყველა იმ გარიგებას, რასაც პროკურატურა ითხოვს. ეს არაა სასამართლო სისტემა. ესაა ხელისუფლებისგან დაშინებული სასამართლო. დღეს პროკურატურა სასამართლოს მეშვეობით ახდენს მოსახლეობისგან თანხის ამოღებას და ამით ბიუჯეტის შევსებას.**

**— გვახსოვს გამოსვლები, რომლებიც საზოგადოებისთვის უშედეგოდ დამთავრდა. რატომ გგონიათ, რომ მორიგი პროტესტი წარმატებული იქნება?**

— არც ერთი საპროტესტო აქცია, რაც აქამდე ჩატარებულა, არ ემსახურებოდა სააკაშვილის რეჟიმის შეცვლას. პირიქით, ადამიანებმა, ვინც ამ აქციებს ორგანიზებას უკეთებდა, სააკაშვილს, უბრალოდ, ხელისუფლებაში ყოფნა გაუხანგრძლივეს.

**— ვის გულისხმობთ?**

— ვაიოპოზიციონერებს, როგორებიც არიან ბურჯანაძე, ნოღაიდელი... იმ „ოპოზიციონერებს“, რომლებსაც მთელი გაზაფხულის განმავლობაში ადამიანები გამოჰყავდათ ქუჩაში. საკნები მოაწყვეს რუსთაველზე, ტელევიზიასთან და საზოგადოებას ატყუებდნენ, რომ სააკაშვილი ასე წავიდოდა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი შეკრული იყვნენ ხელისუფლებასთან, რათა გაეხანგრძლივებინათ სააკაშვილის რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობა. ამ ადამიანებმაც უნდა გადაინაწილონ პასუხისმგებლობა ყველა იმ შეცდომაზე, რაც სააკაშვილმა წლების განმავლობაში დაუშვა, და აგონ პასუხი. **ბურჯანაძე წლების განმავლობაში იყო ამ ხელისუფლებაში და რატომღაც 2007 წლის 7 ნოემბერს საერთოდ არ გახსენებია ქართული საზოგადოება.** მეც იქ ვიყავი, ტრიბუნასთან, როდესაც დაიწყეს ხალხის დარბევა, და კარგად მახსოვს ბურჯანაძის განცხადებები. **მას საერთოდ არ აინტერესებდა მაშინ ქართული საზოგადოება, დღეს კი მგზნებარე და გულანთებულ ოპოზიციონერად მოგვევლინა.** ნინო ბურჯანაძე არა ოპოზიციონერი, არამედ საკუთარი ქონების დამცველია. ცდილობს იმ მილიონების ლეგალიზაციას, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში იშოვა, ასევეა ნოღაიდელიც.

ჩვენი საზოგადოება არ გაემიჯნა ამ ვაიოპოზიციონერებს და ერთხელ და სამუდამოდ ისინი ამ პროცესებს არ ჩამოაშორა. მერწუნეთ, კიდევ ერთხელ შევა ჩიხში პოლიტიკური პროცესები და ფუჭად გაიფლანგება ქართველი ხალხის გულწრფელი ემოციები.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

### ხშირად ხელისუფლება მიზეზად მსოფლიო კრიზისს იშველიებს, თუმცა მიმაჩნია, რომ, რაც ჩვენთან ხდება, შიდაკლანური დაპირისპირებისა და ბიზნესის გადანაწილების ბრალია.

## მაჟრაზებულნი

**ევგენი პრიმაკოვი,** **რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**



ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივა იმ შემთხვევაში იარსებებს, თუ ქართული მხარისგან მტრული რიტორიკა შეწყდება და საქართველო თანხმობას განაცხადებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას მოაწეროს ხელი.

*„Аргументы и факты“*

**სერგეი მარკოვი,** **რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრი:**



საქართველოს სპეცსამსახურები მხარს უჭერს ისლამისტურ იატაკქვეშეთს. ეს ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის დაძაბვისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის დახმარების გაწევაში ხელის შეშლის მიზნით კეთდება. ყოველივე ზემოთქმული ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე ხორციელდება. ფული, რომელსაც ამერიკელი გადამხდელები იხდიან, აშშ-ის ბიუჯეტში მიდის, შემდეგ — ამერიკის სპეცსამსახურებში, შემდეგ — საქართველოს სპეცსამსახურებში, შემდეგ — ისლამურ იატაკქვეშეთში. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მხრიდან ამგვარი მხარდაჭერა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მორიგი შეჭრის მზადებაზე მიგვანიშნებს.

*rosbalt.ru*

**კონსტანცა შტელზენ-მიულერი,** **აშშ-ში მარშალის გერმანული ფონდის ექსპერტი:**



ვთვლი, რომ ნატოს გაფართოების პოლიტიკა საქართველოსთან დაკავშირებით არასწორი იყო, რამდენადაც ეს ქვეყანა წევრობისთვის არც კონსტიტუციური წყობით, არც შიდა სტაბილურობის და არც შიდა მმართველობის კუთხით მზად არ არის. რამდენადაც საქართველოს შიდა მმართველობის პრობლემა ჰქონდა, მასთან, როგორც ნატოს წევრთან მუშაობა ძალიან ძნელი იქნებოდა. აი, ამიტომ აშშ-ის არასწორი ქმედებებისა და ევროკავშირის უმოქმედობის გამო ჩვენ ნაწილობრივ დამნაშავე ვართ იმაში, რაც საქართველოში მოხდა. ამჟამად გამოწვევა ისაა, რომ საუკეთესო პოლიტიკა შევიმუშაოთ და წინ წავიწიოთ.

*„პირველი“*

მოკლედ

## პან გი მუნი შეშფოთდა



„ჩვენ ვითხოვთ, დაუყოვნებლივ დამთავრდეს მოქალაქეების მიმართ ძალადობა და დააფასონ ადამიანის უფლებები, მათ შორის, თავისუფლად შეკრებისა და აზრის გამოხატვის უფლება“, — აღნიშნა გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა ლიბიასთან დაკავშირებით. მან ასევე მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი კომისიის შექმნას ლიბიაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით და შეშფოთება გამოთქვა იქ ადამიანების დაღუპვისა და მიმდინარე რეპრესიების გამო.

## ლიბიაში ამერიკული ხომალდები გაგზავნეს

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა განაცხადა, რომ ლიბიის საჰაერო სივრცის დახურვისთვის თავდაპირველად საჭიროა ამ ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განადგურება. ამასთან, ამერიკის ორმა სადესანტო ხომალდმა სუეცის არხი გადაკვეთა და გავიდა ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში, სადანაც კურსი ლიბიის სანაპიროსკენ აიღო. მანამდე არხი გაიარა კიდევ ერთმა ამერიკულმა სამხედრო ხომალდმა, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში იმყოფება.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

2008-დან 2010 წლამდე სახელმწიფომ კერძო კომპანიებისგან ბითუმად შეისყიდა 340 მილიონი ლარის ღირებულების დაზღვევები. ეს დაზღვევები შექმნილია, როგორც დასაქმებული, ასევე სოციალურად დაუცველი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანებისთვის. ამ 340 მილიონი ლარიდან ხალხის მომსახურებაზე, რეალურად, მხოლოდ 90 მილიონი ლარი დაიხარჯა, კერძო კომპანიების მოგება კი, იცით, რამდენია? 250 მილიონი ლარი!



# სუიციდის, მოზარდთა შორის აბორტისა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიო ლიდერთა შორისაა

**მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ბევრს საუბრობენ დემოგრაფიული პრობლემების „გამოსწორებასა“ და ქართველების „გამრავლებაზე“, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს, თუ როგორ იმატა თვითმკვლელობის შემთხვევებმა და ჩვილთა სიკვდილიანობამ საქართველოში. ქართული მედიაც, ფაქტობრივად, სუიციდის რეკლამას ეწევა. დღე არ გავა, რომ საინფორმაციო საშუალებებში არ გადმოსცენ მსგავსი შემთხვევების შესახებ. და ეს მაშინ, როდესაც ხელისუფლების დეკლარირებით საქართველო ლამის სამოთხეა. არადა, საინტერესოა, რატომ უნდა გაუჩნდეს ამ „სამოთხედქცეულ“ ქვეყანაში მოქალაქეს თვითმკვლელობის სურვილი?!**

## ფსიქოლოგიის პროფესორი ხელისუფლებას ერის გენოციდში ადანაშაულებს



საქართველოში თავს ძირითადად ვალების, გაჭირვების გამო იკლავენ ჯანმრთელი ადამიანები ან ფსიქიურად შეშლილები იქცევიან ასე. თვითმკვლელობის გამომწვევ მიზეზთა შორის ყველაზე ხშირია დეპრესია, სირცხვილი, დანაშაულის განცდა, გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილი, ემოციური გადატვირთვა, აღელვება, შიმშილი, ფინანსური პრობლემები...

ევროპაში სუიციდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლი ლიტვაშია. გერმანიაში რამდენიმე წლის წინათ თვითმკვლელების რეაბილიტაციის საკმაოდ არაორდინალური ხერხი მოიგონეს. თვითმკვლელობის წარუმატებელი ცდის შემდეგ ასეთ ადამიანებს ზღვის სანაპიროზე მაშველებად ასაქმებდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. ამ ადამიანებს არა მარტო სამუდამოდ გაუქრათ ხელმეორე სუიციდის სურვილი, არამედ თვითონ დაიწყეს აქტიური ანტისუიციდური პროპაგანდა. საქართველოში ეს პრობლემა, თვითმკვლელთა ჭირისუფლის გარდა, არავის აწუხებს.

**1990 წლიდან 2008 წლის ჩათვლით, საქართველოში 5300-მა ადამიანმა მოიკლა თავი. 90-იანი წლების შემდეგ თვითმკვლელობების რიცხვი ყველაზე მეტად 2004 წელს გაიზარდა, მოგვიანებით ამ მაჩვენებელმა დაიკლო, მაგრამ 2007 წლიდან კვლავ დაიწყო მატება. 2008 წელს თვითმკვლელობის 67 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2009 წლის სტატისტიკური მონაცემებით, სიცოცხლე თვითმკვლელობით 183 ადამიანმა დაასრულა.** ფსიქოლოგების დაკვირვებით, თვითმკვლელობების შემთხვევის გაზრდა მძიმე სოციალურ და პოლიტიკურ ფონთან არის დაკავშირებული. ამიტომ, მათი თქმით, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა და ქვეყანაში განვითარების პოზიტიური ნიშნები არ გამოჩნდა, საკუთარი თავისკენ მიმართული აგრესია სხვანაირად გამოვლინდება და სხვათა წინააღმდეგ მიმართულ ანგარიშსწორებად გადაიქცევა.

**ეგრეთ წოდებული ბედნიერების ინდექსი ჩვენს ქვეყანაში, პრაქტიკულად, განულებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი თავს უბედურად გრძნობს. ცხოვრებაში მიზნებისა და პოზიციების დაკარგვა, კავშირების არარსებობა, მიზნების ასრულების უპერსპექტივობა, ეკონომიკური არასტაბილურობა არ აძლევს ადამიანს სრულფასოვნების შეგრძნების საშუალებას, ხოლო როცა ადამიანი თავს არარაობად გრძნობს, ის ყველაფერზეა წამსვლელი.**

თვითმკვლელობის პარალელურად გაიზარდა ასევე მკვლელობის შემთხვევებიც. ზოგადად წელიწადში 100 ათას ადამიანზე ორი მკვლელობა დაბალ მაჩვენებლად მიიჩნევა. ანუ საქართველოს მაშტაბებით, წელიწადში 80-90 ადამიანის მკვლელობა ჩაითვლება როგორც ძალიან დაბალი მაჩვენებელი. 2009-ში მაგალითად 205 მკვლელობა დარეგისტრირდა.

**ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება საავადმყოფოებში, განსაკუთრებით 5 წლამდე ბავშვები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2010 წლის მონაცემებით, ჯანდაცვის თვალსაზრისით საქართველო სავალალო მდომარეობაშია — 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობით საქართველო ევროპის 47 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა.**

**მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით კი საქართველო მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის 192-ე ადგილს იკავებს. ამასთან, ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაში გაწეული ხარჯები 35 აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა საფრანგეთში 3655 აშშ დოლარია, აშშ-ში — 3317 დოლარი, გერმანიაში — 3236 დოლარი, ესტონეთში — 640 დოლარი, ლიტვაში — 523 დოლარი, რუსეთში კი — 243 დოლარი.**

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ოთარ თოიძის თქმით, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე 410 ლარი იხარჯება. 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის კი 319.5 მილიონი ლარია გამოყოფილი. ეს უბრალოდ სტატისტიკა არ გეგონოთ, მართლაც არის გათვალისწინებული ეს თანხები, მაგრამ რამდენად ხმარდება მოსახლეობას?

ამ ხელისუფლების პირობებში მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი რომ უსაფუძვლოა, ბოლო დროს დაზღვევის გარშემო ატეხილი სკანდალებიც ადასტურებს. ელიტარული კორუფციის სქემა დაახლოებით ასე „გამოიყურება“: მონოპოლისტ სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონებს ურიცხავს, რაღაც ნაწილი მიდის დაზღვეულების მომსახურებაში, მაგრამ ბიუჯეტიდან ჩარიცხული თანხის ნახევარზე მეტი ამ კომპანიებს რჩებათ მოგების სახით. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც დიდი ხანია ამბობენ, რომ ხელისუფლება ყველა ბიზნესს აკონტროლებს.

**2008-დან 2010 წლამდე სახელმწიფომ კერძო კომპანიებისგან ბითუმად შეისყიდა 340 მილიონი ლარის ღირებულების დაზღვევები. ეს დაზღვევები შექმნილია, როგორც დასაქმებული, ასევე სოციალურად დაუცველი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანებისთვის. ამ 340 მილიონი ლარიდან ხალხის მომსახურებაზე, რეალურად, მხოლოდ 90 მილიონი ლარი დაიხარჯა, კერძო კომპანიების მოგება კი, იცით, რამდენია? 250 მილიონი ლარი!**

საგანგაშოა აბორტის სტატისტიკური მონაცემებიც, საქართველოში წელიწადში 30 ათასი აბორტი კეთდება. აქედან 15% — 14-დან 18 წლამდე მოზარდებზე მოდის. უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში აბორტები „გაახალგაზრდავდა“ და ქალთა კონსულტაციებში აბორტებს ლამის ბავშვები იკეთებენ. საქართველოში წელიწადში 4500 აბორტი 14-დან 18 წლამდე მოზარდებში კეთდება!

**„4,5-მილიონიან ქვეყანაში წელიწადში 30 ათასი აბორტიც ბევრია მაშინ, როცა 15-მილიონიან ჰოლანდიაში 1000 აბორტი კეთდება. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ტრადიციებისა, ქართველი ქალები არაფრით ჩამოუვარდებიან ნორვეგიელებსა და რუსებს. ახალგაზრდა აბორტების პროცენტული შემადგელობა დაახლოებით იგივეა. სამწუხაროდ, ეს აბორტები ქორწინებამდე ხდება“,** — აცხადებს ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი არჩილ ხომასურიძე.

**ამ სავალალო სტატისტიკაზე „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი სთხოვა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორს, პროფესორ ზურაბ გაგნიძეს:**

— სოროსული ხელისუფლება, მეექვსე წელია, ახორციელებს ანტიხალხურ, ანტიეროვნულ, ანტიმართლმადიდებლურ, აღვირახსნილ პოლიტიკას. უმაღლეს სასწავლებელებში, სხვადასხვა დაწესებულებაში ხელმძღვანელ პირებად დაინიშნენ ანტიმართლმადიდებლები. თუნდაც ილიას უნივერსიტეტის რექტორი რომ ავიღოთ, გიგი თევზაძე, აშკარად ანტიმართლმადიდებელია და ამას არც მალავს. **სულიერად დააკნინეს ხალხი და ახლა სოციალურადაც მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებით ხელისუფლება აიძულებს ინდივიდს, მივიდეს ისეთ უკიდურეს ნაბიჯამდე, როგორიცაა თვითმკვლელობა.** თავისთავად სუიციდი დიდი ცოდვაა, მაგრამ ამ ცოდვამდე დღევანდელ ხელისუფლებას მიყავს ადამიანი. ამიტომ ყველა თვითმკვლელობა ამ ხელისუფლების ანგარიშზეა.

**— მედია ამ ყველაფერს დეტალურად უნდა აშუქებდეს?**

— თვითმკვლელობის პროპაგანდა მიმდინარეობს დღევანდელი მედიასაშუალებებით და ესაა ერთგვარი ბიძგი... **ჩვენს ხელისუფლებას ძალიან უნდა, მსოფლიომ დაინახოს, რომ ქართველები თვითმკვლელები, ურელიგიო ერი ვართ. იმიჯი უნდათ, შეგვიცვალონ.** განსაკუთრებით მძიმე დანაშაული მიუძღვის სახელისუფლო ტელევიზიებს: „რუსთავი 2“-ს, „იმედს“, „კავკასიას“...

**— „კავკასიას“?!**

— დიახ. მე „კავკასიასაც“ სამთავრობო არხად ვთვლი...

**— მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია საქართველოში სავალალო დემოგრაფიულ მდგომარეობაზე საუბრობს.**

— დღევანდელი ხელისუფლება ურცხვად აცხადებს, რომ დემოგრაფიის პრობლემები აღარ გვაქვს და შობადობამ იმატა, რაც ასე არაა. ძალიან მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიის თვალსაზრისით საქართველოში. იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება არამარტო ქართველი ერის, არამედ, საერთოდ, ეროვნების, როგორც ფენომენის წინააღმდეგია. ტერიტორიის გაყიდვა სურთ. საწარმოები ვერ განავითარეს, ჰოდა, ფული საიდან უნდა მოიტანონ? ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ მიმდინარეობს ქართველი ხალხის ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური გენოციდი. ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც ტყვიაზე ნაკლები არაა...



**2008 წელს თვითმკვლელობის 67 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2009 წლის სტატისტიკური მონაცემებით, სიცოცხლე თვითმკვლელობით 183 ადამიანმა დაასრულა.**

**ლილი მიროტაძე**



**ალექსანდრე ტოლსტოი:**
**ოფიციალურად ფიცის დადება — ერთგულების აღთქმას, წესისა და კანონის მიხედვით ქცევის პირობას, პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს. საქართველოში ფიცის დადებისას ხმარობენ სიტყვას „ვფიცავ“ სამხედრო მოსამსახურეები, მოსამართლეები, მოწმეები, უბრალო ადამიანები, და რატომ არ უნდა წარმოთქვას სიტყვა „ვფიცავ“ ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა?**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გვეყოლება თუ არა 2013 წელს ლეგიტიმური პრეზიდენტი?

**მკითხველს ბოდიში მინდა მოვუხადო გრძელი და, ალბათ, მოსაწყენი წერილისთვის. მაგრამ სტატიაში განხილული საკითხი იმდენად მნიშვნელოვნად ჩავთვალე, რომ აუცილებლად უნდა დამემტკიცებინა სიტყვებს — „ვფიცავ“ და „ვაცხადებ“ შორის განსხვავება, რადგან მათ სწორად ხმარებაზეა დამოკიდებული, გვეყოლება თუ არა 2013 წელს ახლადარჩეული პრეზიდენტი.**

1995 წლის კონსტიტუციაში 2010 წელს შეტანილი შესწორებების თანახმად, ძირითადი კანონის ზოგიერთი მუხლი უნდა ამოქმედდეს 2013 წელს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ.

ფიცის დადებას კი კონკრეტულად მოითხოვს კონსტიტუციის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, სადაც წერია, რომ:

**„1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:**

**„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას...“**

როგორც შეამჩნევდით, პატივცემულო მკითხველო, არ შესრულდა წინა წინადადების მოთხოვნა და სიტყვა **„ვფიცავ“**-ს ჩაენაცვლა სიტყვა **„ვაცხადებ“**. დასადგენია, არის თუ არა ეს სიტყვები ერთმანეთის სინონიმები?

სად შეიძლება გავარკვიოთ ეს?

დავიწყოთ არნ. ჩიქობავას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით (1951 წ.; 1985 წ. გამოცემები):

**„ფიცი — მტკიცე პირობა, აღთქმა; ფიცით შეპირება, აღუთქვამს რასმე; ჩვეულებრივ რაიმე წმინდათაწმინდის მოხსენებით“.**

**„ფიცავს — ფიცს ამბობს; ფიცით ირწმუნება რასმე“.**

**„ფიცება — სახელს აფიცებს, იფიცებს“.**

**„განცხადება — სახელი აცხადებს; წერილობითი ან ზეპირი უწყება, ცნობები რისამე, ვისიმე შესახებ; რაიმე წინაპირობის ან თხოვნის შემცველი ოფიციალური ქაღალდი“.**

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი აკაკი შანიძის წინასიტყვაობით (1984 წ.):

**„ფიცი, ფუცვა, ზეენარობა — დადება აღთქმისა. საქართველოში რიგი და სამართალი ექვსი იყო, რითაც თავს იმართლებდნენ. პირველი ფიცი, მეორე შანთი, მესამე მდუღარე, მეოთხე ხმალი, მეხუთე მოწამე, მეექვსე ცოდვის მოკიდება“.**

**„ფიცება — დავიფიცებ, ფიცს წარმოვათქმევინებ“.**

**„ფიცვა — დავიფიცავ, ფიცს წარმოვსთქვამ“.**

**„ფიცს დადებს — სიტყვას იძლევა, პირობას დებს. ოფიციალურად ერთგულების აღთქმა, წესისა და კანონის მიხედვით მოქცევის პირობა“.**

**„განცხადება — ოფიციალურად რაიმე წინადადების ან თხოვნის შემცველი ოფიციალური ქაღალდი, თხოვნა“.**

აი, როგორი დანიშნულება ჰქონდა ფიცის სიტყვას საქართველოში:

თამარ მეფის ხანაში:

**419. „ერთმანეთისა მას აქეთ, რათა ორთავე ვიცითა, აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა!**

**ამას შესჯერდი დიდითა ზენაარით და ფიცითა! გეცრუო, ღმერთმან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!“**

**423. „ზედა წიგნსა საფიცარსა შევფიცე და შემომფიცა, მისგან ჩემი სიყვარული ამით უფრო დაამტკიცა:**

**„უშენოსა მოწონება ვისიმცაო გულსა მიცა, ღმერთი მომკლავს, ამას იქით თავსა ვეტყვი, ამას ვსწვრთიცა“.**

**529. „მიბრძანა: „მიკვირს რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა, გამწირავი და მუხთალი, შენ გამტეხელი ფიცისა?!**

**მაგსა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა მი-ცისა!“ ვჰკადრე „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?“**

**531. „შენ არ იცი ხვარაზმშახი საქმროდ ჩემად მოყვანება?! შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება, შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება, ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცუდად შენი ხელოვნება!“**

რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის დროს:

**„სამშობლოსათვის თავს დავდებთ, მტკიცეს ფიცსა ვდებთ ძმანია“** *(ვაჟა)*;

„სამშობლოს მიწის მცველებმა ვერ მოახერხეს გაქცევა, ისევ სიკვდილი ირჩიეს, ვიდრე-ღა ფიცის დარღვევა“ *(ვაჟა)*.

საბჭოთა წყობის პერიოდში:

**„მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავიცავ შენს უფლებას, შენს უფლებას სისხლით ვიცავ“** ***(გ. ტაბიძე)***.

1991 წლის 7ივნისს (საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ფიცი):

**„ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე, რომ ერთგულად განვახორციელებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას, ვიღვაწებ ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისა და გაძლიერებისათვის, დავიცავ მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს კონსტიტუციას და კანონებს, ადამიანის უფლებებს. ღმერთი იყოს ჩემი შემწე ყოველივე ამაში“.**




2004 წლის 24 იანვარს დავით აღმაშენებლის საფლავზე პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვა-ფიცი:
**„მე ვარ ამ მიწის შვილი, აქ ჩემთან ერთად ჩემი წინაპრების სულები არიან და მე მინდა, მათ ვუთხრა, რომ ნამდვილად არ შევარცხვენ“.**

1995 წლის კონსტიტუციაში ჩადებული პრეზიდენტის ფიცი:

**„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობას და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“;**

2004 წლის 24 იანვარს დავით აღმაშენებლის საფლავზე პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვა-ფიცი:

**„მე ვარ ამ მიწის შვილი, აქ ჩემთან ერთად ჩემი წინაპრების სულები არიან, და მე მინდა მათ ვუთხრა, რომ ნამდვილად არ შევარცხვენ“.**

როგორც დავინახეთ, საქართველოში ისტორიულად ფიცის დანიშნულება ხალხური ტრადიციების მიხედვით, ეროვნული ადათ-წესების, ეთნოსის თანახმად, უმაღლეს კატეგორიათა რიგს განეკუთვნება. ფიცის გატეხვა უდიდეს ცოდვად იყო მიჩნეული და სასტიკად ისჯებოდა.

ოფიციალურად ფიცის დადება — ერთგულების აღთქმას, წესისა და კანონის მიხედვით ქცევის პირობას, პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს.

საქართველოში ფიცის დადებისას ხმარობენ სიტყვას „ვფიცავ“ სამხედრო მოსამსახურეები, მოსამართლეები, მოწმეები, უბრალო ადამიანები, და რატომ არ უნდა წარმოთქვას სიტყვა „ვფიცავ“ ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა?

**რატომ ჩაანაცვლა 1995 წლიდან პრეზიდენტის ფიცის ტექსტში სიტყვამ „ვაცხადებ“ სიტყვა „ვფიცავ“?**

რაშია საქმე? ეს მოხდა შეგნებულად, პასუხისმგებლობის მოხსნის მიზნით თუ შეუგნებლად?

და რადგან ჩვენ ძალიან „გვიყვარს“ დასავლეთის ქვეყნებისადმი მიბაძვა (და მათაც ძალიან სიამოვნებთ ჩვენთვის ყველაფერში „ჭკუის სწავლება“), გადავხედოთ მათ კონსტიტუციებს და იმ მუხლებს, სადაც ფიცზეა ლაპარაკი და, ვნახოთ, თუა მსგავსება:

**აშშ-ის პრეზიდენტი:**

**„მე საზეიმოდ ვფიცავ (ან პირობას ვდებ), რომ პატიოსნად აღვასრულებ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას...“**

**პოლონეთის პრეზიდენტი:**

**„ვიკავებ რა ერის ნებით პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ,** რომ დავიცავ...“

**ლატვიის პრეზიდენტი:**

**„ვფიცავ, რომ მთელ ჩემს საქმიანობას მოვახმარ ლატვიელი ხალხის კეთილდღეობას...“**

**აზერბაიჯანის პრეზიდენტი:**

**„აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას ვფიცავ დავემორჩილო...“**

**უკრაინის პრეზიდენტი:**

**„მე, (გვარი, სახელი), ხალხის ნებით არჩეული პრეზიდენტი, ვიკავებ რა ამ მაღალ თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ...“**

**თურქეთის პრეზიდენტი:**

**„რესპუბლიკის პრეზიდენტის რანგში დიდი თურქი ერისა და მისი ისტორიის წინაშე ვფიცავ, ღირსებითა და სინდისით დავიცვა...“**

**სომხეთის პრეზიდენტი:**

**„ვიკავებ რა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, ვფიცავ, უპირობოდ შევასრულებ...“**

ფიცის დადებისას წარმოთქვამენ სიტყვა „ვფიცავ“ განის, ეგვიპტის, სამხრეთ აფრიკის, ირანის, ბრაზილიის, რუსეთის, ბელარუსის, საბერძნეთის, ინდოეთის, ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების პირველი პირები.

საქართველო პირველი პირების მიერ ფიცის დამდები ქვეყნების სიაში არ ირიცხება (ინტერნეტის მიხედვით).

საინტერესოა იმ სახელმწიფოების პირველი პირების მიდგომა ფიცთან დაკავშირებით, სადაც ჩვენს საკონსტიტუციო კომისიას ჰქონდა ჩატანილი ძირითადი კანონის პროექტი შესაჯერებლად:

**იტალია (ვენეციის კომისია):**

**პრეზიდენტის ფიცი:**

**„მე ვფიცავ, რომ ვიქნები რესპუბლიკის ერთგული და ლოიალურად დავიცავ კონსტიტუციას“;**

**პრემიერ-მინისტრის** ფიცი:

**„მე ვფიცავ, რომ ვიქნები რესპუბლიკის ერთგული, დავიცავ კონსტიტუციას და კანონებს...“**

ფიცს დებენ მინისტრებიც და წარმოთქვამენ სიტყვას **„ვფიცავ“**.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა:

**პრეზიდენტის ფიცი:**

**„ვფიცავ, ჩემი ძალები მოვახმარო გერმანელი ხალხის კეთილდღეობას, ვიმოქმედო მის სასარგებლოდ...“**

ფიცს დებენ, აგრეთვე, ფედერალური კანცლერი და მინისტრები და წარმოთქვამენ სიტყვას **„ვფიცავ“**.

ლიტვის კონსტიტუციაში ჩადებულია ძალიან კარგი და კონკრეტული მოთხოვნა სეიმის წევრებისადმი: „სეიმის წევრი, რომელიც არ დადებს ფიცს კანონის შესაბამისად ან ფიცს პირობითად დადებს, კარგავს სეიმის წევრის მანდატს“ (გვ. 59).

თუ იტალიისა და გერმანიის კონსტიტუციები ავალდებულებენ ქვეყნის ხელმძღვანელობას, ფიცის დადებისას წარმოთქვან სიტყვა „ვფიცავ“, რა, მათმა წარმომადგენლებმა ვერ შეამჩნიეს, რომ საქართველოს კონსტიტუციამ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა, სადაც წერია, რომ პრეზიდენტმა უნდა წარმოთქვას სიტყვა „ვფიცავ“ და არა სიტყვა „ვაცხადებ“.

მათ (აგრეთვე, ნატოს წევრი ქვეყნების სხვა წარმომადგენლებმაც) ვერ შეამჩნიეს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1.8 ქვეპუნქტში და მე-100 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩვენი ქვეყნისთვის წამგებიანი პოზიციები მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში. საშიშროების დროს (ამ თემაზე ლაპარაკი შემდეგ წერილში იქნება).

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ სიტყვების შენაცვლებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს ან მათი გამოყენება მოხდა შეუგნებლად, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ **სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე არის ავტორი წიგნისა „მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები“ (1992 წ.), სადაც მოყვანილია ოთხი ქვეყნის: აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის** (ცნობისთვის: 1921 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 5 421 652 კაცს, ტერიტორია — 69,5 ათ. კვ.მ, 200 კვ.მ-ით ნაკლებს, ვიდრე დღეს) **კონსტიტუციები, და მას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია, თუნდაც აშშ-ისა და იტალიის პრეზიდენტების ფიცისთვის.**

იგი (2009 წ. 24.IX) და ვერც პარლამენტის თავმჯდომარე (2009 წ. 3.III. ჯერ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანაზე საუბარიც არ იყო) ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ მათ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მივმართეთ და ჩვენი მოსაზრებები გამოვაქვეყნეთ („საქართველო და მსოფლიო“ №16-2009 წ., №33-2010 წ.).

შეიძლება საგაზეთო სტატიები და ჩემი წერილები მათ არ წაუკითხავთ, მაგრამ რა ვუყოთ საქართველოს პარლამენტის წევრის, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის, ბატონ ნიკოლოზ ლალიაშვილის პასუხს (№120761/3-24.11.2009 წ.): **„ჩვენ შესაძლებელია ასევე ვიფიქროთ განცხადების ფიცით ჩანაცვლებაზე“,** რისთვისაც მას მადლობას ვუხდი.

ეს პასუხი გაეგზავნა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარესაც.

**საქართველოს პარლამენტს, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ჰქონდათ იმის საშუალება, რომ სიტყვა** ***„ვაცხადებ“***

**ჩაენაცვლებინათ სიტყვით „ვფიცავ“, ტერმინი „სამხედრო ძალები“ — „შეიარაღებული ძალებით“, სიტყვა „მხედართმთავარი“ — „უმაღლესი სარდლობით“, პრეზიდენტის გადაწყვეტილება „საომარი მდგომარეობის“ გამოცხადებისა და მისი პარლამენტში დასამტკიცებლად შეტანის ვადის „48 საათი“ შეცვლილიყო „დაუყოვნებლივ“,**

**მაგრამ ეს წინადადებები მათ არ გაითვალისწინეს. განსაკუთრებით საშიშროების შემცველია ბოლო წინადადების უარყოფა.**

და მე თუ შევძელი დამემტკიცებინა, რომ სიტყვები **„ვფიცავ“** და **„ვაცხადებ“** სხვადასხვა მნიშვნელობისაა, მაშინ გამოდის, რომ 1995 წლიდან უზარმაზარი უფლებების მქონე პრეზიდენტი განთავისუფლდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან.

არ დააკისრა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მეთაურს არც კანონმა „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ და არც სხვა კანონებმა, ხოლო დებულებები სამხედრო ძალებისა და უმაღლესი მთავარსარდლის შესახებ არ არსებობენ.

სტატიის მომზადებაში დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდი ბატონებს: თემურ ქორიძეს, ნავოლის ქობულიას, ალექსი ჩოხელაშვილს.

**ალექსანდრე ტოლსტოი**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„ევროპა დღეს ხვდება, რომ ხალხი, რომელსაც ხელისუფლება აქვს მიტაცებული, არის ბოროტი ძალა, რომელიც ყველანაირ წესებსა და კანონებს არღვევს; რომ ეს არის ბოროტი რეჟიმი და ქართველი ხალხი სამართლიან ბრძოლას აწარმოებს მის წინააღმდეგ“.**



# სააკაშვილის მითმა, ევროპული მხარდაჭერის შესახებ, ჩაილურის წყალი დალია!

**1 მარტს ბრიუსელში ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს — ჰაიდი ჰაუტალას ქართველ უფლებადამცველთა ჯგუფი შეხვდა. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ქვეკომისიის ხელმძღვანელი ევა ჰეიკილა და ამავე კომიტეტის წარმომადგენელი, ადმინისტრატორი მიხაილ რაპი.**



## დავით თარხან-მოურავი:
## თუ ხალხი დაიწყებს აქტიურ მოქმედებას სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ევროპა დაგვეხმარება

**ქართულ დელეგაციაში იყვნენ: საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი, მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი, წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენი ევროსტრუქტურებთან ურთიერთობის საკითხებში გიორგი ფოფხაძე და ომბუდსმენი პოლიტ-ემიგრანტების საკითხებში მერაბ ბლადაძე. ასევე, ბრიუსელში ჩავიდნენ ქართველთა ხსნის საერთაშორისო კავშირის „ნათლის მხედარი“ ხელმძღვანელი ჯულიანა დიუმა (ლონდონი, პარიზი) და ჰააგის სასამართლოში სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის ავტორი, ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე.**

**როგორც საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა აღნიშნა, ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან დიალოგი საათი და 20 წუთი გაგრძელდა. ერთი საათის განმავლობაში კი ქართველმა უფლებადამცველებმა ევა ჰეიკილასთან და მიხაილ რაპთან ისაუბრეს.**

**ამ შეხვედრებთან დაკავშირებით გვესაუბრება ბატონი დავით თარხან-მოურავი.**

**— ბატონო დავით, რა საკითხები განიხილეთ ამ შეხვედრებზე და როგორი იყო მასპინძლების რეაქცია?**

— შეხვედრის დროს განვიხილეთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის უამრავი უმძიმესი შემთხვევა; მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პოლიტპატიმრებისა და უკანონოდ დაკავებულთა წამების შესახებ. საუბარი იყო ძალიან კონკრეტული და საქმიანი. მივაწოდეთ ინფორმაცია ქუჩაში დახვრეტილი უდანაშაულო ახალგაზრდების შესახებ; პირველი პრეზიდენტის ვაჟის, ცოტნე გამსახურდიას რეპრესირების შესახებ; ასევე განვიხილეთ ყოფილი დეპუტატის, სანდრო ბრეგაძის დაკავების ფაქტი, რომელიც ხულიგნობის მოტივით სულ ახლახან განხორციელდა. ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მოისმინა ინფორმაცია ჟურნალისტთა ჯგუფის ამაო მცდელობაზე მონიტორინგის მიზნით შესულიყვნენ ციხეებში. შეხვედრაზე დეტალურად განვიხილეთ ჰააგაში პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი. ასევე გადავეცით არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ გამოცემული კრებული „უუფლებობის ზონა“. ვერ გეტყვით, რომ მათ ზუსტად იცოდნენ ყველა საკითხი, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბევრი რამ მათთვის მოულოდნელიც არ ყოფილა.

**— რას ნიშნავს ეს შეხვედრა სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობისთვის?**

— ეს შეხვედრა მარტო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობისთვის კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ მთლიანად ქართული ოპოზიციისთვის. როგორც წესი, ამ რანგის ადამიანები ოპოზიციის წარმომადგენლებს არ ხვდებიან, ყოველ შემთხვევაში, **ბოლო 7 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოდან ოპოზიციურად განწყობილი ძალები ჩასულიყვნენ ევროპაში და შეხვედროდნენ ჰაუტალას რანგის მოღვაწეს. შეიძლება აქ, საქართველოში, ყოფილიყო მსგავსი შეხვედრა.** მითუმეტეს, არ მომხდარა ოპოზიციური ხედვის ასეთი ფართო განხილვა. ჩვენ ჩავიტანეთ დოკუმენტები იმ პოლიტპატიმრების შესახებ, რომელთაგან ზოგი ადამიანის უფლებათა დაცვის ფედერაციამ ცნო ან „ჰიუმან რაითს ვოთჩმა“. ზოგი კი მხოლოდ ოპოზიციური ძალების მიერაა დასახელებული პოლიტპატიმრებად და ჩვენ მათი საქმეებიც გავაცანით ევროპის სტრუქტურების წარმომადგენლებს.

ბრიუსელამდე შეხვედრები სტრასბურგშიც გვქონდა, პარიზშიც და პრაღაშიც, შევხვდით ევროპის დეპუტატებს, ევროკომისიის თანამშრომლებს და ყველგან იგრძნობოდა, რომ ევროპა ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად მზადაა. თუ ადრე ზოგიერთ საქმეს ისინი საქართველოდან სხვადასხვა ორგანიზაციების (FIDH, Amnits International, Human ▶

# თვითმკვლელობა თუ სუიციდით შენიღბული ლიკვიდაცია?!



**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში 2011 წლის 15 თებერვალს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ კიდევ ერთი გადაწყვეტილება გამოიტანეს. საქმე ეხება პატიმარ ზურაბ ცინცაბაძის თვითმკვლელობას. საქართველოს ციხეებში პატიმრები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ხშირად ასრულებენ. თვითმკვლელობამდე მიყვანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი დანაშაულია, თუმცა პენიტენციალურ სისტემაში, როგორც წესი, იშვიათად იკვლევენ, რამ მიიყვანა პატიმარი თვითმკვლელობამდე და არც იმის გარკვევით იწუხებენ თავს, შემთხვევით ინიცირებული იყო თვითმკვლელობა თუ პატიმარი მოკლეს. სწორედ ამის დადასტურება იყო ევროსასამართლოს უკანასკნელი გადაწყვეტილება.**

ციხეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა გენერალმა დავით კეკუამ, რომელიც წლების მანძილზე თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო, დაკავებამდე კი შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მუშაობდა. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე მისი საქმის ერთ-ერთმა მთავარმა მოწმემ ნოდარ გვიშიანმა. ორივე შემთხვევაში გარდაცვლილთა ოჯახის წევრები ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ თვითმკვლელობამდე მიყვანაზე ან სულაც შეკვეთილ მკვლელობებზე, მაგრამ გამოძიება არ ჩატარებულა.

**სანამ გახმაურებული თვითმკვლელობების ფაქტებს გადავხედავდეთ, კვლავ ზურაბ ცინცაბაძის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას მივუბრუნდეთ.**

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დადგენილად ცნო მოპასუხე სახელმწიფოს (საქართველოს) მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაიდან 2005 წელს ზურაბ ცინცაბაძის ციხეში გარდაცვალების ფაქტზე არ ჩატარდა დამოუკიდებელი, ობიექტური და ეფექტური გამოძიება. ცინცაბაძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი და 2005 წლის 6 ივლისიდან სასჯელს ხონის №9 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიდა. 30 სექტემბერს იგი ციხის საკუჭნაოში ჩამომხრჩვალი იპოვეს. გამოძიების ვერსიით, მან თვითმკვლელობა ჩაიდინა, თუმცა გარდაცვლილის დედა ამტკიცებდა, რომ იგი ციხეში „ობშიაკის“ ვალის გამო მოკლეს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ცინცაბაძის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და არაერთი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებისას დაშვებულ იქნა სერიოზული ხარვეზები და უზუსტობები, რის გამოც ბევრი კითხვა პატიმრის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტზე პასუხგაუცემელი დარჩა. არსებითი საგამოძიებო მოქმედებები იმ დეპარტამენტმა ჩაატარა, რომელიც სტრუქტურულად იმავე სამინისტროს ექვემდებარება, რომელსაც თვითონ სასჯელაღსრულების დაწესებულებები, რაც ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების დამოუკიდებლობას.

გამოძიების მიერ დაშვებულ ხარვეზებს შორის ევროპულმა სასამართლომ გამოყო შემდეგი: **„ციხის თანამშრომლებმა, რომლებიც ლოგიკურად დაბნეული და შეშფოთებული უნდა ყოფილიყვნენ ნანახით, ფეხსაცმელები გახადეს გარდაცვლილს, გაუჩხრიკეს ჯიბეები და დანაშაულის ადგილიდან გაიტანეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მათ შორის სკამები და „ადიალისგან“ გაკეთებული თოკი, რომლის საშუალებითაც, სავარაუდოდ, ჩამოიხრჩო თავი პატიმარმა“.**

დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგების მიხედვით, გარდა სტრანგულაციის კვალისა, რომელიც დადგენილი იყო გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებით, გვამს კისერზე აღმოაჩნდა სხვა დაზიანებებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით იყო გამოწვეული, თუმცა გამოძიება მოქმედებდა ცალმხრივად, დაეყრდნო რა მხოლოდ გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებს. **სასიყვარულო წერილი, რომელიც ვითომდა დაწერილი იყო გარდაცვლილის მიერ თავისი ყოფილი ცოლისადმი და რომელსაც გამოძიება დაეყრდნო როგორც თვითმკვლელობის მიზეზს, დათარიღებული იყო ზ. ცინცაბაძის გარდაცვალებიდან თითქმის ერთი თვით გვიანდელი თარიღით. გარდა ამისა, წერილი დაწერილი იყო ვინმე „ნინოსადმი“, მაშინ, როცა ზ. ცინცაბაძის ყოფილი ცოლის სახელი იყო მაკა. ამასთანავე, წერილი აღმოჩენილი იქნა მორგში გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ.** სასამართლომ ამ მტკიცებულებასთან დაკავშირებით აღნიშნა: **„აღნიშნული მტკიცებულების სანდოობა ვერ უძლებს მცირეოდენ კრიტიკასაც კი“.**

საგამოძიებო ორგანოებმა არ გამოიძიეს ზ. ცინცაბაძის მკვლელობის ვერსია, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი მუდმივად აცხადებდა, რომ მის შვილს პრობლემები ჰქონდა „ობშიაკში“ ფულის შეტანასთან დაკავშირებით და რამდენიმეჯერ სთხოვა ოჯახის წევრებს სწორედ ამ მიზნით ფულის ჩარიცხვა. გამოძიებას სრულყოფილად არ გამოუძიებია ასევე ზ. ცინცაბაძის ვალებთან დაკავშირებული პრობლემები, მისი დამოკიდებულება გავლენიან პატიმრებთან. საქართველოს დაეკისრა მორალური ზიანისთვის 15 000 ევროს გადახდა განმცხადებლის, ზურაბ ცინცაბაძის დედისათვის. ევროპის სასამართლოში განმცხადებლის ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი წარმოადგენდნენ.

**ევროპის სასამართლოში რომ წასულიყო, იქნებ ამგვარი დასასრული ჰქონოდა გენერალ დავით კეკუას თვითმკვლელობად მონათლულ სიკვდილსაც, თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დღეს მის გარდაცვალებაზე საკუთარი ოჯახის წევრები არათუ სასამართლოში ჩივ-** ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ლალი აფციაური:**
**რას ამბობთ! მანჯგალაძემ თქვა, რომ თანხა დახარჯულია? ეს სისხლის სამართლის დანაშაულია! ეს თანხა არის ნივთმტკიცება და, ვიდრე საბოლოო განაჩენი არ იქნება გამოტანილი, სანამ საქმე ბოლომდე არ ამოიწურება და აღნიშნული თანხა უკანონოდ არ გამოცხადდება, მისი გამოყენების უფლება არავის აქვს. გამოდის, რომ პრეზიდენტმა ნივთმტკიცება გაანადგურებინა... ეს იგივეა, რაც სააკაშვილს „ვითომ ჩხრეკისას“ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერება აელო და მორფინისტებისთვის დაერიგებინა ან თვითონ მოეხმარა. მას ხომ ძალიან უყვარს კოკაინი**

◀ Rigth Watch) მიერ მიწოდებული ინფორმაციებით იცნობდნენ, ახლა უშუალოდ ჩვენგან შეიტყვეს ბევრი რამ და სურვილიც გამოთქვეს, რომ სამომავლოდ ეს ურთიერთობა და თანამშრომლობა გაღრმავდეს და გააქტიურდეს.

ამდენად, ეს იმას ნიშნავს, რომ **ევროპა ხვდება — რომ საქართველოს ხელისუფლება არის მტყუანი და ბოროტი, ხოლო ოპოზიცია და ქართველი ხალხი — მართალი.**

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შეხვედრა საკმაოდ ხანგრძლივი იყო და, ოფიციალური ნაწილის გარდა, კულუარული საუბრებიც გქონდათ. განსხვავება თუ იყო განწყობებში სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებზე?**

— შეხვედრა ორსაათ-ნახევარი გრძელდებოდა. გარდა საჯარო, ოფიციალური გადაწყვეტილებებისა, შეხვედრას ჰქონდა კონფიდენციალური ნაწილიც, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და ეს შეთანხმებები მოძრაობის საქმიანობაზე ეფექტურად აისახება უახლოეს მომავალში. საერთო ჯამში, შემიძლია გითხრათ, რომ განწყობა იყო ცალსახა: **ევროპა დღეს ხვდება, რომ ეს ხალხი, რომელსაც ხელისუფლება აქვს მიტაცებული, არის ბოროტი ძალა, რომელიც ყველანაირ წესებსა და კანონებს არღვევს; რომ ეს არის ბოროტი რეჟიმი და ქართველი ხალხი სამართლიან ბრძოლას აწარმოებს მის წინააღმდეგ.**

ეს იმას ნიშნავს, თუ ჩვენი ხალხი მიხვდება, რომ უნდა დაიწყოს აქტიური მოქმედება ამ რეჟიმის მოსაშორებლად, ევროპა მხარს დაგვიჭერს.

**— ხელისუფლება ყოველი ოპოზიციური ძალის გამოსვლას აქტიურ წინააღმდეგობას უწევს. ამჯერადაც, სავარაუდოა, რომ თქვენი ამ ვიზიტების საპასუხოდ, ხელისუფლებამ ახალი სიუჟეტები მოამზადოს იმის საილუსტრაციოდ, როგორ უჭერს მას მხარს ევროპა. რა მექანიზმებით აპირებთ ამ ჩაკეტილი საინფორმაციო ველის გარღვევას?**

— ჩვენ აქტიურ თანამშრომლობას გავაგრძელებთ ევროპასთან. შეხვედრაზევე გადაწყდა მობილური მუშაჯგუფის შექმნა, რომელიც სისტემატურად მიაწვდის ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს საქართველოში ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონობების შესახებ კონკრეტულ და ამომწურავ ინფორმაციებს. პირველი ასეთი პაკეტი უკვე მარტის თვეში გაიგზავნება. აპრილ-მაისში მოხდება ამ საქმეების შესწავლა, განიხილავს ქვეკომისია და გადაწყვეტს, დაინიშნოს, თუ არა საკომიტეტო მოსმენა. სავარაუდოდ, მოსმენა სექტემბერში დაინიშნება, სადაც გამოიძახებენ დაზარალებულებს, მოწმეებს და ა.შ. მთავარია, საქმე გაკეთდეს და ევროპამ თავისი პოზიცია მკვეთრად გამოხატოს, ხალხიც დაინახავს ამას.

**— მაგრამ ხელისუფლებას აქვს საინფორმაციო საშუალებები, რაც ხელმიუწვდომელია ოპოზიციისთვის. ამიტომ თქვენს გეგმებსა და გაკეთებულ საქმეებს ისინი არ გააშუქებენ. როგორ მიიტანთ ამ ინფორმაციებს მოსახლეობამდე?**

— მართალია, მათ მეტი საშუალება გააჩნიათ. მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს რადიო 105.0, რომელიც ინტერნეტტელევიზიის პარალელურად მაუწყებლობს ყოველდღიურად 7-8 საათი დღეში. გვაქვს ინტერნეტ გაზეთიც და ახალი ამბების სააგენტოც. მუშაობას გავაფართოებთ და უფრო მეტ ხალხს მივაწოდებთ ინფორმაციას იმის შესახებ, რეალურად თუ რა დამოკიდებულება აქვს ევროპას დღევანდელი რეჟიმის მიმართ, რა სახით ირღვევა ადამიანის უფლებები საქართველოში და რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება დროულად მოვიშოროთ. ამ ქმედითი ღონისძიებებისა და ხალხის პრობლემების გასაზიარებლად შეიქმნა სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობაში 20-ზე მეტი ომბუდსმენისგან შემდგარი ჯგუფი. ისინი სულ უფრო მეტად აქტიურდებიან და სულ უფრო მეტი ადამიანი იწონებს ჩვენს საქმიანობას.

ამდენად, ახლა იმედგაცრუებისა და ნიჰილიზმის დრო არ არის. რეალური ხედვა და სწორი მოქმედება უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს, რათა შედეგიც გააზრებულად მივიღოთ.

ესაუბრა
**ნინო ცხოიძე**

# პრეზიდენტის პრესსპიკერი ადასტურებს: სისხლის სამართლის საქმის ნივთმტკიცება მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით გაანადგურეს



**მკითხველისთვის უკვე კარგად არის ცნობილი 2010 წლის ივნისში, წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირში ჩატარებული გახმაურებული სპეცოპერაციის შესახებ, რა დროსაც სამართალდამცველებმა საერთაშორისო ნარკოკარტელის 10-მდე წევრი დააკავეს და მათი აყვანის დროს განხორციელებული ჩხრეკისას ერთ-ერთი დამნაშავის — მევლუდ სვანიძის ეზოდან მიწაში დამარხული 1 700 000 ევრო ამოიღეს, ხოლო ანასტასია ზაუტაშვილის ბინიდან, რომელიც ამ საქმის „მთავარი გმირის“, სამუდამო პატიმრობამისჯილი ბიზნესმენის, ნუგზარ ბოჭორიშვილის მეგობარი ქალი იყო — 50 000 ევრო.**

დაკავებიდან მეორე დღეს, 2010 წლის 4 ივნისს, პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ სპეციალური ბრიფინგი გამართა, რომელზეც აღნიშნა, რომ „პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სამართალდამცავების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ამოღებული 2 მლნ ევრო, პირველკლასელთათვის კომპიუტერების შეძენას მოხმარდებოდა“.

**„პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ პოლიციელების მიერ ამოღებული თანხა კარგ, კეთილ და სასარგებლო საქმეს უნდა მოხმარდეს“,** — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

თანხა, რომლის „კეთილ საქმეში ჩადებაც“ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გადაწყვიტა, ამ დრომდე ზემოხსენებულ საქმეში არსებულ ერთ-ერთ ნივთმტკიცებას წარმოადგენს, რომლის გამოყენებაც, როგორი კეთილშობილური მიზანიც არ უნდა ამოძრავებდეს, სისხლის სამართლის დანაშაულია და მის განადგურებას ნიშნავს.

**აღნიშნული თანხა თავის დროზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში გადავიდა, უწყებას კი ის ბანკში უნდა შეენახა და დაეცვა, ვიდრე საქმე არ დაიხურებოდა, თუმცა, როგორც ოფიციალურად ირკვევა, ეს თანხა ბიუჯეტშიც არის გადასული და დახარჯულია კიდეც.**

იმის დადგენას, რა ბედი ეწია გახმაურებული სპეცოპერაციიდან ამოღებულ 2 მილიონ ევროს, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სამართალდამცველ სტრუქტურებში შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ კი, **ვინაიდან ამ თანხას გზა საქართველოს პირველმა პირმა მოუძებნა, პრეზიდენტის პრეს-სპიკერ მანანა მანჯგალაძეს დავუკავშირდით, რომელმაც ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ პრეზიდენტის ინიციატივა უკვე განხორციელდა და ფული ნამდვილად ჩაიდო პირველკლასელთათვის კომპიუტერების ყიდვის საქმეში.**

**„როგორც გავარკვიე, საქმე შემდეგში მდგომარეობს: როდესაც დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის კონფისკაცია ხდება, სასამართლოს გზით ეს ფული გადადის ბიუჯეტში და მისი განკარგვა სწორედ ბიუჯეტიდან ხდება. შესაბამისად, ის თანხაც ბიუჯეტიდან უკვე გადავიდა სწორედ ამ კომპიუტერების შეძენაზე და ამ საქმეს მოხმარდა. რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ეს ჩემი კომპეტენცია არ გახლავთ. რაც თქვენ გაინტერესებდათ, იმაზე შემიძლია გითხრათ: დიახ, ეს თანხა მოხმარდა ბავშვებისთვის კომპიუტერების ყიდვას“,** — განაცხადა მანჯგალაძემ.

საკითხის სამართლებრივი მხარის გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ ამ გახმაურებული საქმის ბრალდებულთა ადვოკატებს — ლალი აფციაურსა და მანანა კობახიძეს ესაუბრა. ადვოკატები აცხადებენ, რომ თანხის დაცვა კუდს ევალებოდა მანამ, სანამ საქმე საბოლოოდ არ დაიხურებოდა და, თუკი ეს თანხა უკვე გახარჯულია, გამოდის, რომ სამართალდამცველი სტრუქტურების მიერ საქმეში არსებული ერთ-ერთი მთავარი ნივთმტკიცება განადგურებულია და საქმე, არც მეტი, არც ნაკლები, სისხლის სამართლის დანაშაულთან გვაქვს.

**„რას ამბობთ! მანჯგალაძემ თქვა, რომ თანხა დახარჯულია? ეს სისხლის სამართლის დანაშაულია! ეს თანხა არის ნივთმტკიცება და, ვიდრე საბოლოო განაჩენი არ იქნება გამოტანილი, სანამ საქმე ბოლომდე არ ამოიწურება და აღნიშნული თანხა უკანონოდ არ გამოცხადდება, მისი გამოყენების უფლება არავის აქვს. გამოდის, რომ პრეზიდენტმა ნივთმტკიცება გაანადგურებინა“,** — აცხადებს ლალი აფციაური.

ამასვე აცხადებს ადვოკატი მანანა კობახიძე, რომლის თქმით, დანაშაული ამ შემთხვევაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტმანეტმა ჩაიდინა. **„გასული წლის 3 დეკემბერს საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა, თუმცა თანხისთვის ხელის ხლება არც მანამდე შეიძლებოდა და არც პროცესის დასრულების შემდეგ, რადგან საქმე სააპელაციო სასამართლოში მიგვაქვს და ეს თანხა დღემდე ნივთმტკიცებად არის ცნობილი. სასამართლოს თანხის შესახებ არანაირი გადაწყვეტილება არ გამოუტანია. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ეკისრება, რადგან ის იყო ვალდებული, ეს თანხა დაეცვა. გამოდის, რომ კუდმა ნივთმტკიცება გაანადგურა, რაც სისხლის სამართლის დანაშულია“,** – აღნიშნავს მანანა კობახიძე.

რაც შეეხება, პრეზიდენტ სააკაშვილის, როგორც ამ თანხის გამოყენების ინიციატორის ბრალეულობას, ადვოკატები აცხადებენ, რომ ეს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში უხეში ჩარევის ფაქტია, რაც თავის მხრივ, კონსტიტუციის დარღვევაა.

**„სააკაშვილმა ამ ფულს ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე საქმის განხილვა დაიწყებოდა, ზეპირი განკარგულებით განაჩენი გამოუტანა. ეს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში უხეშ ჩარევას ნიშნავს, რაც კონსტიტუციის დარღვევაზე მიუთითებს. მისი ამ ინიციატივის გახმიანების შემდეგ, ვერც ერთი მოსამართლე ვერ იქნება თამამი, რომ საქმეში რაიმე შეაბრუნოს პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ეს არის ხელისუფლების სამ შტოს შორის ბალანსის დარღვევა“,** — განაცხადა ადვოკატმა კობახიძემ.

აფციაურის თქმით კი, **„ეს იგივეა, რაც სააკაშვილს „ვითომ ჩხრეკისას“ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერება აელო და მორფინისტებისთვის დაერიგებინა ან თვითონ მოეხმარა. მას ხომ ძალიან უყვარს კოკაინი“,** — დასძინა აფციაურმა.

**ლევან სულაშვილი**

**მანანა მანჯგალაძე:**
**პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ პოლიციელების მიერ ამოღებული თანხა კარგ, კეთილ და სასარგებლო საქმეს უნდა მოხმარდეს... დიახ, ეს თანხა მოხმარდა ბავშვებისთვის კომპიუტერების ყიდვას**

◀ **ილს, საუბარსაც აღარ თანხმდებიან.**

2004 წელს სააკაშვილმა გენერალ-მაიორის ჩინით დააჯილდოვა, 2007 წლის 2 მაისს კი სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე დავით კეკუა, პროკურატურის მოთხოვნით, რესტორან „თამარიონთან“ დააკავა და „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის სამხილის ფალსიფიკაციაში დაადანაშაულა. 2007 წლის 25 ოქტომბერს მე-7 იზოლატორში 43 წლის დავით კეკუა ჩამომხრჩვალი იპოვეს.

პროკურატურის ინფორმაციით, ნიკა ლომინაძის მკვლელობის ადგილის განმეორებითი დათვალიერებისას იმ დროისთვის თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსმა კეკუამ **„იატაკზე ფარულად დააგდო მის მიერვე მიტანილი ტყვია, რაც ოქმში ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის ტყვიად აისახა. ნივთმტკიცების ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით კეკუამ შემთხვევის ადგილზე გამოყენებული ტყვია სხვა, ოდნავ დეფორმირებული სისხლისმაგვარი ლაქებით დასვრილი ტყვიით შეცვალა და შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებს — ზაზა ალთუნაშვილსა და მიხეილ ივანიკაშვილს ყალბი დასკვნის გაცემა მოსთხოვა“.** ეს ბრალდება იმთავითვე აბსურდულად ჟღერდა თუნდაც იმის გამო, რომ გამოძიებას არ დაუსახელებია, რა ინტერესი ჰქონდა, კეკუას ნიკა ლომინაძის მკვლელისთვის ხელი დაეფარებინა.

თვითმკვლელობის ვერსიას კეკუას ოჯახიც გამორიცხავდა. დავით კეკუას მეუღლე ირმა ტყეშელაშვილი აცხადებდა, რომ დავით კეკუა მოკლეს. ასევე საუბრობდა ვერსიაზე, რომ მის მეუღლეს ნიკა რურუა გაუსწორდა, წლების წინ მისი ძმის დაკავების გამო. დავით კეკუას მეუღლე აცხადებდა, რომ იგი თავს არ მოიკლავდა თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ორ თვეში საპროცესო შეთანხმებით გამოსვლას ელოდებოდა. სიკვდილამდე, რამდენიმე დღის წინ, საკანში შესული მეუღლისთვის მას უთქვამს, რომ ეშინოდა საჭმელში რამე არ ჩაეყარათ, რომ მასთან ყოველდღე მიდიოდა ერთ-ერთი პატიმარი და მოკვლით ემუქრებოდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღის წინათ შესულ მოძღვარს კი უთხრა, რომ რაღაც დოკუმენტაციაზე ხელის მოწერას აიძულებდნენ.

**„საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა დავით კეკუას მეუღლეს — ირმა ბოჭორიშვილს, თუმცა მან კატეგორიულად განაცხადა, რომ ამ საკითხზე აღარ საუბრობს.** ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მან თავისი მეუღლის ბურუსით მოცული მკვლელობა აღარ აინტერესებს, ის, რომ ირმა ბოჭორიშვილი ამ საკითხზე აღარ საუბრობს, ალბათ, მასზე განხორციელებულ ზეწოლაზე უნდა მიანიშნებდეს.

**8 ივნისს რუსთავის მე-6 კოლონიაში ასევე ზეწრით ჩამომხრჩვალი იპოვეს პატიმარი ნუგზარ გვიჩიანი.** მისი და მისი ძმის ჩვენების საფუძველზე დააკავეს „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის — ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებული გია გვიჩიანი. ნოდარ გვიჩიანი ირწმუნებოდა, რომ ლომინაძის მკვლელობა „თბილგაზის“ მაშინდელმა დირექტორმა, გია გვიჩიანმა შეუკვეთა. მოგვიანებით გია გვიჩიანის წინააღმდეგ ჩვენება მისცა ნოდარ გვიჩიანის ძმამ, ნუგზარ გვიჩიანმაც, რომელიც მე-6 საპყრობილეში იხდიდა სასჯელს. ამ ჩვენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ იგი საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ისევე, როგორც კეკუას ოჯახს, გვიჩიანის ოჯახსაც თვითმკვლელობაში ეჭვი ეპარებოდა, მითუმეტეს, რომ სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში განცხადება, რომ ნუგზარ გვიჩიანზე მოსალოდნელი იყო თავდასხმა ლიკვიდაციის მიზნით, გარდაცვლილის დედამ ლიდა გვიჩიანმა შვილის გარდაცვალებამდე შეიტანა და მის შესაძლო ლიკვიდაციისთვის სავარაუდო გასამრჯელოც კი დაასახელა — 40 ათასი დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ მისი განცხადებიდან და სამართალდამცავი ორგანოებისთვის აღნიშნულის შესახებ ოფიციალური მიმართვიდან 15 დღეში გვიჩიანი საკანში გარდაცვლილი იპოვეს, და თანაც მისი ოჯახის წევრების განცხადებით, გვიჩიანს კისერზე წვრილი თოკის კვალი აღენიშნებოდა.

**სოფო გელაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
სკანდალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ლალი აფციაური:**
**ბავშვების ბავშვთა სახლში გადაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მშობელი ბოროტად არიდებს თავს შვილის მოვლას. სხვა შემთხვევაში მსგავსი რამ წარმოუდგენელია.**

# SOS: კართან სოციალური აგენტია!

## სოციალურად დაუცველ ოჯახებს შვილების წართმევით ემუქრებიან

**არის თუ არა დუხჭირი ეკონომიკური მდგომარეობა დანაშაული, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ბავშვების წართმევას ითვალისწინებს? როგორც ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, სახელმწიფომ ფინანსურად ხელმოკლე ოჯახების დამხარების მეტად უცნაურ მეთოდს მიაგნო. გასულ კვირას, კახეთის რეგიონში, უკვე მესამე ფაქტი დაფიქსირდა, როდესაც სოციალური მომსახურების საგენტოს წარმომადგენლები მშობლებისთვის ბავშვების წართმევასა და ბავშვთა სახლებში გადაყვანას ცდილობდნენ.**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ გასულ (№7) ნომერში ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ ინტერვიუ სამი შვილის დედის, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში მცხოვრები ნინო ქემაშვილის ადვოკატთან — თენგიზ ბეჟაშვილთან, რომელიც სიღნაღის რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებდა და ეჭვობდა, რომ ბავშვებზე ზრუნვის ნიღბით მოსულ სოციალურ აგენტებს სინამდვილეში სულ სხვა მიზნები ამოძრავებდათ.

**„სოციალური მომსახურების სააგენტო ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც მიდის ოჯახში და მშობლებს, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, შვილებსართმევს. რეალური მიზეზი ჩემთვის შემზარავია, მაგრამ ვეჭვობ, რომ ისინი ეძებენ ჯანმრთელ ბავშვებს, ვინაიდან ბავშვის ორგანოები მთელ მოფლიოში ძალიან ძვირია. თუ ასეთი მზრუნველები და კეთილშობილები არიან, რატომ არ ინტერესდებიან უამრავი გაჭირვებული და ავადმყოფი ბავშვით?**

**ქვეყანაში ხომ უამრავი უპატრონო ბავშვია, იმათ მიხედონ და დედას, რომელსაც უყვარს და ზრუნავს საკუთარ შვილებზე ისე, როგორც შეუძლია, შვილებს ნუ წაართმევენ“,** — აცხადებდა **ადვოკატი თენგიზ ბეჟაშვილი**.

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა ნინო ქემაშვილს სამი შვილი ისე წაართვეს, სოციალური აგენტების გარდა, არავის დაუდასტურებია, ჰქონდა თუ არა დედის მხრიდან ძალადობისა და ცემის ფაქტს ადგილი. სამაგიეროდ, ნინო ქემაშვილი ამტკიცებს, რომ სოციალურმა აგენტმა მას შვილის გაყიდვა შესთავაზა. მეზობლების განცხადებით, ნინო ქემაშვილი ძალიან გაჭირვებული, მაგრამ მზრუნველი დედა იყო, თუმცა ეს ფაქტი რატომღაც არავის გაუთვალიწინებია. ადვოკატის განცხადებით, არსებობს პროკურატურის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვები ჰარმონიულ და ნორმალურ პირობებში იზრდებიან, თუმცა რატომღაც არც ამ დადგენილებას მიაქცია ვინმემ ყურადღება.

კონსპიროლოგიისკენ მიდრეკილი წყაროები ამტკიცებენ, რომ ასეთი წართმეული ბავშვები, უპატრონო ბავშვებთან შედარებით, გაშვილებისას აშკარა უპირატესობით სარგებლობენ. ჯერ ერთი, მათი გაშვილება გაცილებით ნაკლებ ფორმალობასთან არის დაკავშირებული და, რაც მთავარია, ისინი ჯანმრთელები არიან და მათი მშობლები და გენეტიკური მდგომარეობაც ცნობილია. ნინო ქემაშვილი შვილების დაბრუნებას ამჟამად სასამართლოს გზით ცდილობს.

**სოციალური მომსახურების სააგენტოს სიღნაღის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი ზურაბ ზურაბაშვილი** კომენტარზე უარს აცხადებს და პრესსამსახურთან გვაგზავნის:

**— უკვე ორი ოჯახი გადანაშაულებთ, რომ თქვენი სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები სოციალურად დაუცველ ოჯახებს ბავშვებს ართმევენ და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მიჰყავთ ბავშვთა სახლებში.**

## ალექსანდრე მამუკელაშვილი:
# საკუთარ შვილებს მე მივხედავ, რატომ უნდა გააშვილონ?!

— ქემაშვილების საქმეზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და უფლება არ მაქვს, სასამართლოს დასრულებამდე კომენტარი გავაკეთო.

**— სიღნაღის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებენ.**

— მაგისთვის არსებობს სააგენტოს პრესსამსახური და მას მიმართეთ.

**— მაგრამ თქვენ ხომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი ბრძანდებით?**

— გასაგებია, მაგრამ თქვენ გაინტერესებთ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობა, ამიტომ პრესცენტრს მიმართეთ.

### სოციალურად დაუცველი ოჯახი მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვს

ჩვენთვის კიდევ ერთი ფაქტის შესახებ გახდა ცნობილი: სოციალური აგენტები ბავშვების წართმევით თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრებ ალექსანდრე მამუკელაშვილის 11-სულიან ოჯახსაც ემუქრებიან. მიუხედავად იმისა, რომ მამუკელაშვილების ოჯახი მართლაც არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ოჯახის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, მათ არათუ დაეხმარნენ, სოციალური დახმარებაც შეუწყვიტეს და ოჯახს ბავშვების წართმევითაც დაემუქრნენ. როგორც ალექსანდრე მამუკელაშვილი ამბობს, სოციალური აგენტები მასთან რამდენიმეჯერ მივიდნენ და ბავშვების გაშვილების პროგრამაში ჩართვა შესთავაზეს.

**„222 ლარს ვიღებდით ყოველთვიურად და წამლებისა და პურის ყიდვას მაინც ვახერხებდით. რაც დახმარება შეგვიწყვიტეს, ჩვენი მდგომარეობა გაუარესდა. არადა, ყურადღებას არავინ გვაქცევს. ასე მითხრეს, ჩვენი დახმარების პროგრამაში არ შედის სახლის შეკეთება ან აშენებაო. თან დამემუქრნენ, მოვალთ და პატრულის ძალით წაგართმევთ ბავშვებს და გაგიშვილებთო.**

**მე ვუთხარი, ის 200 ლარი მე მომეცით და საკუთარ შვილებს მე მივხედავ, რატომ უნდა გააშვილოთ-მეთქი. ისე მიყვარს შვილები, ამათ როგორ დავთმობ. რაც დამემუქრნენ, იმის მერე სოციალური დახმარების ასაღებადაც აღარ მივსულვარ, მეშინია, კიდევ რამე შარი არ მომდონ და ბავშვები არ წამართვან.**

**ახლა ერთი სურვილი მაქვს, ჩვენს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან მინდა შეხვედრა რომ ჩვენი მდგომარეობის შესახებ მოვუყვე“,** — ამბობს 7 შვილის მამა **ალექსანდრე მამუკელაშვილი**.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების უფროსი თამარ ნოღაშვილი ბრალდებებს უარყოფს, თუმცა ადასტურებს, რომ მამუკელაშვილების ოჯახს გაშვილების პროგრამაში ჩართვა შესთავაზეს. **„არავინ არაფრით დამუქრებია. პროგრამაში ჩართვა შევთავაზეთ, მაგრამ მისი გადასაწყვეტია, დათანხმდება თუ არა“,** — აცხადებს სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების უფროსი.



## მაია სიფრაშვილი:
# სანამ ბავშვებს წაიყვანენ, ჯერ მე უნდა მომკლან. ჩემს შვილებს არავის დავუთმობ

### „ღარიბი რომ ვარ, ბავშვები უნდა წამართვან?“

გასულ კვირას კიდევ ერთი საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ მაია სიფრაშვილისთვის ბავშვების წართმევას. შეშინებული დედა, ავადმყოფობის მიუხედავად, საავადმყოფოში გადაყვანაზეც უარს აცხადებდა. **„პოლიციით დამემუქრნენ, თუ ნებას არ მოგვცემ, ბავშვებს პოლიციის ძალით წავიყვანთო. სასწრაფო გამოიძახეს, რომ ჩასხან ბავშვები, ჯერ საავადმყოფოში გადაიყვანონ და მერე ბავშვთა სახლში. ღარიბი რომ ვარ, ბავშვები უნდა წამართვან? სანამ ბავშვებს წაიყვანენ, ჯერ მე უნდა მომკლან. ჩემს შვილებს არავის დავუთმობ“,** — ამბობს **მაია სიფრაშვილი**.

აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ გამოყენებული ქმედებები გააპროტესტა „ადამიანის უფლებათა ცენტრმაც“.

**„სოფელ ანაგაში სიფრაშვილების საცხოვრებელ სახლთან მობილიზებული იყო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები შვიდი შვილის დედას ბავშვების ჩამორთმევით დაემუქრნენ. მუქარას მოზარდებიც ესწრებოდნენ, რომლებიც ხმამაღლა ტიროდნენ, რადგან დედასთან დაშორება არ უნდოდათ. მართალია, სიფრაშვილები მძიმე პირობებში ცხოვრობენ, მაგრამ მშობლის უფლების შეზღუდვა და მოზარდების ბავშვთა სახლში გადაყვანა სოციალური მომსახურების სააგენტოს თვითმიზანი არ უნდა იყოს და იგი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში. სააგენტოსთვის აღნიშნული ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე წლების განავლობაში იყო ცნობილი, თუმცა ჩვენი წარმომადგენლების მიერ მოპოვებული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ სოციალურ მუშაკებს მშობლებთან არასდროს უმუშავიათ პირობების გაუმჯობესების მიზნით. პოლიციის ძალით ოჯახის დაწიოკება და მუქარა მცირეწლოვანი ბავშვების თანდასწრებით არღვევს ადამიანის უფლებებს და აბსოლუტურად მიუღებელია“,** — ნათქვამია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ განცხადებაში.

როგორც **„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი უჩა ნანუაშვილი** ჩვენთან საუბარში ამბობს, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქმის მონიტორინგს განაგრძობს. **„ჩვენი წარმომადგენლები ადგილზე იმყოფებიან, ჯერჯერობით ვითარებას სწავლობენ, დეტალურ ინფორმაციას ვაგროვებთ და შემდგომში, ალბათ, მივმართავთ სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ყველა სამართლებრივ მექანიზმს გამოვიყენებთ და შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ“.**

## ლალი აფციაური:
# ცოტა ხანში, იქნებ, ხალხს ცოლები და ქმრებიც წაართვან

ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ უფლებადამცველებიც. **„წარმოუდგენელია, სიღარიბის გამო ოჯახს ბავშვები წაართვა. თუ სახელმწიფოს წარმომადგენლები ხედავენ, რომ ოჯახი სოციალურად დაუცველია, სახელმწიფოს მეტი რა ვალდებულება აქვს, უნდა დაეხმაროს ასეთ ოჯახებს, შვილები კი არ უნდა წაართვას.**

**ბავშვების ბავშვთა სახლში გადაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მშობელი ბოროტად არიდებს თავს შვილის მოვლას. სხვა შემთხვევაში მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ცოტა ხანში, იქნებ, ხალხს ცოლები და ქმრებიც წაართვან“,** — ამბობს **ადვოკატი ლალი აფციაური**.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ოჯახის შემთხვევაში, მეზობლები არ ადასტურებენ ბავშვების ცემის ფაქტს, ამ ოჯახების ერთადერთ „დანაშაულად“ მხოლოდ ის იკვეთება, რომ მრავალშვილიანები და სოციალურად დაუცველები არიან. საკითხავია, უახლოეს მომავალში შვილებთან ერთად ჩამოართმევენ თუ არა ყველა სოციალურად დაუცველ ოჯახს შვილების გაჩენის უფლებას?

რამდენად ლოგიკური იქნება, ბავშვის მიმართ მშობლის უმნიშვნელო გაბრაზების ან ფინანსური სახსრების უქონლობის გამო, ოჯახს შვილები წაართვან და რასთან გვაქვს საქმე — სოციალური მომსახურების სააგენტოების ზღვარგადასულ თავნებობასთან თუ გაცილებით საშიშ დანაშაულთან?

იმედს ვიტოვებთ, აღნიშნულ კითხვებს, კომპეტენტური ორგანოები უახლოეს მომავალში პასუხს გასცემენ.

**შორენა ციქარაშვილი**

**რატომ ტარდება საქართველოში წელიწადში ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ ფეშენ ვიკები, ამაზე, რა თქმა უნდა, პასუხი არავის აქვს. უფრო მეტიც, მათ, ვისაც უკვე მოენატრა, ფეშენ ვიკების გლამურულ საღამოებზე საკუთარი თავის დემონსტრირება, დიდხანს ლოდინი არ მოუწევთ. რიგით მესამე „ჯორჯიან ფეშენ ვიკს“ პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე მარტის ბოლოს გვპირდება. ოფიციალური განცხადების თანახმად, მოდის კვირეული 31 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით გაიმართება.**

**მხილება**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მაყვალა მკერავიდან «Georgian Fashion Week»-მდე

**საზოგადებასა და მედიაში სახელმწიფო მოხელეების ცოლები ყოველთვის დიდ ინტერესსა და ყურადღებას იწვევდნენ. რაც დრო გადის ჩინოვნიკების მეუღლე ქალბატონები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან სახელმწიფო პოლიტიკაში და ქვეყნის „ალმშენებლობაში“. ცოლები არიან ბიზნესში, ფლობენ წილებს, არიან სხვადასხვა ორგანიზაციის დირექტორები, მენეჯერები. მათი შემოსავალი კი ხშირად ქმრებისას არაფრით ჩამოუვარდება.**





## დავით ბაქრაძის მეუღლის მოდის კვირეული სოფლის კლუბის ღონისძიებას შეადარეს

ცოლები იყვნენ ყველგან და ყოველთვის — ზოგი თამამად, ზოგი კი ქმრის ჩირდილში დამალული იქცევდა საზოგადოების ყურადღებას. გახსოვთ, ალბათ, თავის დროზე საბჭოთა კავშირის პირველი პრეზიდენტის ცოლმა რაისა გორბაჩოვმა საზოგადოებაში ნამდვილი ფურორი გამოიწვია. მანამდე ქვეყნის არც ერთ პირველ ქალბატონზე არ ჭორაობდნენ იმდენს, რამდენსაც რაისაზე. **„სანამ დახვეწილი და ღიმილიანი რაისა გორბაჩოვა არ გამოჩნდა ჰელსინკში გუჩის ხელჩანთებით, საბჭოთა ხელმძღვანელების ცოლებს დასავლეთში საბჭოთა მაცივრებს ადარებდნენ“,** — წერდა რუსი ჟურნალისტი ტატიანა კონსტანტინოვა. რაისამ დასავლელებს ეს შეხედულება გამოჩენისთანავე დაუნგრია.

ამერიკის შერთებული შტატების პირველ ლედი მიშელ ობამაზე კი მთელი მსოფლიო, მგონი, უფრო მეტს საუბრობს, ვიდრე თავად ბარაკ ობამაზე.

სხვა ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, საკუთარ სამშობლოშიც ბევრი საინტერესო დეტალის ალმოჩენა შეგვიძლია ამ მიმართულებით.

ჩვენმა პირველმა ლედიმ, ქალბატონმა სანდრა რულოვსმა სანდომიანი, მშვენიერი, ქველმოქმედი ქალის იმიჯი კარგად მოირგო. ბოლო დროს სულ უფრო იშვიათად ჩნდება მედიაშიც. ერთი შეხედვით მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა ყველა მას როდი ბაძავს. ქართულ პოლიტიკაში ცოლები დღითიდღე უფრო აქტიურდებიან. ცოლები გვხვდებიან სახელმწიფო უწყებაში, მედიაში, სკოლასა და უნივერსიტეტში, ცოლები არიან დირექტორები, ხელმძღვანელები... ასე რომ ჩინოვნიკების ცოლების აქტიურობა და სხვადასხვა წამყვან თანამდებობაზე ხილვა უკვე ჩვენთანაც ალარავის უკვირს. ეს უკვე ერთგვარ კანონზომიერებადაც იქცა.

სახელმწიფო მოხელეების ცოლებმა მაღალი თანამდებობა და სავარძელი ზოგმა მედიაში, ზოგმა სამინისტროებში და ზოგმა სხვადასხვა უწყებაში იპოვა. ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ენდოკრინოლოგი მეუღლე, ქალბატონი მაკა მეტრეველი კი გასულ წელს მოდით დაინტერესდა. სწორედ ქალბატონ მაკაზე და ბოლო დროს საქართველოში საოცრად გახშირებულ ფეშენ ვიკებზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო.

**მას შემდეგ, რაც საქართველო 2003 წლის შემდეგ „აღმასვლის, განვითარებისა და გაფურჩქვნის“ გზას დაადგა, 7 წლისთავზე საჭირო გახდა ქართველებს გემოვნებით ჩაცმასა და მოდის ინდუსტრიის განვითარებაზეც გვეზრუნა. ვინ აიღებდა ამ უზარმაზარ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე, თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე?!**

**რაც ამ საქმეს მოჰკიდა ხელი, ქალბატონმა მაკამ უფრო მეტად დაიწყო ზრუნვა საკუთარ გარდერობზე, მზა კაბებს აღარ ყიდულობს, ავთანდილთან იკერავს. ბაქრაძეების ოჯახში ცქვიტინიძის კაბები უკვე სამ ქალბატონს აცვია — მაკას და მის ორ ქალიშვილს.**

„ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, სჭირდება ისეთი ევროპული ფასეულობა, როგორიც მოდაა,“ — განაცხადა დავით ბაქრაძემ მეუღლის მხარდასაჭერად. აბა, ჩვენი ესოდენ დიდი პრივილეგიების მქონე ქვეყანა მხოლოდ კოლმეურნეობაში მივლენილ მაყვალე მკერავის იმედად ხომ არ დარჩებოდა?!



გახსნოვთ, ალბათ, პირველად ქართული მოდის კვირეული 2010 წლის მარტში მაკა მეტრეველის საორგანიზაციო ჯგუფმა ჩაატარა. მაშინ ამაზე ბევრი დაიწერა, ქართულმა არხებმა არაერთი სიუჟეტი მიუძღვნეს. **მერე რა, რომ ქართველების უმეტესობას აგათა რუის დე ლა პრადა ცნობილ მიუჩა პრადაში აერია, ღონისძიება მაინც წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად გამოაცხადეს, თუმცა ჩვენი ფეშენ ვიკი მსოფლიო მოდის ისტორიაში და ყურადღების ცენტრში მაინც ვერ მოხვდა.**

პირველივე ვიკის ჩატარებისთანავე ქართული მოდის სამყაროში „შავმა კატამ“ გაირბინა. კულუარებში ამბობდნენ, რომ ენდოკრინოლოგმა „ფეშენ“ ორგანიზატორმა რამდენიმე ასევე ფეშენ დიზაინერი და მოდელი ვიკზე არ მიიწვია. ჰოდა, ბანაკიც ორად გაიყო. განაწყენებულებმა მეორე ფეშენ ვიკი მაისშივე სახელდახელოდ მოაწყვეს მოდელ თაკო ჩხეიძის ორგანიზატორობით. თუ მაკა მეტრეველმა „ჯორჯიან ფეშენ ვიკი“ მოგვიწყო, თაკო ჩხეიძემ „თბილის ფეშენ ვიკი“ გვაჩუქა. მეტი ყურადღების მისაქცევად მეორე ბანაკმა ცნობილი დიზაინერი რობერტო კავალიც მოიწვია, მაგრამ სტუმრებს კავალი თვალითაც არ უნახავს, რადგან აეროპორტიდანვე „მოტეხა“ სახელგანთქმული სტუმარი ქვეყნის პრეზიდენტმა. მიუხედავად ამისა, ეს კვირეულიც ვერ მოხვდა მოდის კვირეულების მსოფლიო კალენდარში.

**ასე დაიწყო საქართველოში ორი ფეშენ ვიკის ისტორიის წერა, თანაც ცალ-ცალკე. ამბობენ, უცხოელებს სასაცილოდ არ ჰყოფნის ის, რომ საქართველოსა და თბილისის ფეშენ ვიკები ცალ-ცალკე იმართება, რადგან მიღებულია პარიზის ფეშენ ვიკის გამართვა და არა საფრანგეთის ან მილანის და არა იტალიის. საინტერესოა, როდის გავთავისუფლდებით ქართველები ორი სათაურის, ორი მარინა ფერაძის, ორი ახალი წლისა და ორი ფეშენ ვიკისაგან?!**

როგორც ჩანს, მაისის მოდის კვირეულებზე იმდენად ისიამოვნეს ორგანიზატორებმა, ნოემბერშივე მოაყოლეს მორიგი ფეშენ ვიკები. მათივე განცხადებით, რიგით მეორე ფეშენ ვიკი უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე პირველი. **გაზაფხულის ვიკზე, როგორც აღმოჩნდა, სტუმრების დიდმა ნაწილმა არ იცოდა ფეშენ ვიკის ეტიკეტი, ამიტომ ზედმეტად გადაპრანჭულები მივიდნენ გახსნაზე. საღამოს კაბებით მოდის კვირეულზე სიარული ცუდ ტონად რომ ითვლება, ჩვენმა ფეშენ საზოგადოებამ, ეტყობა, არ იცოდა. მეორე ჩვენებაზე ეს ხარვეზი გამოასწორეს და ჩვენებებზე სტუმართა დიდი ნაწილი მოდურად, მაგრამ ნაკლებად მორთულ-მოკაზმული დადიოდა.**

**რატომ ტარდება საქართველოში წელიწადში ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ ფეშენ ვიკები, ამაზე, რა თქმა უნდა, პასუხი არავის აქვს. უფრო მეტიც, მათ, ვისაც უკვე მოენატრა, ფეშენ ვიკების გლამურულ საღამოებზე საკუთარი თავის დემონსტრირება, დიდხანს ლოდინი არ მოუწევთ. რიგით მესამე „ჯორჯიან ფეშენ ვიკს“ პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე მარტის ბოლოს გვპირდება. ოფიციალური განცხადების თანახმად, მოდის კვირეული 31 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით გაიმართება.**

მართალია, მოდის კვირეულებზე დახარჯულ თანხებზე დღემდე არავინ საუბრობს, მაგრამ, თუკი სპონსორების სიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მოდის კვირეულებს კულტურის სამინისტრო ასპონსორებს, შესაბამისად, თანხაც საქართველოს ბიუჯეტიდან გამოიყოფა. გავრცელებული ხმების თანახმად, პირველი კვირეულის ჩატარება დაახლოებით მილიონი დოლარი დამჯდარა; სხვათა შორის, სპონსორებს შორის თბილისის მერიაც ფიგურირებდა. **შეგახსენებთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე, გარდა მოდის კვირეულების ორგანიზებისა, თბილისის მერიაშიც მუშაობს, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მთავარ სპეციალისტად. ჰოდა, მაკა მეტრეველს, მერიიდან დაფინანსების მიღება ბევრი მიზეზის გამო არ გაუჭირდებოდა.**

„ჯორჯიან ფეშენ ვიკი“ ისე არაორგანიზებულად ჩატარდა, აღშფოთებას ვერ ვმალავ. ფეშენ ვიკის ორგანიზატორებმა სულ ტყუილად გადამაყრევინეს ფული.

პოდიუმი იყო ისეთი საშინელი, რომ დავინახე, გულზე შემომეყარა — ხისგან გამოჩორკნილ სცენაზე სინთეტიკური ხალიჩა იყო გადაკრული, გარშემო კი — ფარდები. ყველაფერი სიმახინჯე იყო. „ჯორჯიან ფეშენ ვიკი“ კი არა, სოფლის კლუბი გეგონებოდათ,“ — იხსენებს „ჯორჯიან ფეშენ ვიკის მონაწილე“ დიზაინერი ეკა ბალანჩივაძე. როგორც ეკამ გვითხრა, „ჯორჯიან ფეშენ ვიკში“ მონაწილეობას აღარასდროს მიიღებს, სამაგიეროდ თავის ნამუშევრებს „თბილის ფეშენ ვიკზე წარადგენს“, რომელიც აპრილში ყოფილა დაგეგმილი. თარიღს ორგანიზატორები მალე დააზუსტებენ.

ერთი სიტყვით, გარდერობის განახლების დროა! წინ ძალიან „მოდური გაზაფხული“ და უამრავი „გლამურული საღამოები“ გველოდება.

**ღონისძიება წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად გამოაცხადეს, თუმცა ჩვენი ფეშენ ვიკი მსოფლიო მოდის ისტორიაში და ყურადღების ცენტრში მაინც ვერ მოხვდა.**

**თეო ტაბატაძე**

---

**მსოფლიო**

## ადამიანებით მოვაჭრეები დააკავეს

სერბეთის პოლიციამ ადამიანებით ვაჭრობისთვის ექვსი პირი დააკავა. დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან იმაში, რომ 2009 წლის აგვისტო-ოქტომბერში ათობით არალეგალი მიგრანტი სერბეთიდან უნგრეთსა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გადაჰყავდათ. პოლიცია ვარაუდობს, რომ ყოველ არალეგალში ბოროტმოქმედები რამდენიმე ათას ევროს იღებდნენ. ასევე, პოლიციაში ეჭვობენ, რომ დამნაშავეთა ჯგუფს, შესაძლოა, პასუხისმგებლობა ეკისრებოდეს ალბანელთა დაღუპვის გამო, რომლებიც 2009 წლის ოქტომბერში კოსოვოდან უნგრეთში გადაჰყავდათ.



## ნატომ ბავშვები დაბომბა

ავღანეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის გამო ნატომ ბოდიში მოიხადა. წინა კვირას მშვიდობიან დასახლებაზე მიტანილ საჰაერო იერიშს 9 არასრულწლოვანი ემსხვერპლა. ალიანსის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ოპერაციის მთავარი მიზანი ტერორისტთა დაჯგუფების სრული ლიკვიდაცია იყო, თუმცა დაბომბვას ბავშვების სიცოცხლე შეეწირა. მომხდარის გამო მწუხარებას გამოთქვამს თეთრი სახლიც. აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ავღანელ კოლეგას გვიან ღამით დაუკავშირდა.

რელიგია

**მეუფე იობი:**

**როცა ბაგაფშის განცხადებას მოვისმენთ — ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დავუსვათ საქართველოსთან ურთიერთობასო, ან კოკოითის გამონათქვამებს, არ უნდა ავყვეთ და მდგომარეობა კიდევ უფრო არ უნდა გავამწვავოთ. გვახსოვდეს, რომ ადამიანს ცვალებადი ბუნება აქვს და, თუ დღეს ეშმაკს დამორჩილდა და გაღიზიანებულად მოიქცა, ხვალ შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინოს.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მეუფე იობი: აფხაზები, ოსები... მე ისინი მიყვარს!

**დღეიდან „საქართველო და მსოფლიო“ იწყებს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობთან საუბრების ციკლს, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე.**

მეუფე იობი (ერისკაცობაში ელგუჯა აქიაშვილი) დაიბადა 1960 წლის 29 მაისს ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს მშობლიურ კუთხეში.
1988 წლის 19 იანვარს — დიაკვნად, ხოლო 28 მარტს მღვდლად ეკურთხა.
1988 წლის 22 ივნისს მღვდელმონაზონი იობი დაინიშნა მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვრად;
1989 წლის 31 სექტემბერს აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში და იმავე წლის ოქტომბერში დაინიშნა სხალთის ახალგახსნილი მამათა მონასტრის წინამძღვრად;
1990 წელს ვარძიის მონასტრის იღუმენია და 28 აგვისტოდან აყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში; იმავე წელს საპატრიარქოს ახალჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის განყოფილების თავმჯდომარედ ინიშნება და მარტყოფის ღვთაების მონასტრის წინამძღვარიცაა; ერთხანს არის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის კამანის მონასტრის წინამძღვარიც.
1992 წლის მაისში, წმ. სინოდის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტი იობი გამორჩეულ იქნა მანგლელ ეპისკოპოსად;
1992 წლის სექტემბერში იგი პარალელურად ინიშნება სასულიერო სემინარია-აკადემიის პრორექტორად.
1992 წლის 25 დეკემბერს, გადაყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსად და დაინიშნა ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორად.
1995 წელს, ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გაყოფის შემდეგ, დაინიშნა ბათუმ-სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსად.
1996 წლის 21 ოქტომბრიდან ურბნისისა და რუისის ეპისკოპოსი და, პარალელურად, პატრიარქის ქორეპისკოპოსია.
1996 წლის 25 დეკემბერს აყვანილია მთავარეპისკოპოსის ხარისხში,
2000 წლის დეკემბერში — მიტროპოლიტის ხარისხში.
როგორც თავად იტყვის ხოლმე, იგი დღემდე, უწინარესად, „ერთი უბრალო ბერია“. და აი, ამ უბრალო ბერმა ურბნისისა და რუისის ეპარქია პატარა იერუსალიმს დაამსგავსა. დღეს აქ 150-ზე მეტი მონასტერი და ოთხასამდე ბერ-მონაზონია.
გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეუფე იობი არა მარტო თავის მრევლში, არამედ მთელ მართლმადიდებელ საქართველოში განსაკუთრებული ავტორიტეტითა და ყურადღებით სარგებლობს.
ჭეშმარიტ ქრისტიანებს იგი გამორჩეულად უყვართ, ქრისტეს მტრებს კი მისი ეშინიათ.
ამიტომ არის, რომ იგი ერთდროულად ძალიან სათნოც არის და ძალიან მკაცრიც.



**«ჩემი ეპარქიის ერთ-ერთ ტრაფარეტზე ჩემი უსაყვარლესი სიტყვები დავაწერე: «უფალი მეფობს!» ეს, იცით, რას ნიშნავს? იმას, რომ უფალი მეფობს და არა — შევარდნაძე, სააკაშვილი თუ სხვა ხელისუფალი».**

**— არა ერთხელ მსმენია და თქვენც ბევრჯერ გითქვამთ — მძიმეა ჯვარი მღვდელმთავრისო. რას გულისხმობდით და, საერთოდ, რას ნიშნავს, იყო მღვდელმთავარი?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა განვმარტო, რა არის კურთხევა. ეს არის სულიწმიდის მადლის გამოთხოვა, რომელიც გარდამოდის ადამიანზე. პირველად ეს დიაკვნად კურთხევისას ხდება, შემდეგ – მღვდლად, მერე კი — მღვდელმთავრად. ეს საოცარი, არამიწიერი შეგრძნებაა. მახსოვს, უწმინდესმა მითხრა – კურთხევის დროს გულით შესთხოვე უფალს და უფალიც შენი თხოვნისამებრ წარმართავს შენს მღვდელმთავრულ ცხოვრებასო. როცა სვეტიცხოვლის ტაძარში ეპისკოპოსად მაკურთხებდნენ, შევთხოვე უფალს — მამსახურე შენი დიდებისთვის სახელის გარეშე-მეთქი. ყურად იღო თუ არა უფალმა ჩემი ვედრება, ეს ჩემმა შემდგომმა ცხოვრებამ ცხადყო... ცხოვრებაში მართლაც ასე ხდება...

**მღვდელმთავრობა, უპირველეს ყოვლისა, არის უდიდესი პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე. ეს არის მწყემსი, რომელიც პირმეტყველ მაცხოვარს მწყსის და მიჰყავს უფალთან. მღვდელმთავარი თავის თავში სულიერად მოიცავს მთელ ეპარქიას; ყველა მტკივნეული ადგილი ეპარქიაში მღვდელმთავრის სულში იყრის თავს.** ხანდახან, როცა წარმოვიდგენ რომელიმე, ვთქვათ, ქოზიფის მონასტერს, მთელ საძმოს, მონასტრის მდგომარეობა უფლის წყალობით ჩემს ცხოვრებაში თავისით მოდის და ჩემ თვალწინ იშლება; **მღვდელმთავარი შეიძლება შევადაროთ ადამიანს, რომელიც თავისი ნებით მიდის ჯვარცმაზე, უფლის წინაშე დებს აღთქმას უნაპირო სიყვარულისას, ერთგულებისას, თავგანწირვისას.** მისი სულიერი მდგომარეობა მხოლოდ უფალმა იცის, რადგან უბრალო ადამიანს ვერ ძალუძს, ჩასწვდეს იმ უძირო ტკივილს, სიმძიმეს, რაც მღვდელმთავარს აქვს.

ადამიანები, ხანდახან, გარეგნულად საზღვრავენ – მღვდელმთავარი მდიდრულად შემოსილია, კარგ პირობებში ცხოვრობს, მდიდრული მანქანით დადისო. მაგრამ მისი შინაგანი ბრძოლა, სულიერი მდგომარეობა, ტკივილი თუ სიხარული მხოლოდ უფალმა უწყის. **ქრისტიანული მცნებების წმინდად შესრულება, უპირველესად, თვით მღვდელმთავარს ეკისრება უფლის წინაშე. მღვდელმთავარი პირადი მაგალითით უნდა ქადაგებდეს ქრისტიანობას.** წინააღმდეგ შემთხვევაში მრევლს მისი არც პატივისცემა ექნება და არც სიყვარული და არანაირი სულიერი შედეგი იქნება ეპარქიაში. მღვდელმთავრობა ტანჯვაც არის და უდიდესი სიხარულიც, უნაპირო ტკივილიც და ხანდახან ცრემლიც. გტკივა შენი სამწყსოს, შენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური მდგომარეობა, გახარებს წარმატებები. ყველანაირი დადებითი და უარყოფითი ჩემში – მღვდელმთავარში ფოკუსირდება, მე კი ჩემი ძალისხმევით, ჩემს სულში, ცნობიერებაში უნდა გადავხარშო, გარდავქმნა და სულიერ ჭრილში განვიხილო ყველაფერი. თუ ხელს არ ჩაიქნევ და სასოებით შეხედავ მომავალს, ყველა უარყოფითი დადებითად გარდაიქმნება. ყოველ ეპარქიას, მღვდელმთავრის ლოცვით დიდი შეწევნა და მფარველობა გაქვს ღვთისგან. ამას თითოეული მორწმუნე გრძნობს.

**— მახსოვს, ერთხელ მითხარით, ამაოდ არ მრქმევია იობიო. ალბათ, თქვენს ცხოვრებას გულისხმობდით. სულიერ საფეხურზე მსვლელობისას, სულიერი ტკივილის, განსაცდელის დროს მღვდელმთავარი განსაკუთრებით სასოებს თავის მფარველ წმინდანს. რამდენად მართებულად დაგერქვათ იობი და რას უნდა გრძნობდეს მღვდელმთავარი, რომელსაც იობ მრავალვნებულის სახელი ჰქვია, წმინდანისა, რომელიც ერთადერთი ადამიანი იყო ძველ აღთქმაში, რომელმაც ეშმაკს სძლია?**

— იცით, ამქვეყნად არაფერი ხდება შემთხვევით და მითუმეტეს — ბერისთვის სახელის დარქმევა. არ მახსენდება, საქართველოს ისტორიაში რომელიმე სასულიერო პირს იობი რქმეოდეს. საქართველოს ისტორიაში ერთადერთი კათოლიკოსი იყო იობი, რომელიც IV-V საუკუნეებში მოღვაწეობდა. მის მერე აღარავის რქმევია. ჩვენს ეპარქიაში ერთ ბერს ეწოდა იობი (იღუმენი იობი გეგეშიძე).

ბერად 1988 წლის 3 იანვარს სამთავროს ფერიცვალების ტაძარში აღვიკვეცე 28 წლისა. საოცარი ისაა, რომ ჩემი ბერად აღკვეცის წინა დღეს მეუფე ზოსიმემ მიამბო: ზეციდან ხმა მომესმა, რომ შენთვის იობი უნდა მეწოდებინა. ძალიან დავმწუხრდი, რადგან მართალი იობის ცხოვრება და განსაცდელი ვიცოდი და ამ ტკივილისთვის ვერ გაგიმეტე. წავედი და პატრიარქს ვკითხე, მან კი თანხმობა მომცა, იობი უწოდეო. შენ მაინც წადი და თავად ჰკითხე უწმინდესსო. მართლაც, მივედი უწმინდესთან და ვკითხე. მან მეც დამიდასტურა, რომ იობის სახელით უნდა აღვკვეცილიყავი.

იცით, მაშინ ბოლომდე ვერ გავიაზრე ეს სახელი, რადგან ჩემთვის მთავარი აღკვეცა იყო. ერთი სული მქონდა, როდის დადგებოდა ეს ნანატრი დღე, როცა ბერად აღმკვეცავდნენ. ახლა კი უკვე სიღრმისეულად ვხვდები, რომ ნამდვილად ღვთით დამერქვა იობი. მართლაც, ძალიან დიდი მოთმინება მჭირდება ყოველდღიურად და დღეში რამდენიმეჯერ და ყოველთვის უფლის სიტყვებს ვიხსენებ — მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო. **ჩემი წმინდანი ძალიან ახლობელია ჩემთვის. როცა იობ მრავალვნებულის ცხოვრებას ვკითხულობ, უნებურად გადავდივარ იმ პერიოდში, თვალხილულად ვუყურებ მის ცხოვრებას და იმდენად ახლობელი ხდება იგი ჩემთვის, რომ მეც მასავით განვიცდი მის ტკივილს, სატანჯველს. ყოველი განსაცდელის ჟამს მახსენდება იობი მრავალვნებულის ცხოვრება და ეს მაძლევს ნუგეშს, ძალას იმისას, რომ ჩემი მღვდელმთავრული ცხოვრება იობისეულ მოთმინებაზე დავაფუძნო, მასავით მივენდო და ვსასოებდე უფალს.**

**— გაოგნებული ვარ თქვენი მოთმინებით. ერთმა ბერმა თქვენზე მითხრა, მეუფე სიყვარულის უდიდესი, უნაპირო ოკეანეა, მაგრამ მტერსაც კი არ ვუსურვებ განრისხებული მეუფე იობის ხილვასო. განრისხებული მეც მინახიხართ, როცა ჩვენს სამშობლოში ის ხდება, რაც ერისთვის დამღუპველია. რამ შეიძლება განგარისხოთ?**

— მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ვიცი განრისხება, მაშინ, როცა კაცი იმ ზღვარს გადადის, რასაც ქრისტიანობა ჰქვია. საშინლად მიმძიმს ღალატის გადატანა. ღალატში ვგულისხმობ ბერული ცხოვრებისთვის ზურგის შექცევას, სარწმუნოების, ქრისტეს, სამშობლოს, მეგობრის ღალატს. ღალატი პირდაპირ ეშმაკის მსახურებაა. როცა ვმრისხანებ, ყველას ვუხსნი, რომ ეს მრისხანება მათკენ კი არა, იმ ეშმაკის წინააღმ- ▶

ქოზიფის მამათა მონასტერი



**«აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვით უფალმა გვაუწყა — რად გინდათ ეს ტერიტორიები, თუ თქვენს შვილებს თქვენივე ხელით ხოცავთო. თუ ქართველი აღარ იქნება, რად გინდათ ცარიელი მიწა?»**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მეუფე იობი:**

## მტკივა ის, როცა ადამიანი ეშმაკს შეგნებულად ემსახურება – ნარკომანობით, ლოთობით, სასულიერო პირთათვის შეუფერებელი საქციელით. როცა სასულიერო პირი ისევ ერული თვისებებით ცხოვრობს და მასში ძველი კაცი ჯერ არ მომკვდარა; ის საღვთო მადლი, რომელიც მასზე მღვდლად კურთხევის დროს გადმოვიდა, გასვარა ერული ცხოვრებით – მრუშობით, ლოთობით, ნარკოტიკებით, სოდომ-გომორული ცოდვით.

◀ დეგ არის მიმართული, ვინც ისინი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა და ახლაც მათ გვერდით დგას და ცოდვილ აზრებს ჩააგონებს, რომ ისევ დასცეს და ცოდვაში ჩააგდოს. ადამიანი მიყვარს და ეს უფალმა იცის.

**დღეს ხომ მტრებად წარმოგვიდგნენ აფხაზები, ოსები, რუსები. მე ისინი მიყვარს, რადგან მათში ღვთის ქმნილებებს ვხედავ. ეს ხალხი დღეს დაბნეულები, ეშმაკისგან შეცდენილები არიან. ამ ერთა შორის დაპირისპირების პროცესში მონაწილეობენ ეშმაკსდამონებული ადამიანები ხელისუფლების სახით.** და, საერთოდ, ამ ქვეყანას ორი ძალა მართავს – ძალა ღვთისა და ძალა ეშმაკისა; მესამე ძალა, უბრალოდ არ არსებობს. ამ ორ ძალას შორის არის გადანაწილებული მთელი კაცობრიობა. არიან ღვთისანი — ძალიან მცირენი და არიან ეშმაკისანი, რომლებიც ეშმაკის მორჩილებაში იმყოფებიან. ჩვენ თანამედროვე ენაზე მათ ხან პოლიტიკოსებს ვუწოდებთ და ხან სხვა სახელებს. აქ უნდა გამოვრიცხოთ ხელისუფლებაში მყოფთა პიროვნული, ადამიანური ბუნება, რადგან ყველა უკეთურებასა და საშინელებას მათ ის ძალა ჩააგონებს, რომელსაც კაცობრიობის განადგურება უნდა — ეს ძალა კი ეშმაკია. ამიტომ, **როცა ბაგაფშის განცხადებას მოვისმენთ — ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დავუსვათ საქართველოსთან ურთიერთობასო, ან კოკოითის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, არ უნდა ავყვეთ და მდგომარეობა კიდევ უფრო არ უნდა გავამწვავოთ. გვახსოვდეს, რომ ადამიანს ცვალებადი ბუნება აქვს და, თუ დღეს ეშმაკს დამორჩილდა და გაღიზიანებულად მოიქცა, ხვალ შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინოს – გონება გაუნათდეს და სხვანაირად დაინახოს ესა თუ ის მოვლენა, ისე, როგორც ღვთისთვის, ჩვენთვის სათნოა.**

შევარდნაძის მმართველობის პერიოდი იყო. მახსოვს, ერთხელ სიონში ღვთისმშობლის ხატის წინ ვიდექი და ხმა ჩამესმა — რატომ სასოებ მთავრობას? ეგენი ხომ პაიკები არიან, არაფერს წარმოადგენენ, დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან, ამიტომ გულთან ახლოს ნუ მიგაქვს მათი საქციელიო. იმ დღის შემდეგ ჩემს სულში იმხელა სიმშვიდემ დაისადგურა, რომ ენით ვერ აგიწერთ... **ჩემი ეპარქიის ერთ-ერთ ტრაფარეტზე ჩემი უსაყვარლესი სიტყვები დავაწერე: „უფალი მეფობს!" ეს იციით, რას ნიშნავს? იმას, რომ უფალი მეფობს და არა — შევარდნაძე, სააკაშვილი თუ სხვა ხელისუფალი.** უფალი მეფობს და ის წარმართავს ყველაფერს, იგია შემოქმედი, ჩვენ კი ჯიუტ ბავშვებს ვემსგავსებით, რომელნიც არ ვენდობით უფალს და უფლისადმი არ გვაქვს თვალები აპყრობილი; მისკენ არ გვაქვს მიმართული მთელი სასოება და სიყვარული.

**— მეუფე, თქვენ აფხაზეთი და სამაჩაბლო ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა დავიკავოთ მაშინ, როცა ვერ ჩავდივართ და ვერ ვლოცულობთ იკორთაში, ბედიაში, ილორში? როცა ხედავ, როგორ ითელება შენი წინაპრის ნალოლიავები მიწა-წყალი, როცა შენი სულისა და ხორცის ნაწილს გაგლეჯენ, ერთ ლოყაში გირტყამენ, მეორეს მიუშვერ და იმაშიც გითავაზებენ? როდემდე უნდა „გვილაწუნონ" და როდემდე უნდა „მივუშვიროთ მეორე ლოყა?" გუშინ აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ, დღეს სომხები ჯავახეთს გვედავებიან, ჩვენს ეკლესია-მონასტრებზე იძახიან, სომხურიაო; რუსთაველი სომეხი იყო, ბაგრატიონებიც სომხური წარმოშობისანი იყვნენო. როდემდე უნდა ვითმინოთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერზე საპატრიარქომ, წმინდა სინოდმა უფრო ხმამაღლა უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია? მე, როგორც რიგით ქართველს, მიმაჩნია, რომ წმინდა სინოდი დღეს პასიურია.**

— ჩვენს ცნობიერებაში პოლიტიკა ძალიან ღრმად შემოიჭრა; ჩვენ პოლიტიკურად ვაზროვნებთ. ყველაფერი ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ძველია და სათავეს ჯერ კიდევ ადამ და ევასგან იღებს. თუ ბიბლიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყველა წინასწარმეტყველი გულმტკივნეული მამა იყო თავისი ერისა. თავისი სამშობლოს ბედით გულდამძიმებულნი უფალს შესჩიოდნენ — როდემდე უფალოო. უფალი კი პასუხობდა — ხეები რომ გადაიჭრება და იმ გადანაჭერზე ახალი ყლორტი ამოიყრის, ხსნაც მაშინ მოვაო. ეს ახალი ყლორტი კი ახალი თაობაა. მოსემ გამოიყვანა ებრაელი ერი ეგვიპტიდან და 40 წელი ატარა უდაბნოში. განა 40 წელი იყო საჭირო უდაბნოს გასავლელად? მაგრამ მოსემ იმიტომ აურია მათ გზები, რომ ახალი თაობა, ახალი ცნობიერებით შემოსული ყოფილიყო აღთქმულ მიწაზე.

„ქართლის ცხოვრებაში" წერია, რომ უფალმა არაბები, მონღოლები თუ თურქ-სელჩუკები ჩვენ წინააღმდეგ „წკეპლად" გამოიყენა, რათა ჩვენი ცოდვებისთვის დავესაჯეთო. დღეს საქართველო ასეთ მდგომარეობაში ცოდვების გამოა, მაგრამ ამას დანახვა სჭირდება. **მე ხმამაღლა ვიტყვი, რომ უფალმა აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა აბორტის ცოდვების გამო! დიახ, აბორტის! აბორტი უდიდესი ცოდვაა. ეს არის ყველაზე უფრო საზარელი ცოდვა, რაც კი შეიძლება ქალმა ჩაიდინოს – დედა საკუთარი ნებით კლავს შვილს.** ამ გაჭირვების, სიდუხჭირის პირობებში, როგორ ვარჩინოთ მრავალი შვილიო, ამბობენ. თუ უფალმა შვილი მოგცა, თავის ქმნილებას არ მიატოვებს! **აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვით უფალმა გვაუწყა – რად გინდათ ეს ტერიტორიები, თუ თქვენს შვილებს თქვენივე ხელით ხოცავთო. თუ ქართველი აღარ იქნება, რად გინდათ ცარიელი მიწა?** ჩვენ რომ ეს საზარელი ცოდვა მოვიშოროთ, უფალი აფხაზეთსაც დაგვიბრუნებს და სამაჩაბლოსაც. ალბათ, აღარც ჯავახეთის — ამ საოცარი მიწის ღირსი ვართ, რადგან სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ და შედეგმაც არ დააყოვნა — უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო, ხომ გაგიგიათ?

...ჩვენი წინაპარი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ქართველი დედები მამების თანხმობით საკუთარ შვილებს დახოცავდნენ. ალბათ, ნახეთ ის გადაცემა, მოსაკლავად განწირული ნაყოფი როგორ იცავს თავს დედის მუცელში, როგორ იბრძვის სიცოცხლისათვის? ვერ წარმომიდგენია, ამ გადაცემის შემდეგ ან ქალი როგორ უნდა წავიდეს აბორტის გასაკეთებლად, ან ექიმმა როგორ უნდა აიღოს ბავშვის მოსაკლავად იარაღი ხელში! კიდევ რამდენი ცოდვა მოვამრავლეთ?! კომუნისტების ხელით რამდენი ეკლესია-მონასტერი დაინგრა!

**ცოდვაა ისიც, რომ ვუღალატეთ სარწმუნოებას და ათასნაირი სექტა გაჩნდა; ცოდვაა ისიც, რომ მთელი ყურადღება მიწიერ საზრუნავზეა გადატანილი და სულიერი აღარაფერი გვახსოვს; ცოდვაა ისიც, რომ სიყვარული დავკარგეთ; ცოდვაა ისიც, რომ აღარ ვლოცულობთ; არა და, ლოცვით დამყარდება მშვიდობა, გადარჩება და გაბრწყინდება საქართველო, რადგან ღმერთის ხელშია ყველაფერი.** მთელი სასოება მიმართულია ამერიკაზე, ნაცვლად იმისა, რომ უფალს მივენდოთ და მისი იმედი გვქონდეს... ამ ყველაფრის ფონზე, კიდევ შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა — რატომ? იმიტომ, რომ ცოდვა მოგვიმრავლდა და სინანული მოგვაკლდა. ეს ყველაფერი უნდა გავაანალიზოთ.

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკისადმი, ევროკავშირისადმი ნდობა, ერთგულება გამოხატა, რეალური დახმარება მაინც არ გვაქვს. ჩვენ ხომ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ. ხუთი მილიონიც არ ვართ, ევროპაში, ამერიკაში ამხელა და ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ქალაქები აქვთ. გაუჭირდათ პატარა საქართველოს შენახვა, დახმარება? მაგრამ ამას უფალი არ დაუშვებს, რადგან ქართველ ერს სულ სხვა მისია აკისრია კაცობრიობის წინაშე.**

დიდი მამები წინასწარმეტყველებდნენ, რომ უკანასკნელ ჟამს, როცა მართლმადიდებლობა ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში ჩაქრება, საქართველო გაბრწყინდებაო. მე ნამყოფი ვარ საბერძნეთის ეკლესიებში — იქ მართლმადიდებლობას ფორმალური სახე აქვს მიღებული. ჩვენ მართლმადიდებლობით ვცხოვრობთ, ცოცხლად ვგრძნობთ ღმერთს, ანგელოზებს. საქართველოში უდიდესი რწმენა აქვს უბრალო ადამიანსაც კი. როცა დიდხანს ვლოცულობდი, დედა მეტყოდა ხოლმე — ნუ ლოცულობ ამდენს, ღმერთი ზედმეტად არ შეაწუხო, თავი არ შეაწყინო, ცოტა ხანს ესაუბრე, არ დაღალო უფალიო. დედაჩემის ეს სიტყვები ძალიან ხშირად მახსენდება; რამხელა სიყვარული, კრძალვა, მორიდება აქვს უფლისა! ეს არის უდიდესი რწმენა. ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, დედამ გერგეტის სამებიდან სახლში ღვთისმშობლის ხატი მოაბრძანა, ჩარჩო თავისი ხელით გაუკეთა, განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა და ბავშვები გაგვაფრთხილა — ეს ღმერთის დედაა, მას ხმაური და ბილწსიტყვაობა არ უყვარს და ოთახში წყნარად იყავითო. იმხელა მოკრძალება ჩაგვინერგა ღვთისმშობლის მიმართ, რომ ხატისკენ გახედვაც კი გვერიდებოდა, ოთახში ფეხაკრეფით დავდიოდით. ასეთი რწმენით გაგვზარდა დედამ — ამ უბრალო გლეხის ქალმა.

**— ასეთი დედის მონატრებას როგორ უძლებს მეუფე იობი?**

— დედა ხორციელად, რა თქმა უნდა, მენატრება, მაგრამ სულიერად ძალიან ახლოს არის ჩემთან. მუდმივად ვგრძნობ მის დედურ სითბოს, მის ტკივილსა თუ სიხარულს... ვგრძნობ მის გულის ვარამს — დედამ მშობა და, ბუნებრივია, ჩემგან შვილიშვილებს ელოდა. ვგრძნობ მის თვალებში ჩაბუდებულ სითბონარევ ტკივილს, როცა სხვის ბავშვებს ეფერება, მაგრამ დედაჩემის დიდი სარწმუნოება და სიყვარული სწორედ იმაშია, რომ ერთხელ არ დაუწუწუნია და არ უთქვამს, რატომ მოხდა ასეო. მე ბერი ვარ, ჩემი და მონაზონია, ჩემს ძმას ცოლი არ მოჰყავს. მამა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ჩვენს გამრავლებას ვერ მოესწრო, მაგრამ ის მაინც ახარებდა, რომ მე მღვდელმთავარი ვიყავი, ჩემი და კი — მონაზონი... თუმცა **დედას გულის სიღრმეში, ალბათ, ტკივილი მაინც აქვს, ჩემს შვილს რომ ვერ ეღირსა, მაგრამ მისი ღირსება სწორედ ის არის, რომ მე ამას არასოდეს მაგრძნობინებს. მე დედ-მამას დავუჩოქე, მათ დამლოცეს, მათი კურთხევით დავიწყე სულიერი ცხოვრება...**



«იყო ქართველი და არ გიყვარდეს — ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. თუ ქართველს სიყვარული არ აქვს, ესე იგი მასში სხვა გენია შესული, სხვა ფესვებიდან მოდის».

კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ: როცა იობი დამერქვა, ჩემი ბავშვობა გამახსენდა, რადგან ბავშვობიდან უზომოდ მომთმენი ვიყავი. ხშირად ჩემი ახლობლები გაოცებული იყვნენ ჩემი მოთმინებით. ძალიან მშვიდად ვიტანდი ყველაფერს. ეს ჩემი ძალისხმევით კი არა, ღვთის წყალობით ხდებოდა... მივხვდი, რომ სწორედ მე უნდა ვყოფილიყავი ამ სახელის მატარებელი.

**— მეუფე, ყველაზე მეტად რა გახარებთ ამქვეყნად და ყველაზე მეტად რა გწყინთ, რა გტკივათ?**

— ყველაზე მეტად მახარებს მრევლის სულიერი ცხოვრება, ერის სულიერი, მატერიალური წინსვლა, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, მთელი ერი მართლმადიდებელი რომ ყოფილიყო, ხელისუფლება კი — უფრო ეკლესიური. მე, რა თქმა უნდა, არ მოვითხოვ რომ საქართველო თეოკრატიული ქვეყანა გახდეს. ადამიანის თავისუფალი ნებაა, თუ რომელ სარწმუნოებას აირჩევს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ **ქართველი მართლმადიდებელი უნდა იყოს. ქართველი სხვა ფენომენია; ქართველს ღმერთმა უდიდესი ჯილდო, ტალანტი მისცა — ეს სიყვარულია; იყო ქართველი და არ გიყვარდეს – ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. თუ ქართველს სიყვარული არ აქვს, ესე იგი მასში სხვა გენია შესული, სხვა ფესვებიდან მოდის.** ქართველ ფენომენს ამოხსნა, შესწავლა სჭირდება. ბავშვობიდან ვკითხულობ საქართველოს ისტორიას, ვეტრფი თამარის, დავითის ეპოქას. მინდა, მთელი ერი საქართველოს სიყვარულში, მართლმადიდებლობის მადლით გაერთიანდეს. ამისთვის ვლოცულობ. ეს გამახარებდა ყველაზე მეტად.

**მტკივა ის, როცა ადამიანი ეშმაკს შეგნებულად ემსახურება — ნარკომანობით, ლოთობით, სასულიერო პირთათვის შეუფერებელი საქციელით. როცა სასულიერო პირი ისევ ერული თვისებებით ცხოვრობს და მასში ძველი კაცი ჯერ არ მომკვდარა; ის საღვთო მადლი, რომელიც მასზე მღვდლად კურთხევის დროს გადმოვიდა, გასვარა ერული ცხოვრებით – მრუშობით, ლოთობით, ნარკოტიკებით, სოდომ-გომორული ცოდვით.** უცოდველი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ მან ყოველი ცოდვა უნდა გაიაზროს და სინანულს მიეცეს, ღმერთმა სინანული იმიტომ დაგვიწესა, რომ გამოვსწორდეთ. მაგრამ, როცა კაცი არ ნანობს და თავისი ცოდვის გასამართლებლად საბუთებს ეძებს, ეს უკვე ეშმაკთან თანამშრომლობას ნიშნავს. იგი უკვე აღარ არის ღვთის მსახური, რადგან ცრუობს, მოჩვენებითად ცხოვრობს. ჩვენი ძალა უბრალოებასა და თავმდაბლობაშია. ეს, უპირველესად, უნდა ჰქონდეს სასულიერო პირს...

# «ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინოს»

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## აშშ ლიბიასთან კავშირს წყვეტს



თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ აშშ ლიბიასთან დიპლომატიური ურთიერთობების სრულად გაწყვეტას აპირებს. მისი თქმით, ამ ვარიანტს ობამას ადმინისტრაცია განიხილავს. ლიბიაში აშშ-ის საელჩომ მუშაობა უკვე შეწყვიტა, ლიბიის საელჩო აშშ-ში კი ჯერჯერობით მუშაობს. კარნიმ აღნიშნა, რომ აშშ განიხილავს შესაძლებლობას, საჰაერო სივრცის დახურვის თაობაზეც, რა სირთულეებთანაც არ უნდა იყოს ეს დაკავშირებული.

## მოკლედ

### რუსეთი კურილიის კუნძულებს ამაგრებს



**რუსეთი კურილიის კუნძულებზე მობილურ სარაკეტო კომპლექსს „Бастион"-ს განალაგებს.** იგი აღჭურვილია 24 ზებგერითი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტით „Яхонт. „Бастион"-ს რაკეტების გაშვება 2,5 წამის ინტერვალით შეუძლია. „Яхонт"-ი 750 მ/წმ სიჩქარეს ავითარებს და სამიზნეებს 300 კილომეტრამდე რადიუსში ანადგურებს.

### პენტაგონი ელექტროშოკურ ყუმბარებს ყიდულობს



**პენტაგონმა კომპანია „Taser International"-ს 40 მმ ელექტროშოკური ყუმბარების საცდელი პარტია შეუკვეთა.** მათი გამოყენება 100 მეტრის რადიუსშია შესაძლებელი; როდესაც ადამიანს ხვდება ყუმბარა, მის პარალიზებას დაახლოებით 30 წამით ახდენს. ავღანეთში საზღვაო ქვეითების სარდალი, გენერალ-მაიორი რიჩარდ მილსი მიიჩნევს, რომ ეს არალეტალური იარაღი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ტყვეთა აყვანისა და აგრესიულად განწყობილ ბრბოსთან კონტაქტის დროს.

### ავღანურ არმიაში დეზერტირობის ეპიდემიაა

**გასულ წელს ავღანური სამთავრობო ჯარიდან ახალბედა მებრძოლების 32% გაიქცა, პოლიციიდან კი — 23%. მათ შორის, 98% გაიქცა რაიონებიდან, სადაც ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს.** ამან აიძულა მთავრობა, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიეღო იმისთვის, რომ ჯარის რიგები 35 ათასი მებრძოლით გაზარდოს. ის კონტრაქტს 86 ათასს დაუდებს, რადგან ნავარაუდევია, რომ ამათგან ნახევარზე მეტი დეზერტირი გახდება. ბოლო 3 წლის განმავლობაში დაიღუპა 3595 ავღანელი ჯარისკაცი და პოლიციელი, ხოლო 7339 — დაიჭრა.

### «Thales»-მა ახალი რადარი შექმნა



**კომპანია „Thales"-მა წარმოადგინა ახალი რადიოსალოკაციო სადგური „Ground Observer 80" (GO80). ის „BOR-A"-ს თანამედროვე მოდიფიკაციას წარმოადგენს და ტექნიკას 60, ხოლო ადამიანებს 24 კილომეტრის მანძილზე აღმოაჩენს.** სადგურს შეუძლია გამოყოს დაკვირვების 5 სექტორი ინდივიდუალური პარამეტრებით; ერთდროულად მას 50-მდე ობიექტის დაკვირვება შეუძლია. „GO80"-ის წონა 68 კილოგრამია, რაც სამხედრო ტექნიკაზე მის მონტაჟს აიოლებს.

# რატომ დაიშალა ლიბიის არმია?





**როდესაც ლიბიაში კადაფის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკებები დაიწყო, ალბათ, ყველამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ბრძოლებში რეგულარული არმიის ნაწილები ნაკლებად იყო ჩართული; ეს რამდენიმე მიზეზმა განაპირობა.**

მუამარ კადაფი, ისევე, როგორც ბევრი დიქტატორი, არმიას არასოდეს სწყალობდა. იგი მიიჩნევდა, რომ სამხედრო ელიტამ მის რეჟიმს შეიძლება საფრთხე შეუქმნას; ოფიცერთა კორპუსთან ურთიერთობაში მთავარი კრიტერიუმი მისთვის ყოველთვის იყო ერთგულება და არა პროფესიონალიზმი.

**ლიბიის თავდაცვის დოქტრინა პარტიზანული „სახალხო ომის" იდეებს ეფუძნება. ეს გარკვეულწილად განაპირობებს რეგულარული არმიის ფარდობით სიმცირეს** და, აგრეთვე, იმას, რომ **ქვეყანაში ცეცხლსასროლი იარაღის ბევრი საწყობია; ეს იარაღი იდეაში განკუთვნილი იყო სახალხო ლაშქრისთვის, რომელიც უცხოელი დამპყრობლის წინააღმდეგ იბრძოლებდა, მაგრამ არეულობის დაწყებისთანავე მისი ნაწილი დიდი მეამბოხეების ხელში ჩავარდა.**

თუმცა მსუბუქი შეიარაღებით პრობლემა არ შემოიფარგლება: 200 „T-72"-იდან 115 კონსერვაციაშია, 100 „T-72"-იდან კონსერვაციაშია 70, ათასამდე „T-55"-დან კი — ნახევარი; მივუმატოთ ამას რამდენიმე ასეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი. ამ ტექნიკის დაცვა შეირაღებული ძალებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. ამასთანავე, **2004 წელს ლიბიის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ სრულიად გაანადგურა მის ხელთ არსებული ქიმიური იარაღი, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ 9,5 ტონა იპრიტი სამხრეთით, უდაბნოში, გადამალეს,** ერთადერთი ნუგეში ამ სიტუაციაში ისაა, რომ შეტაკებები ამ რაიონებიდან მოშორებით მიმდინარეობს.

მას შემდეგ, რაც არეულობა დაიწყო, ლიბიის არმია, ფაქტობრივად, „დაიფშვნა". 50 ათასამდე სამხედრო მოსამსახურიდან გასული კვირის ბოლოს მწყობრში რეალურად 20 ათასი თუ დარჩა. იმ რაიონებში, სადაც მეამბოხეებმა იმარჯვეს, ჯარისკაცების უმეტესობა სახლებში გაიქცა, ნაწილი მეთაურებთან ერთად აჯანყებულების მხარეს გადავიდა. დეზერტირობა იმ რაიონებშიც დაიწყო, რომელთაც კადაფი აკონტროლებდა და მეთაურები იძულებული გახდნენ, ჯარისკაცები ყაზარმებში გამოეკეტათ. ცხადია, ასეთი ქვედანაყოფების საბრძოლო ღირებულება ნულს უახლოვდება, თანაც თანამემამულეებისთვის ტყვიის სროლა არც ერთ ნორმალურ სამხედროს არ უნდა.

გასული კვირის ბოლოს ცხადი გახდა, რომ **შენაერთები, რომელთაც კადაფი შეიძლება რეალურად დაეყრდნოს, არც ისე ბევრია. მათ შორის გამოირჩეოდა 32-ე ბრიგადა, რომლის მეთაური მუამარ კადაფის შვილი ხამისია; ამ ბრიგადის შეირაღებაზეა „T-72"-ები და „გრადები", მან ორგანიზებულობის შენარჩუნება მოახერხა.** თუმცა კადაფი ბოლო მომენტამდე ერიდებოდა მის ჩაბმას ბრძოლაში; ეს ბრიგადა მის უკანასკნელ რეზერვს წარმოადგენდა, ოპერაციებს მხოლოდ დედაქალაქის სიახლოვეს ატარებდა (ას ზაუიას აღება) და სტრატეგიულ ობიექტებს იცავდა.

**სამხრეთ საზღვარზე დარჩნენ ტუარეგების ტომის მებრძოლებით დაკომპლექტებული ნაწილები, თუმცა მათი გადასროლა დედაქალაქისკენ კადაფის არ უცდია. ეს, ერთის მხრივ, უკავშირდებოდა სამხრეთზე კონტროლის დაკარგვის საშიშროებას, მეორეს მხრივ კი, „ჰაერში გამოკიდებული" კომუნიკაციების პირობებში ნამდვილად სარისკო იყო.**

პირველ ორ კვირაში კადაფიმ ბრძოლაში ჩააბა „სახალხო მილიციის" რაზმები და „პანაფრიკული ლეგიონი". ეს მოძველებული მსუბუქი შეიარაღებით აღჭურვილი, რეალური სამხედრო მომზადების არმქონე რაზმები ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ, ხოლო არმია საქმეში მხოლოდ ეპიზოდურად ერთვებოდა. პირველ ეტაპზე ჩვენ ვიხილეთ სპორადული შეტაკებები ცუდად მომზადებულ ჯგუფებს შორის და დაახლოებით ისეთი ქაოტური მდგომარეობა, როგორსაც ადგილი საქართველოში სამოქალაქო ომის დროს ჰქონდა.

როდესაც გაჩნდა ცნობები, რომ უცხო სახელმწიფოები ამ არეულობაში ჩარევას აპირებენ, ექსპერტებმა სცადეს იმის შეფასება, რამდენად ძალუძს კადაფის მათი საჰაერო იერიშებისა და საექსპედიციო ძალების გადმოსხმის მოგერიება. გაირკვა, რომ შანსები პრაქტიკულად ნულის ტოლია, ქვეყნის საჰაერო თავდაცვის სისტემა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. **17 რადიოსალოკაციო სადგურიდან ყველა სტაციონა-** ▶



## ყარზაიმ აღიარა

დასავლეთის ქვეყნები და ავღანეთის ხელისუფლება თალიბანთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ და ეს, შესაძლოა, კიდევ 3 წელი გაგრძელდეს, განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ. „თალიბანთან“ კონტაქტი აქვთ, ასევე, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებსაც“, — ამბობს ყარზაი, მაგრამ მოლაპარაკებების დეტალებს არ ამხელს. სამაგიეროდ, დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში მხარეები ვერ შეთანხმდებიან და ამას, შესაძლოა, ორი-სამი წელი დასჭირდეს.



არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



# ავღანეთში სნაიპერები გააქტიურდნენ

**ბოლო დროს ავღანეთიდან მიღებულ ინფორმაციებში გახშირდა ცნობები „თალიბანის“ სნაიპერების გააქტიურების შესახებ. როგორც ჩანს, ახლო მომავალში კოალიციის სარდლობა ახალი გამოწვევის წინაშე დადგება. არადა, ადრე ეს პრობლემა არც ისე აქტუალური იყო.**

ომი, ათი წელია, მიმდინარეობს, თუმცა, თუ ცალკეულ გამონაკლისებს არ ჩავთვლით, აქტიური მსჯელობა სნაიპერებზე მხოლოდ გასულ წელს ყანდაგარისა და ჰელმანდის პროვინციებში გამართული ბრძოლების დროს დაიწყო. „სნაიპერი“ ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა; სინამდვილეში, თალიბების რიგებში ძალზე ცოტა მებრძოლია, რომელთაც მომზადების და მათ ხელთ არსებული იარაღის მიხედვით შეიძლება თანამედროვე გაგებით სნაიპერი ვუწოდოთ. **გასულ წელს ჰელმანდსა და ყანდაგარში ისინი 300-400 მეტრის მანძილიდან მუშაობდნენ და XX საუკუნის დასაწყისში ან სულაც XIX საუკუნის ბოლოს გამოშვებულ მოსინის და ლი ენფილდის შაშხანებს იყენებდნენ.** რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „СВД” თალიბების არსენალში იშვიათად გვხვდება. ამასთანავე, ბოლო დრომდე მათ არც ისე ბევრი ოპტიკური სამიზნე ჰქონდათ. უკანასკნელი ცნობების თანახმად კი, **თალიბების სნაიპერებმა ეფექტური სროლის მანძილი 700-800 მეტრამდე გაზარდეს. ამერიკელი სამხედროები ვარაუდობენ, რომ თალიბებმა შავ ბაზარზე მოახერხეს იმ სამიზნეების შეძენა, რომლებიც კოალიციის საწყობებიდან მოიპარეს.**

საინტერესოა, რომ საველე წესდებაში „Field Manual (FM) 3-24“, რომლითაც ავღანეთში მყოფი ამერიკელი სამხედროები ხელმძღვანელობენ, სიტყვები „მოწინააღმდეგის სნაიპერი“ საერთოდ არ გვხვდება და მათთან ბრძოლის ხერხებზე არაფერია ნათქვამი. ეს **წესდება, რომელიც 2006 წელს ერაყის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიქმნა, ამერიკელი სამხედროების სამართლიან კრიტიკას იმსახურებს, ის არაფერს ამბობს მთელ რიგ სიტუაციებზე, ავღანეთში გამუდმებით რომ იქმნება, სამაგიეროდ მასში არის უამრავი ბელეტრისტიკა იმის შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. საბოლოო ჯამში, სამხედროები იძულებული არიან, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით რეალობისადმი ამ ინსტრუქციების ადაპტირება მოახდინონ.**

ერთი შეხედვით, ყველაზე „გემრიელი ლუკმა“ ახლახან გააქტიურებული თალიბი სნაიპერებისთვის ამერიკელთა ქვეითი პატრულებია, თუმცა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბოლოო ჯამში, ეს გამოიწვევს სნაიპერების „დახურდავებას“ მაქსიმუმ რამდენიმე ამერიკელ მებრძოლზე. თალიბების საველე მეთაურებისთვის, რომელთა განკარგულებაში თითო-ოროლა სნაიპერია, ეს გაუმართლებელი გადაწყვეტილებაა.

დავუბრუნდეთ წესდებას „Field Manual (FM) 3-24“ და ვნახოთ, როგორ არის მასში განსაზღვრული ქვეითი პატრულის როლი. მისი მთავარი არსი, ამ დოკუმენტის თანახმად, არის პასუხი პარტიზანთა დეცენტრალიზებული, ავტონომიურად მოქმედი ჯგუფების მოქმედებაზე. ქვეითი პატრული არ აძლევს მათ შესაძლებლობას, საშიშ მონაკვეთებზე ძალთა კონცენტრირება მოახდინონ (გზების, ბაზების სხვა სტრატეგიული ობიექტების სიახლოვეს) და დაძაბულობაში ამყოფებს (მეამბოხეები მუდამ პატრულის გამოჩენას ელოდებიან). **ქვეითი პატრულები აფართოებენ უსაფრთხოების ზონებს სტრატეგიული ობიექტებისა და კომუნიკაციების გარშემო** და, ამასთანავე, **შესაძლებელს ხდიან შედარებით მცირე ძალებით დიდ სივრცეებზე ირიბი კონტროლის დამყარებას. ცხადია, არის კიდევ ერთი, ავღანეთისთვის მეტად აქტუალური გარემოება: ფეხით მოსიარულე ადამიანს შეუძლია გაიაროს იქ, სადაც ტექნიკა ვერ გაივლის.**

ქვეითმა პატრულმა არ უნდა შეუტიოს მოწინააღმდეგის რამდენადმე სერიოზულ ჯგუფებს და მათი აღმოჩენისთანავე ავიაცია (ან საარტილერიო მხარდაჭერა) უნდა გამოიძახოს. ყველაზე მეტ თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს სწორედ ქვეითთა პატრულები აღმოაჩენენ. ეს თალიბებისთვის სერიოზული პრობლემაა, თუმცა სნაიპერების გამოყენება მათ წინააღმდეგ მიზანშეწონილი მაინც არ არის და ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

**სნაიპინგი მთიან რეგიონებში, სადაც ქარმა შეიძლება რამდენიმე წამში მიმართულება შეიცვალოს, ტრივიალური ამოცანა სულაც არ არის. ცუდად მომზადებული სნაიპერის მუშაობა რთულ რელიეფზე, მოძველებული შაშხანით 700-მდე მეტრის მანძილიდან მისი გადარჩენის შანსს მკვეთრად ამცირებს, სნაიპერს ელემენტარულად ბრძოლიდან გასვლა გაუჭირდება.**

არის კიდევ ერთი პრობლემა — „Soldier Wearable Acoustic Targeting System“, პორტატული მოწყობილობა სნაიპერების აღმოჩენისთვის, რომელიც ამერიკელ სამხედროებს აქვთ. ის „IPod“-ის ზომისაა და 2000 დოლარი ღირს. 2008-ში ამერიკულმა არმიამ 37660 ასეთი დეტექტორი შეიძინა, ახლა კი თვეში 1500 ასეთ დეტექტორს ყიდულობს. ის 1-2 წამში ადგენს, თუ საიდან მოხდა გასროლა. მართალია, ექოს გამო მთიან რეგიონებსა და ქალაქებში ამ აკუსტიკურ სისტემას ზუსტი კოორდინატების განსაზღვრა უჭირს, მაგრამ მასთან შეხვედრა სნაიპერისთვის მაინც სიკვდილთან თამაშს ნიშნავს. ცხადია, **თუ სნაიპერი „მასოვკაში“, ანუ მეტყვიამფრქვევისა და სხვა მებრძოლების პარალელურად მუშაობს, სისტემა მას ვერ აღმოაჩენს, თუმცა ეს უკვე სულ სხვა ტიპის, კლასიკური სნაიპერულისგან განსხვავებული ჩასაფრებაა.** ნაკლებად სავარაუდოა, რომ თალიბების მეთაურებმა ასეთ რთულ იმპროვიზაციებს მიმართონ ნაცვლად იმისა, რომ უფრო მასირებულად გამოიყენონ თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები, ხოლო ჩასაფრების მოწყობა „ოქროს ფასის“ მქონე სნაიპერების ნაცვლად სხვა, „ჩვეულებრივ“ მებრძოლებს დაავალონ.

**მაშინ რისთვის დასჭირდათ თალიბებს სნაიპერული კომპონენტის გაძლიერება? გამორიცხული არაა, რომ მეამბოხეები, რომლებიც, მათივე თქმით, „დიდი საგაზაფხულო შეტევისთვის“ ემზადებიან, აპირებენ ვიეტნამური „ტეტის შეტევის“ მსგავსი რამ მოაწყონ და ქალაქებში შეიჭრან.**

შესაძლოა, სნაიპერებს სწორედ ქალაქის ბრძოლებში აქტიური გამოყენებისთვის ამზადებენ.





**◀რული და მოძველებულია, მათი ადგილმდებარეობა არავისთვის საიდუმლო არ არის, „ანტიკვარული“ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „C-75 და „C-125“ (მოდერნიზებული არ არის) და გასული საუკუნის 70-იან წლებში შეძენილი „Crotale“ დღესდღეობით არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება.**

ამასთანავე, ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ერთიანი სისტემა დღეისთვის აღარ არსებობს; საჰაერო თავდაცვის ბევრი ობიექტი ქვეყნის აღმოსავლეთით (ეგვიპტის წინააღმდეგ) იყო განლაგებული და არეულობის პირველივე დღეებიდან მეამბოხეების კონტროლქვეშ აღმოჩნდა. ხომალდსაწინააღმდეგო საშუალებები არც ისე ბევრია და ასევე ძლიერ მოძველებული. **სავალალო მდგომარეობაა ავიაციის თვალსაზრისითაც — 4 მოდერნიზებული „MIRAGE“-დან გასული კვირის ბოლოს კადაფის ხელთ მხოლოდ ერთი რჩებოდა, რაც შეეხება ათეულობით მეტ სხვადასხვა მოდიფიკაციის „МиГ-23“-ს, ამ თავის დროზე შესანიშნავი თვითმფრინავის ადგილი თანამედროვე საჰაერო ბრძოლაში არ არის.** ამასთან ერთად, 7 ძირითადი აეროდრომიდან 4-ს მეამბოხეები აკონტროლებენ. ჯამში კი, შეიძლება ითქვას, რომ **კადაფის ხელთარსებული საშუალებები არ აძლევს შესაძლებლობას დასავლური სახელმწიფოების** (უპირველესად აშშ-ის) **საექსპედიციო ძალებს რამდენადმე ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს.**

პარადოქსული ამ სიტუაციაში ისაა, რომ კადაფის სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ნავთობიდან მიღებული დიდძალი ფულით თანამედროვე შეიარაღება შეეძინა, რაც მსგავსი ტიპის საფრთხის განეიტრალებაზე იქნებოდა ორიენტირებული, თუმცა ის შესყიდვებში, როგორც ჩანს, რაღაც გაუგებარი ლოგიკით ხელმძღვანელობდა (ალბათ, ნაცნობი სიტუაციაა) და გადამწყვეტ მომენტში პრაქტიკულად უიარაღო დარჩა.

რა თქმა უნდა, თუ ლიბიის მოსახლეობა ერთიანი იქნებოდა, ქვეყანა ხმელეთზე მაინც შეძლებდა მომხდურთა წინააღმდეგ პარტიზანული ომის გაჩაღებას, თუმცა ლიბიელები ორ ბანაკად გაიყვნენ და მეამბოხეების ნაწილი უცხო ქვეყნებს თავად მოუწოდებს სიტუაციაში სამხედრო ძალით ჩაერიონ. ამ გარემოებას კი ძველ ჭეშმარიტებასთან მივყავართ: **„მისსავე წინააღმდეგ გაყოფილი სამეფო გაპარტახდება და მისსავე წინააღმდეგ დაყოფილი სახლი დაიქცევა“.**

## გამონათქვამები

**დიმიტრი მედვედევი,**
**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:**



▼

დაუშვებელია, ერი მოჭერილ ჭანჭიკზე გაჩერდეს, არ შეიძლება თავისუფლების შემდეგისთვის გადადება, არ შეიძლება, გვეშინოდეს თავისუფალი ადამიანის, რომელიც საკუთარ თავისუფლებას არაადეკვატურად განკარგავს. ეს გზა ჩიხში შედის... სახელმწიფო განვითარების მიზანი კი არა, ინსტრუმენტია.

*kommersant.ru*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



▼

ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში მხოლოდ 2011 წელს 400 მილიარდი რუბლის ღირებულების 37 მსხვილი ობიექტი ამოქმედდება. ჩრდილოეთ კავკასიისთვის ეს ძალიან კარგი ფულია და რეგიონის ნორმალური განვითარებისთვის ხელისშეშლის მცდელობების მიუხედავად, ჩვენ ამას გავაკეთებთ.

*„პირველი“*

**ჰილარი კლინტონი,**
**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**



▼

აშშ-ის კერძო საინფორმაციო საშუალებები რუსულ ტელეარხ Russia Today-სა და არაბულ Al Jazeera-სთან საინფორმაციო ომს აგებენ. აშშ რუსეთთან, ყატართან და ჩინეთთან საინფორმაციო ომში მარცხდება. Al Jazeera-მ გაიმარჯვა. ჩინელებმა ინგლისურენოვანი გლობალური ტელევიზია შექმნეს, რუსებმა საერთაშორისო არხი დააფუძნეს. ეს საყურადღებოა! ჩვენი კერძო მასმედია მიეჩვია იმას, რომ ამერიკელი ხალხის რაობის შესახებ გასართობ გადაცემებში ყვება. შედეგად, უცხოელები, რომლებიც ამერიკულ გადაცემებს უყურებენ, ფიქრობენ, რომ აშშ-ის მოქალაქეები კუნთების დაყენებაზე მოვარჯიშე და ტრუსებში მოსეირნე ადამიანები არიან.

*gazeta.ru*

**ჯეიმს აპატურაი,**
**კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალური წარმომადგენელი:**



▼

ჩვენ სულ უფრო მეტად ვფიქრობთ იმაზე, რისი გაკეთება შეგვიძლია ერთად და სულ ნაკლებად — იმაზე, როგორი ზომების გამოყენება შეგვიძლია ერთმანეთის წინააღმდეგ. რუსეთი და ნატო თანამშრომლობენ იმისთვის, რათა ევროპული ტერიტორია ერთობლივად დავიცვათ. ამას შეიძლება, ისტორიული მასშტაბის, ფუნდამენტალური ცვლილება ვუწოდოთ.

*„პირველი“*

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



„მაქსიმი“ მთელი ავტომატური იარაღის მეთაური გახდა, მაგრამ, საპატიო ასაკის მიუხედავად, ტყვიამფრქვევების ამ პატრიარქმა მთელი ომი გაიარა მოსკოვიდან ბერლინამდე და 1945 წელს გამარჯვების უდიდეს დღესასწაულთან ერთად მსახურების ნახევარსაუკუნოვან იუბილესაც აღნიშნავდა.

# მაქსიმის ტყვიამფრქვევი



**უფროს თაობას, ალბათ, კარგად ახსოვს ეპიზოდი ფილმიდან „ჩაპაევი“, სადაც ანკა-მეტყვიამფრქვევე ლეგენდარულ ტყვიამფრქვევ „მაქსიმის“ აგებულებას სწავლობს. ეს ტყვიამფრქვევი იბრძოდა როგორც რუსულ-იაპონურ კამპანიაში საუკუნის დასაწყისში, ასევე სამოქალაქო ომსა და დიდ სამამულო ომში. ფილმი „ჩაპაევი“ საბჭოთა კავშირის ეკრანებზე 1934 წელს გამოვიდა. იმ პერიოდში, ანკას მსგავსად, ათასობით საბჭოთა ახალგაზრდა სწავლობდა მის აგებულებასა და გამოყენებას. ბევრ მათგანს ეს ცოდნა მაშინ გამოადგა, როდესაც ფაშისტურ გერმანიასთან ომი დაიწყო და „მაქსიმი“ კვლავ მწყობრში ჩააყენეს.**





ტყვიამფრქვევს სახელი თავისი გამომგონებლის, ამერიკელი ჰაირემ მაქსიმის საპატივცემულოდ დაერქვა. არსებობს უნიკალური კადრები, რომლებიც ასახავს, თუ როგორ ამოწმებს საკუთარ ნახელავს თავად კონსტრუქტორი. იმ პერიოდში ტყვიამფრქვევი „მაქსიმი“ არ ჰგავდა ჩვენთვის ნაცნობ კონსტრუქციას, რომელსაც მხატვრულ ფილმებსა თუ კინოქრონიკებში ვხედავდით. თუმცა ეს ტყვიამფრქვევი თვით კინემატოგრაფზე ადრე შეიქმნა.



**სერგეი მაკაროვი, დიდი სამამულო ომის ცენტრალური მუზეუმის ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალისტი:**

— ტყვიამფრქვევი მე-19 საუკუნის ბოლოს შეიქმნა. კონკრეტულად, ის პირველად 1883 წელს წარმოადგინა ძალზე ნიჭიერმა ამერიკელმა კონსტრუქტორმა — ჰაირემ მაქსიმმა. იგი აქტიურად ეწეოდა მთელს მსოფლიოში საკუთარი გამოგონების პროპაგანდას. ბოლოს და ბოლოს მისი კონსტრუქცია რუსეთის, ინგლისის, გერმანიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების სამხედრო ძალების შეიარაღებაში მოხვდა.

პირველ „მაქსიმებს“ მძიმე ბორბლებიან სადგამზე ამონტაჟებდნენ. იმხანად ტყვიამფრქვევები საარტილერიო ქვედანაყოფების შემადგენლობაში შედიოდა და განკუთვნილი იყო, უპირველეს ყოვლისა, ციხესიმაგრეებისთვის შტურმის საწინააღმდეგო იარაღის სახით. რუსეთში ეს ტყვიამფრქვევები 1899 წლიდან შემოჰქონდათ. 1904 წლიდან კი მისი წარმოება ტულის იარაღის ქარხანაშიც დაიწყეს. აქ მაქსიმი „გაარუსეს“ და რუსეთისთვის დამახასიათებელი შტრიხები შემატეს. ტულელმა ოსტატებმა ტყვიამფრქვევის კონსტრუქცია მნიშვნელოვნად დაამუშავეს.



**სერგეი მაკაროვი:**

**— ამ ყველაფრის შედეგად 1910 წლისთვის ტყვიამფრქვევი კონსტრუქტორ პოლკოვნიკ სოკოლოვის ბორბლებიან სადგამზე დააყენეს და სწორედ ამ სახით დაასრულა მან ომი. ავტომატიკის მუშაობის მექანიზმი დაიხვეწა და გაცილებით საიმედო გახდა. წყლით გაგრილების სისტემას დაემატა განიერი ყელი, რომელიც საშუალებას იძლეოდა, ავზი არა მხოლოდ წყლით ავსებულიყო, არამედ — თოვლითაც და ყინულითაც.**

**სადგამი საშუალებას იძლევა, მასზე ტყვიამფრქვევი სასურველი მიმართულებით შებრუნდეს და ზევით-ქვევით იმოძრაოს. გარდა ამისა, ტყვიამფრქვევს ზემოთ-ქვემოთ მოძრაობისთვის ორი საშუალება აქვს: უხეში, პირდაპირ ხელით აწევ-დაწევა და უფრო დახვეწილი, ხრახნის მოჭერა-მოშვებით მისი ოდნავ მოძრაობისა და მიზანში ამოღების გამარტივებისთვის. ეს ხრახნი ტყვიამფრქვევის ქვედა მხარეს იყო დამაგრებული. მას შემდეგ, რაც ტყვიამფრქვევი სამიზნისკენ იქნებოდა ზუსტად მიმართული, შესაძლებელი იყო მისი გაუნძრევლად დაფიქსირება თავისსავე სადგამზე სპეციალური სახელურის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ის უზუსტეს დარტყმებს განახორციელებდა.**

ტყვიამფრქვევი 7,62-მილიმეტრიანი კალიბრის შაშხანის ტყვიებს ისროდა. ყველაზე ეფექტური „მაქსიმი“ ქვეითებისა და კავალერიის წინააღმდეგ გამოყენებისას იყო და სინამდვილეში სწორედ ეს ითვლებოდა მის უმთავრეს ამოცანად. სამოქალაქო ომის დროს ტყვიამფრქვევს ცხენების მარხილზე ამონტაჟებდნენ. ამის წყალობით ტყვიამფრქვევს ბრძოლის ველზე სწრაფად მანევრირების საშუალება ეძლეოდა. გარდა ამისა, მტრის მიზანში ამოღება მარხილის შეუჩერებლადაც შეიძლებოდა. როგორც წესი, ამ მარხილებს თავიანთი კავალერიის ხმლებით შეტევის დასაცავად იყენებდნენ. ისინი ფლანგებზე გადიოდა და სროლას იწყებდა.

ჯარში ჯავშან მანქანებისა და ტანკების გამოჩენის კვალდაკვალ მარხილებმა თავიანთი ფუნქცია ნელ-ნელა დაკარგეს, ტყვიამფრქვევი „მაქსიმი“ კი ძველებურად რჩებოდა შეიარაღებაში. ის ქვეით ჯარსაც ემსახურებოდა და ჯავშან-ტექნიკაზეც მონტაჟდებოდა. ბოლოს ავიაციაშიც მოხვდა. იქ მას „ПВ-1“-ს (Пулемет Воздушный) უწოდებდნენ და თავისი სახმელეთო ანალოგისგან მხოლოდ წყლით გაგრილების სისტემის უქონლობით განსხვავდებოდა.



**30-იან წლებში ტყვიამფრქვევით სროლისთვის ვაზნების დიდი მრავალფეროვნება შეიქმნა. ამან გაზარდა იმ ამოცანათა მოცულობა, რომელთა გადაჭრაც ტყვიამფრქვევ „მაქსიმს“ შეეძლო და მისი გამოყენების ეფექტურობაც მნიშვნელოვნად გაზარდა. სპეციალური ვაზნების წყალობით „მაქსიმი“ ესროდა თვითმფრინავებსაც კი. მას ამონტაჟებდნენ ოთხმაგ სატყვიამფრქვევე საზენიტო სადგამზე, რომელსაც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში იყენებდნენ.**

„მაქსიმი“ ჯავშან-მატარებლებითაც „მგზავრობდა“. ეს ტყვიამფრქვევი მსახურების პერიოდში, ანუ მე-19 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული სად აღარ იბრძოდა, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ჯარისკაცების უცვლელი პატივისცემით სარგებლობდა. მაგრამ წლებს მაინც თავისი მიჰქონდა. **30-იანი წლების დასასრულს „მაქსიმი“ მორალურად მოძველდა. ის კარგი იყო ქვეითთა და ცხენოსანთა შეტევის დასაცავად, მაგრამ შეტევაზე გადმოსული ტანკებისთვის „მაქსიმი“ სუსტი მოწინააღმდეგე იყო.** მაღალი სადგამი მის შენიღბვას ართულებდა, რაც მტერს ტყვიამფრქვევისა და მეტყვიამფრქვევების განადგურებას უადვილებდა.

დამატებით სირთულეებს განაპირობებდა ტყვიამფრქვევის სიმძიმე და სიდიდე. „მაქსიმს“ მხოლოდ სადგამითა და ღერძის გასაგრილებელი წყლის ავზით იყენებდნენ. მისი საერთო წონა დაახლოებით 65 კილოგრამს აღწევდა საბრძოლო მასალების მასის გაუთვალისწინებლად. ასეთი სიმძიმით ბრძოლის ველზე სწრაფად მანევრირება იოლი საქმე არ იყო. გარდა ამისა, თუ ზამთარში ღერძის გასაგრილებლად თოვლის გამოყენება შეიძლებოდა, ზაფხულში თითო ტყვიამფრქვევისათვის 4 ლიტრი წყლის მოპოვება ბრძოლის ველზე არც ისე იოლი საქმე იყო.

ასე რომ, „მაქსიმმა“ საკმარისი ნაკლოვანებები გამოავლინა. ამიტომ 1939 წელს შეიარაღებაში მიიღეს დექტიაროვის მიერ კონსტრუირებული ტყვიამფრქვევი „ДС-39“, „მაქსიმი“ კი „სამსახურიდან გაათავისუფლეს“. ამ მოვლენას იარაღის სპეციალისტები „სატყვიამფრქვევო დრამას“ უწოდებენ.



**სერგეი მაკაროვი:**

**— არსი შემდეგში მდგომარეობდა: ამ ამბამდე, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, პრაქტიკულად მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე, ჯერ რუსეთის, შემდეგ კი წითელი არმიის შეიარაღება შედგებოდა 1910 წლის ნიმუშის მიხედვით დამზადებული სოკოლოვის სადგამზე დამონტაჟებული ტყვიამფრქვევ „მაქსიმისგან“. მან მთელი პირველი მსოფლიო ომი გაიარა და მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდეც მიაღწია, მაგრამ იმ დროისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ეს ტყვიამფრქვევი სრულად ვერ აკმაყოფილებდა მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე მიიღეს მისთვის ღირსეული შემცვლელის მოძებნის გადაწყვეტილება. შედეგად, ამ ტყვიამფრქვევის ნაცვლად, წითელი არმიის შეიარაღებაში 1939 წელს დექტიაროვის კონსტრუქციით შექმნილი ტყვიამფრქვევი „ДС-39“ გამოჩნდა. ეს ტყვიამფრქვევი შეიარაღებაში ნაჩქარევად მიიღეს. მისი კონსტრუქცია ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დამუშავებული. ეს, ცხადია, ნაკლოვანებების სახით გამოჩნდა დიდი სამამულო ომის საწყის ეტაპზე მისი გამოყენების პროცესში. მალევე გაირკვა, რომ ეს ტყვიამფრქვევი ვერ ივარგებდა და რაღაცით უნდა ჩაენაცვლებინათ. ჩასანაცვლებელი კი, იგივე „მაქსიმის“ გარდა, არაფერი იყო. ომის დასაწყისში ტულის იარაღის ქარხანაში მისი წარმოება თითქმის მთლიანად შეჩერებული იყო. იძულებული გახდნენ, სასწრაფო წესით აღედგინათ წარმოება.**

1941 წლის ზაფხულში კინოსტუდია „ლენფილმმა“ სახელგანთქმული „ჩაპაევის“ გაგრძელება გადაიღო. ჩაპაევთან ერთად 1941 წელს მწყობრში ტყვიამფრქვევი მაქსიმიც „დაბრუნდა“. მისი გამოშვება იჟევსკის იარაღის ქარხანაშიც დაიწყეს და ტულის ქარხანაშიც აღადგინეს. **„მაქსიმი“ მთელი ავტომატური იარაღის მეთაური გახდა, მაგრამ, საპატიო ასაკის მიუხედავად, ტყვიამფრქვევების ამ პატრიარქმა მთელი ომი გაიარა მოსკოვიდან ბერლინამდე და 1945 წელს გამარჯვების უდიდეს დღესასწაულთან ერთად მსახურების ნახევარსაუკუნოვან იუბილესაც აღნიშნავდა.**





კალიბრი — 7,62 მილიმეტრი;
წონა (საბრძოლო მდგომარეობაში) — 66 კილოგრამი;
ტყვიის საწყისი სისწრაფე — 800 მეტრი წამში;
სროლის სისწრაფე — წუთში 600 გასროლა;
დამიზნების სიშორე — 3000 მეტრი.



ოთხი დღის შემდეგ სუბმარინი „K-21“ ბაზაზე დაბრუნდა. მას ისე დახვდნენ, როგორც გამარჯვებულს. გამარჯვებათა ესოდენ მნიშვნელოვანი ჩამონათვალით იმხანად ვერც ერთი საბჭოთა წყალქვეშა ნავი ვერ დაიკვეხნიდა.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# წყალქვეშა ნავი «კატიუშა»

**1942 წლის 3 დეკემბერი. ნორვეგიის ტერიტორიული წყლები. მტრის ტრანსპორტზე შეტევისას საბჭოთა წყალქვეშა ნავი „К-3“ დაცვის სამმა გემმა აღმოაჩინა. სუბმარინზე რამდენიმე ათეული სიღრმის ბომბი ჩამოაგდეს. მათგან თავის დასაღწევად გემი რამდენჯერმე შეეჯახა ფსკერს. დაზიანებების შედეგად ზღვის ზედაპირზე დიზელის საწვავის ლაქა გაჩნდა. სწორედ ეს ლაქა გასცემდა წყალქვეშა ნავის ადგილმდებარეობას. წყალქვეშ დარჩენა საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა. დივიზიის მეთაურმა გაჯიევმა, რომელიც „К-3“-ს ბორტზე იმყოფებოდა, წყლის ზედაპირზე ამოსვლისა და მოწინააღმდეგის გემებთან საარტილერიო ბრძოლაში ჩართვის წინადადება წამოაყენა. ბრძოლის შედეგად ორი გემი ჩაიძირა, მესამემ უკან დაიხია. ასე დასრულდა ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული „К“ ტიპის კრეისერების წყალქვეშა ნავთან, რომელსაც მეზღვაურები „კატიუშას“ უწოდებდნენ.**

გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის შტაბმა საესკადრო წყალქვეშა ნავის პროექტირების დავალება დაგეგმა. ის აღჭურვილი უნდა ყოფილიყო მძლავრი საარტილერიო იარაღით და ბაზებისგან დაშორებით ავტონომიურად და ესკადრასთან ერთობლივად უნდა შეძლებოდა მსახურება. წყალქვეშა ძალების წყალზედა გემებთან ურთიერთქმედება საბრძოლო მოქმედებებში წარმატების მნიშვნელოვან პირობად ითვლებოდა. საესკადრო გემებს ევალებოდათ, პირველებს განეხორციელებინათ დარტყმა. წყალქვეშა კრეისერებს სხვა ყველაფერთან ერთად მოეთხოვებოდათ წყლის ზედაპირზე არანაკლებ 22 კვანძის სიჩქარით მოძრაობა, ათი ტორპედოს სასროლი აპარატი ტორპედოების ორმაგი მარაგით, საარტილერიო შეიარაღება არანაკლებ 100-მილიმეტრიანი კალიბრის იარაღით და 15 ათას კილომეტრამდე ცურვის სიშორე.



**პროექტის რეალიზაციას 1926 წელს შეუდგნენ. პირველები „Д“ (დეკაბრისტი) ტიპის სუბმარინები იყვნენ. მათი წყლის ზედაპირზე მოძრაობის სიჩქარე 15 კვანძს არ აღემატებოდა. დამკვეთებს კი ეს არ აკმაყოფილებდათ. შემდეგი პროექტი ამ სერიაში „П“ (Правда) ტიპის მეოთხე სერიის ნავები გახდნენ. ამ კრეისერების მოძრაობის სიჩქარე წყლის ზედაპირზე 20 კვანძამდე გაიზარდა, მაგრამ ამასთანავე მკვეთრად გაიზარდა ჩაძირვის ხანგრძლივობაც და წყალქვეშა მანევრირების უნარი ასევე მკვეთრად გაუარესდა.**



**1935 წელს ინჟინერმა, კონტრადმირალმა რუდნიცკიმ წარმოადგინა კრეისერული საესკადრო წყალქვეშა ნავის პროექტი ინდექსით „9“. პროექტის მახასიათებლები ხელმძღვანელობას იმედისმომცემად მოეჩვენა და ის მომავალი სუბმარინის საფუძვლად იქცა.**

1936 წლის 27 დეკემბერს „კ“ ტიპის პირველი სამი წყალქვეშა ნავის მშენებლობა დაიწყო. სამუშაოები ლენინგრადის ქარხნებში მიმდინარეობდა.

ნავის კონსტრუქცია ორკორპუსიანი იყო. შიდა მკვრივი კორპუსი ტრადიციული მეთოდით შენდებოდა, გარეთა კორპუსის აწყობისას კი ფართოდ გამოიყენებოდა ელექტროშედუღება. კორპუში შვიდ ნაწილად იყო გაყოფილი. მეორე ნაწილში განლაგებული იყო ერთადგილიანი კაიუტები და მეთაურთა შემადგენლობის კაიუტა. მეოთხე განყოფილებას ზემდეგები განაგებდნენ. პირველ, მეექვსე და მეშვიდე განყოფილებაში ჯგუფი იყო გადანაწილებული.



წყალქვეშა კრეისერები აღჭურვილი იყო სამალავიდან დაკვირვების ორი ოპტიკური მოწყობილობით, რომლებიც ფოტოგრაფირებისთვისაც გამოიყენებოდა. ნავის მოკლეტალღური რადიოსადგურები უზრუნველყოფდნენ მყარ ორმხრივ რადიკავშირს ყველაზე დაშორებულ დისტანციებზეც კი.



**ტექნიკური დავალების თავდაპირველი ტაქტიკა ნავზე თვითმფრინავის განთავსებასაც ითვალისწინებდა. ასეთი თვითმფრინავი შიფრით „СПЛ“ კონსტრუქტორმა ჩეტვერიკოვმა ააგო კიდეც, მაგრამ შემდეგ თვითმფრინავზე უარი განაცხადეს. „კატიუშების“, ისევე, როგორც სხვა წყალქვეშა ნავების მთავარი იარაღი ტორპედოები იყო. ნავში სულ 10 ტორპედოს აპარატი იყო განთავსებული, მათგან ექვსი — მის წინა ნაწილში. ყველა აპარატი 15 მეტრის სიღრმიდან უშვებდა ტორპედოს.**

საარტილერიო შეიარაღებას შეადგენდა ორი 100-მილიმეტრიანი და ორი 45-მილიმეტრიანი იარაღი. ამ ტიპის წყალქვეშა ნავებისთვის ორიგინალური სანაღმე მოწყობილობა შეიმუშავეს. მაგრამ ამ დროისთვის ნაღმების სერიული გამოშვება ჯერ კიდევ არ იყო აწყობილი.



**ბალტიის ზღვაზე „კატიუშების“ პირველი გამოცდისას მათ დახასიათებაში აღნიშნული იყო, რომ წყალქვეშა ნავი თანამედროვე ტექნიკურ დონეზეა ტაქტიკური ელემენტებით, განსაკუთრებით შეიარაღებისა და სიჩქარის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად უსწრებს წინ მსგავს საზღვარგარეთულ ნავებს.** ყველაზე მძლავრი და ყველაზე სწრაფმავალი — ასე ახასიათებდნენ მას პირველ გამოცდამდე. მაგრამ კომისიამ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები გამოავლინა. დამკვეთებს არ აკმაყოფილებდათ ნავის ცუდი ჰერმეტულობა ზღვის ზედაპირზე გადასვლისას და ზღვაში მოძრაობის ხარისხი. გარდა ამისა, ნაღმების უქონლობის გამო ნაღმების მოწყობილობათა შემოწმების საშუალება არ იყო. კომისიამ დაადგინა, რომ გამოცდები 1941 წლის ივლის-დეკემბერში უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ომმა პროექტის დახვეწის პროცესს ხელი შეუშალა.

**თავიდან დაგეგმილი იყო 62 წყალქვეშა ნავის აშენება და მათ ნახევარზე მეტი წყნარი ოკეანის ფლოტისთვის იყო გამიზნული. მაგრამ სინამდვილეში ომის წლებში ამ ტიპის ვერც ერთმა კრეისერულმა წყალქვეშა ნავმა წყნარ ოკეანემდე ვერ მიაღწია**.

ომის დასაწყისში ქარხნებმა ექვსი „კატიუშა“ გადასცეს ფლოტს და ისინი ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაში შევიდნენ 1941 წლის შემოდგომაზე. მათ წინაშე ნორვეგიის სანაპიროს გასწვრივ მოწინააღმდეგის საზღვაო მოძრაობის ჩაშლის ამოცანა იდგა. იმავე წლის შემოდგომაზე კრეისერული ნავი „К-22“ საბრძოლველად გაემართა. მან მოწინააღმდეგის გემების ძებნა დაიწყო. მისმა არტილერიამ ტრანსპორტი და ნავთობის ბორანი ჩაძირა. მოგვიანებით კიდევ ორი ტრანსპორტი და ერთი საყარაულო გემი განადგურდა. როგორც დაზვერვა იტყობინებოდა, ერთერთ გემზე 30 ათასზე მეტი ქურქი იყო ნორვეგიის სამთო მსროლელთა კორპუსის წევრებისთვის. მურმანსკზე ზამთრის შეტევა ჩაიშალა.



მეორე ნავმა „К-2“-მა საარტილერიო ცეცხლით გაანადგურა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი და ბაზაზე დაბრუნებისას ფუჭი საარტილერიო გასროლით აღნიშნა წარმატება. ამის შემდეგ ეს ტრადიციად იქცა — ბაზაზე დაბრუნებული ყველა გემი ჩაძირული გემების რაოდენობის შესაბამისი ფუჭი გასროლით აღნიშნავდა წარმატებას.

**1942 წლის ივლისის დასაწყისში გერმანული ესკადრა გემ „ტერპიცის“ მეთაურობით საბჭოთა „пик-ю-17“-ის ხელში ჩასაგდებად დაიძრა. იმისათვის, რომ ეს არ დაეშვათ, ჩრდილოეთ ფლოტის მეთაურებმა ნორვეგიის სანაპირო წყლების რაიონში რამდენიმე წყალქვეშა ნავი გაგზავნა. მათ შორის იყო კრეისერული „К-21“, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი ლუნინი ედგა სათავეში. 1942 წლის 5 ივლისს სუბმარინმა გერმანული ესკადრა აღმოაჩინა და „ტერპიცზე“ ტორპედოებით შეტევისთვის მანევრირება დაიწყო. მოწინააღმდეგის გემები ზიგზაგისებურად მოძრაობდნენ და მუდმივად იცვლიდნენ კურსს. „ტერპიცი“ პირდაპირ ლუნინის ნავისკენ მობრუნდა. ნავის წინა ნაწილში განლაგებული ტორპედოს აპარატებიდან გასროლა შეუძლებელი აღმოჩნდა, ლინკორნისთვის დანარჩენი აპარატებიდან უნდა დაეშინათ. შედეგად „ტერპიცი“ დაზიანდა, მისი თანხმლები ერთერთი გემი კი ჩაიძირა. ნავი წყალქვეშ გაუჩინარდა და დაცვის გემებისგან შეტევას ელოდა, მაგრამ შეტევა არ განხორციელებულა — „ტერპიცი“ ესკადრასთან ერთად იძულებული გახდა ჩრდილო ნორვეგიაში დაბრუნებულიყო და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა აღარ მიუღია.**



**ოთხი დღის შემდეგ სუბმარინი ბაზაზე დაბრუნდა. მას ისე დახვდნენ, როგორც გამარჯვებულს. გამარჯვებათა ესოდენ მნიშვნელოვანი ჩამონათვალით იმხანად ვერც ერთი საბჭოთა წყალქვეშა ნავი ვერ დაიკვეხნიდა.**

1942 წლის ოქტომბერში „К-21“ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, 40 წლის შემდეგ კი, 1982 წელს, იგი პიედესტალზე დადგეს, როგორც ჩრდილოეთ ფლოტის მემორიალური გემი. ომის განმავლობაში კიდევ ხუთი კრეისერული წყალქვეშა ნავი აიგო და ოთხი მათგანი წარმატებით იბრძოდა ბალტიის ზღვაში. **სულ ომის განმავლობაში „კატიუშებმა“ მოწინააღმდეგის 55 საბრძოლო და სხვა დანიშნულების გემი გაანადგურეს.** ორი სუბმარინი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, ერთი კი — გვარდიული გახდა. წყალქვეშა კრეისერების სამ მეთაურს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.







„კ“ ტიპის მე-14 სერიის კრეისერული წყალქვეშა ნავი („კატიუშა“)
წყალქვეშა ნაწილის მიერ გამოდევნილი წყლის რაოდენობა — 2200 ტონა;
წყლის ზედაპირზე მოძრაობის სიჩქარე — 22 კვანძი;
წყლის ზედაპირზე ცურვის სიშორე — 15 ათასი მილი;
ჩაძირვის ზღვრული სიღრმე — 100 მეტრი;

იარაღი:
10 ტორპედოს სასროლი აპარატი 24 ტორპედოს მარაგით;
ორი ერთეული 100-მილიმეტრიანი იარაღი;
ორი ერთეული 45-მილიმეტრიანი იარაღი;
20 ერთეული ნაღმი.

საქართველო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

მხატვრული თვალსაზრისით მღვიმევი ცალკე დგას ამ ეტაპის სხვა ძეგლებს შორის. მან უცვლელად მოაღწია ჩვენამდე. მის დეკორში გამოყენებულია სხვადასხვა ეპოქის ტაძრების მორთულობის სისტემა.



# ბალვაშთა ბუდე მარგვეთი

**მარგვეთი რომ კლდეკარის სახელგანთქმულ ერისთავთა მამული და თავდაპირველი სამართავი ქვეყანა იყო, ამას „მატიანე ქართლისაი“ გვეუბნება: როცა გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ მესამემ თრიალეთში გაბატონებული ბაღვაშების შთამომავალი რატი I ერისთავთ-ერისთავი მოულოდნელად შებოჭა კლდეკარის ციხეში, ამ უკანასკნელმა „შევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და მისცა ციხე თვისი ბაგრატს და თვით დაჯდა მამულსა თვისსა არგუეთს“. ამავე მატიანეში აღნიშნულია ისიც, თუ სად იყო მარგვეთის მაშინდელი ცენტრი. როცა ბერად აღკვეცილი ლიპარიტ IV ბაღვაში საბერძნეთში გარდაიცვალა, იგი „წარმოიყვანეს დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიყვანეს და დამარხეს კაცხს, სამარხავსა მამათა მათთასა“.**

კაცხის „მაცხოვარი“



ყვირილის ჩრდილოეთი შენაკადის — კაცხურის ხეობაში შევედით... ბაღვაშთა ძლევამოსილ გვარზე ფიქრმა წამიღო: 300 წელი ქუხდა მათი სახელები საქართველოში: ორ-ორი რატი და ივანე, ხუთი ლიპარიტი... ისინი ლამის მთელ ქართლს განაგებდნენ რაჭა-მარგვეთიანად. წაღმაუკუღმა ბრუნავს ისტორიის ჩარხი და არც მეისტორიეა ყოველთვის მართალი. ისტორიის ანაბანა თუ გაგეგება, იმასაც მიხვდები, რომ ბაგრატიონებთან დაპირისპირებაში ყოველთვის ბაღვაშები არ ყოფილან დამნაშავენი. IX-XI საუკუნეების საქართველოს კულტურული ცხოვრება და პოლიტიკა უმათოდ წარმოუდგენელია. საკუთარი თვალით მაინც არ მქონდეს ნანახი ატენის ხეობის, თრიალეთის, მანგლისის ხევის, ჯავახეთის, ზურტაკეტის ჩუქურთმიანი და წარწერიანი ტაძრები... და აი, ახლა კაცხი — ბაღვაშთა ადგილის დედა და ძვალთშესალაგი...

გიორგი წერეთლის განმარტებით ტოპონიმი „კაცხი“ „ქვა-აცხიდან“ მომდინარეობს თითქოს, რაც, „ხელს რომ ეცხება, ისეთ ქვას ანუ მელს (ცარცს) და თირს უნდა ნიშნავდეს“. მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ „კაცხი“ ქვა-ციხეს ანუ ძალიან ძლიერ ციხეს გულისხმობს.

კაცხურის ხეობაში თავდაპირველად მაცხოვრის დიდებული ტაძარი აღიმართება თქვენს წინაშე. ეს არის ერთ-ერთი იშვიათი, ექვსაფსიდიანი ტაძარი, რომელიც ინტერიერში „კუმურდოს“, „ნიკორწმინდას“ და „ბოჭორმას“ მოგაგონებთ. კაცხის დიდი ეკლესია XI საუკუნის დასაწყისშია აგებული, რასაც ადასტურებს ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის ტიმპანზე არსებული წარწერა: **„წმიდაო, სამებაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე ტაოისა და რანთა და კახთა და ყოვლისა აღმოსავლისა დიდი კუროპალატი“.** ასეთი ტიტულები მხოლოდ ხელახლა გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს — ბაგრატ III-ს ჰქონდა.

მეორე ფრიად საყურადღებო წარწერაა ჯვრის ამაღლების რელიეფურ გამოსახულებაზე: **„უფალო, შეეწიე მონასა ღმრთისასა დღესა მას დიდსა განკითხვისასა ივანე ერისთავთ-ერისთავისა ასულსა ცხორებას. ამენ!“** ეს წარწერა XI ს-ის მესამე მეოთხედისა უნდა იყოს. ამის საფუძველს გვაძლევს „მატიანე ქართლისაი“ და XI საუკუნის ნიკორწმინდის სიგელი. მათ თანახმად ივანე ერისთავთ-ერისთავი, რომელიც მამამისთან — ლიპარიტთან ერთად ლტოლვილობაში იყო, 1059 წლის 11 აპრილს დაბრუნებულა კაცხში და სპასალარობა მიუღია. კაცხის სხვა წარწერებში ნახსენები არიან **„დიდებული გიორგი მეფე“** (ალბათ გიორგი II), ვინმე **სალიგო, მოძღვარი ჯიხვაისძე, სირაი და მისი შვილი ხუცი, იოჰაბი და სხვანი.** ზოგიერთი წარწერა ნაკლულია და ბოლომდე ვერ იკითხება. ერთ-ერთი მათგანი გიორგი წერეთელმა ასე გაშიფრა: **„სამებაო წმიდაო, ერთ ღმერთო, თაყვანსაცემელო შენდა მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხორებასა ერისთავთ-ერისთავ კახაბერსა“.** ეს ის კახაბერია, რომლის მამას თამარ მეფემ რაჭა-არგვეთის ერისთავობა უბოძაო. ერისთავთ-ერისთავი კახაბერისძენი ბაღვაშთა მეორე შტოა და ამდენად, ბუნებრივია, რომ დიდი რატი და ლიპარიტ ბაღვაშ-ერისთავების კუთვნილ საძვალე ალაგს ისინი დაპატრონებიან.

კაცხის სვეტი



ტაძრის ხილვისას ერთი რამ იწვევს გაოცებას: გარსშემოსავლელი, რომელიც ექვსაფსიდიან ნაგებობაზე ოდნავ მოგვიანებით არის აშენებული, თითქმის უცვლელად გამოიყურება, მის შიგნით მდგარ შენობას კი თავდაპირველი სამკაულებიდან ბევრი არაფერი შემორჩენია. ეს XIX საუკუნის ურუმ-ბერძენი ოსტატების ცოდვაა. რუსები მაშინ რესტავრატორებად მათ იწვევდნენ, ურუმებისათვის კი სამკაულები ზედმეტობას წარმოადგენდა. მანგლისის ეკლესიის აღდგენისას ქართველი და რუსი ინტელიგენცია დროულად ჩაერია საქმეში და ურუმებს ზოგიერთი განადგურებული ჩუქურთმა ხელახლა გამოათლევინეს. კაცხში, როგორც ჩანს, ამ ამბავს გვიან მიაქციეს ყურადღება.

მიუხედავად ამისა ბაღუაშკლდეკარის ერისთავთა მიერ აგებული ეს ტაძარი ძვ. ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ჩინებული და ორიგინალური ძეგლია, რომელიც, უძველესი ტაძრის საძირკველზე, XI საუკუნეშია ხელახლა აგებული.

კაცხის ტაძარი XVII-XVIII საუკუნეებში აბაშიძეებს ეკუთვნით, 1804 წელს კი იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ აღმ. საქართველოდან ოტებულ სოლომონ ლიონის ძეს გადასცა.

* * *

ამ ეკლესიიდან ჩრდ-დასავლეთით, ხეობის სიღრმეში, როგორც ვახუშტი ბატონიშვილიც ამბობს, **„არს კლდე, ხრამსა შინა აყვანილი, ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი, მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა ავალს კაცი“.**

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აქ, სვეტის ძირში ახალი ეკლესია აშენდა და 1997 წელს მონასტერიც დაარსდა. ახლა აქ მამა მაქსიმე და რამდენიმე მორჩილი ცხოვრობენ.

სვეტზე, სავარაუდოდ, უძველეს ხანაში წარმართული საზორავი უნდა ყოფილიყო, VI საუკუნიდან კი მესვეტე ბერი დაყუდებულა.

45 მეტრის სიმაღლის სვეტის თხემი დაახლოებით 100 კვ. მეტრია. მის დასავლეთ კიდეზე მუხაა ამოსული. აქვე ყოფილა მარანიც. მუხიდან აღმოსავლეთით აღმოჩნდა შედარებით გვიან აშენებული სენაკები, სადაც კიდევ ერთი მუხაა ამოსული. უძველესი ეკლესიის ნაშთები სვეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეშია, სადაც გალავნის ფრაგმენტებიც დაფიქსირდა.

2007 წლის 14 სექტემბერს, — სვიმონ მესვეტის ხსენების დღეს — პარაკლისის შემდეგ, მღვდელმა დავით გაბრიჭიძემ აქ მოულოდნელად მიაგნო წარწერიან ქვას, რომელიც გიორგი გაგოშიძემ გაშიფრა: **„ქრისტე ღმერთო, მეოხებითა მშობელისა შენისაითა, ძალითა ჯვარისაითა, წმიდასა ზეცისა ძალთაითა და ყოველთა წმიდათა შენთაითა, შეიწყალე სული ფრიად ცოდვილისა გიორგისა, რომელმან აღაშენა სამნი ესე სახლნი, სადიდებლად, შეწევნად, დაყუდებულთა შენთა წმიდისა ძელისა ცხოვრებისა და განსასვენებლად მსახურთა მისთა“.**

კაცხის სვეტის კომპლექსი დღეს მთლიანად აღდგენილია.

* * *

ჩვენი მარგვეთში მოგზაურობის ბოლო პუნქტი კიდევ ერთი უთვალსაჩინოესი ხუროთმოძღვრული ძეგლი და ქრისტიანული ცენტრი მღვიმევია, სადაც დღეს დედათა მონასტერია. იგი ჭიათურას თითქმის ზედ აკრავს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთ მონაკვეთში არსებული ორი დიდებული ერისკაცისა და მანდილოსნის გამოსახულების ქვეშ. გაჭირვებით იკითხება წარწერები: **„ნიანია კახაბერის ძე, მეუღლე მათი რუსუდან; ამა ეკლესიისა აღმშენებელი რაჭის ერისთავის კახაბერის ძე რატი“...**

ტაძრის ქტიტორი რატი რაჭის იმ ერისთავთ-ერისთავ კახაბერის ძეა, რომელიც, დავით ულუს მხარდაჭერისათვის, დავით ნარინს აღმოსავლეთ საქართველოში გაერიდა, შემდეგ კი, უკან დაბრუნებული, მონღოლებთან მოლაპარაკებების გამო, იმავე დავით ნარინმა ნაწილ-ნაწილ აქნა.

რატის ძეს მაშინ უნდა აეგო მღვიმევის მონასტერი, როცა მამამისი ერისთავთ-ერისთავი კახაბერი აღმოსავლეთ საქართველოში იყო გახიზნული. ეს იმიტომ, რომ კახაბერის ძეები, მამის განადგურების შემდეგ კონსტანტინეპოლში გადაასახლა დავით ნარინმა. ამიტომ არის აქ რატის ტიტული ერისთავი და არა ერისთავთ-ერისთავი. ამავე რატის სახელს ვხვდებით მონასტრისათვის შესრულებული ნათლისმცემლის ვერცხლის ხატის კიდურყვავილოვან წარწერაში.

ხუროთმოძღვრული ანალიზის თანახმად კომპლექსი სწორედ XIII საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული...

ტაძრის გაფორმებაში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ე.წ. „სამთავისური მოტივი“: სარკმლების, ჯვრის წყვილი ლილვებისა და რომბების კომპოზიცია, რომელიც აქ, ფართობის სიმცირის გამო, სხვადასხვა კედელზეა გადანაწილებული.

მაგრამ გარდა ამისა, „მღვიმევი“ სამკაულებით, თითქოს „ნიკორწმინდასა“ და „კაცხს“ ბაძავს, რასაც თავისი ახსნა მოეძებნება: რაჭა-მარგვეთის ძლევამოსილი მპყრობელის შთამომავლებს ძველი დროების ნოსტალგია შემოსწოლიათ: მათი საგვარეულო ოჯახი ხომ დიდი ტაძრების მაშენებელი და პატრონი იყო...

**გარნა ყოველი მიწიერი მეუფება კაცთათვის წარმავალი და მოჩვენებითია. ვითარცა ცათა შინა, ეგრე ქვეყანასა ზედა მხოლოდ უფალი ხელმწიფებს მარადიულად — დაახლოებით ასე აუხსნა თავის დროზე დანიელ წინასწარმეტყველმა საშინელი სიზმარი ძლევამოსილ ნაბუქოდონოსორს, რომლის იმპერიისაგან აღარაფერი დარჩა.**

**ასე დაემართათ ბაღვაშთა ორ შტოს. მათი დიდება ჩაიფერფლა, მაგრამ სამუდამოდ დარჩა ბრწყინვალე სახლი უფლისა, რომლის კარი დღესაც ღიაა.**

მღვიმევის მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი ფასადი



მღვიმევის მთავარი ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი



გელა ქოქიაშვილი
ავტორის ფოტოები



**ქურთი ბელადების სათავეში მაშინ სულეიმან-აღა იდგა, ცნობილი წინაპრების ჩამომავალი და ფრიად პატივსაცემი პიროვნება. სულეიმანი ცოცხალი ლეგენდა იყო მთელ სპარსულ და თურქულ ქურთისტანში. ვანი, თავრიზი, ბაიაზეთი, ერევანი და არზრუმი მოწმე იყო ამ სახელგანთქმული მხედრის საქმეებისა.**

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ზამთარი ამიერკავკასიაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №7

**ასეთ რთულ სიტუაციაში ჩავარდნილ პასკევიჩს ადგილობრივი რესურსების გამოყენება უნდა ეცადა. შეიძლებოდა თურქეთის წინააღმდეგ ომში სპარსელების ჩათრევაც, მით უფრო, რომ აბას-მირზა თვითონ ითხოვდა საბრძოლო ოპერაციების დაწყებას და წერდა, რომ ბაღდადის მცხოვრებნი ჰპირდებოდნენ რუსებს ქალაქისა და ოლქის ჩაბარებას. თავიდანვე ეს წინადადება არაფრისმომცემი ჩანდა; მართალია, სპარსეთის ჩარევა დროს გაწელავდა, რამდენადაც რუსეთს, საკუთარი მიზნების მიღწევის გარდა, მისი მოკავშირის სურვილები და მოთხოვნებიც უნდა გაეთვალისწინებინა.**

ამასთან შერიგება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ სპარსეთი არსებითი დახმარების გაწევას შეძლებდა, მაგრამ ის ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ თვითონ სთხოვდა რუსეთს ფულად და საარტილერიო დახმარებას. პასკევიჩმა აბას-მირზას მადლობა გადაუხადა და მისი წინადადება არ მიიღო იმ საბაბით, რომ მძიმე ომისგან დაღლილი სპარსეთი სიმშვიდეს საჭიროებდა.

**პასკევიჩს დახმარება სხვაგან უნდა ეძებნა. ზამთრის დაწყებისთანავე მან ენერგიული მოლაპარაკება დაიწყო მარცხენა ფლანგზე ქურთებთან, მარჯვენა მხარეს კი — აჭარლებთან, რათა ისინი რუსეთის მხარეს გადმოებირებინა; აჭარის მფლობელს აჰმედ-ბეგს გენერლის ჩინს და ათი ათასიან პენსიას ჰპირდებოდნენ. წინადადება მაცდუნებელი იყო და ბებერი ბეგი ჭოჭმანობდა. ქურთებთან მოლაპარაკება უფრო მნიშვნელოვანი იყო. მათთან შეთანხმებით შეუძლებელი ხდებოდა გზის გათავისუფლება არზრუმისკენ ბაიაზეთის მხრიდან, რაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებდა მოწინააღმდეგეს.**

ქურთების წარმოშობის შესახებ ვრცელი ლიტერატურული მასალა არსებობს, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს მათზე საბოლოო სიტყვა, არავის ამოუხსნია მათი წარმოშობის გამოცანა. ერთი რამ უეჭველია, რომ ქურთები წარმოადგენენ აღმოსავლეთის უძველესი ხალხის ნაშთს, ინდოგერმანული ფესვებიდან; მათ ენაში ნამდვილად არის ბევრი რამ სანსკრიტული, ხოლო მათი ათლეტური აღნაგობა შეუძლებელია ეკუთვნოდეს აღმოსავლეთის მოგვიანებით დაკნინებულ ეროვნებებს. ფირდოუსისპოემაში „შაჰ-ნამე“ მოთხრობილია მითი ამ ხალხის წარმოშობაზე.

**„უძველეს დროში,** — მოგვითხრობს ლეგენდა, — **ცხოვრობდა ერთი მეფე აზგხი-დახაკი („გველი-დამღუპველი“), რომლის სისასტიკე იწვნიეს მისმა მეზობელმა ქვეყნებმა. დემონების დახმარებით მეფეს მხრებზე ამოზრდილი ჰქონდა ორი გველი, რომელიც მისი ტანის ნაწილი იყო და მხოლოდ ადამიანის ტვინით იკვებებოდა. მათთვის შიმშილის მოსაკლავად ყოველდღიურად ორი ადამიანის გაწირვა იყო საჭირო, მაგრამ მეფის მოხერხებულ მზარეულს ერთ-ერთის გადარჩენა ყოველთვის შეეძლო. სწორედ ამ გადარჩენილებისაგან შედგა ქურთთა ტომი“.**

პასკევიჩის დროს ამ ხალხს ეკავა მთიანი ტერიტორია აგრი-დაგის ქედსა და ტიგრისა და ევფრატის ქვიშიან დაბლობს შორის. ისინი მესაქონლეობას მისდევდნენ და იმდენი ცხვარი ჰყავდათ, რომ ერთი ევროპელი მოგზაური აღნიშნავდა, **ქურთების მიერ კონსტანტინოპოლის ბაზარში მორეკილი ცხვრების რაოდენობა ყოველწლიურად მილიონ ნახევარი თუ იქნებაო და დედაქალაქში ჩასვლას ისინი ნახევარ წელს ანდომებენო.**



ივანე პასკევიჩი

**ათასწლეულების მანძილზე ქურთებს არც თავიანთი წეს-ჩვეულებები შეუცვლიათ, არც ენა, არც ეროვნული ტანსაცმელი და ცხოვრების წესი.**

ძნელია ჩვენს დროში აღმოაჩინო ხალხი დედამიწის ზურგზე, რომელიც მათსავით პატრიარქალური ცხოვრებით ცხოვრობდეს. ქურთებს თავისი ცხოვრების გაქვავებული ფორმა აქვთ და მათთვის არც ერთ კანონს არ აქვს იმხელა მნიშვნელობა და ძალა, როგორც ძველ ტრადიციებს.

ქურთების რელიგიაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი ეკუთვნის მაჰმადიანობას, შენარჩუნებული აქვთ აზიის ძველი სარწმუნოებების ელემენტებიც. მუდმივმა არეულობებმა და ომებმა ამ ხალხს საშუალება მისცა, არსებობის იოლი გზა აერჩია — ისინი ძარცვით ირჩენდნენ თავს. **სიტყვა „ქურთი“ თურქულად „მგელს“ ნიშნავს. სახელწოდებაც ამართლებდა მათ საქციელს და ისინიც ქურდავდნენ, ჩეხავდნენ და იტაცებდნენ, რაც კი ხელში მოხვდებოდათ.**

**რუსეთის მიერ ბაიაზეთის დაკავების შემდეგ ქურთები სამ სახელმწიფოზე შეიქნენ დამოკიდებულნი — რუსეთზე, თურქეთსა და სპარსეთზე.**

თურქეთს ეკუთვნოდა ლომის წილი — დიდი ქურთისტანი, სადაც ნახევარი მილიონი ქურთული ოჯახი ცხოვრობდა. ჩრდილოეთ ქურთისტანი შედიოდა ვანისა და ბაიაზეთის საფაშოებში, დასავლეთი — მუშის და არზრუმის, სამხრეთი — მოსულის და დიაბეკირისაში. აღმოსავლეთი ნაწილი სპარსელებს ეკავათ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პოლიტიკა, რომელსაც სპარსეთი ქურთებთან დაკავშირებით მიმართავდა, ხელს უწყობდა ქურთთა ძლიერებას. სპარსეთის კარი ცდილობდა, ერთ-ერთი უძლიერესი და ყველაზე საიმედო შეიხისთვის ქურთისტანის ვალის წოდება მიენიჭებინა და შემდეგ დახმარებოდა მას ფულითა და იარაღით, რათა განემტკიცებინა თავისი ძალა და გავლენა დანარჩენებზე. **მსგავსს არაფერს აკეთებდა თურქეთი. პირიქით, იგი სარგებლობდა ქურთთა გაფანტულობით და მათ შორის შუღლს თესავდა, რათა უფრო იოლად გასწორებოდა მათ. არადა, თურქეთს შეეძლო ამ ხალხისგან ძლიერ ჯარი შეექმნა; თუნდაც ოჯახიდან ერთი სული რომ გაეწვიათ ჯარში, ნახევარმილიონიანი მხედრიონი შეიქმნებოდა.**

ქურთებს ტყუილად არ ჰქონდათ კარგი ცხენოსნების რეპუტაცია. რუსულ კორპუსში მათზე ორგვარი აზრნი შეიქმნა: ერთნი მათ უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდნენ, მეორენი მათ ლაჩრებად მიიჩნევდნენ. რა თქმა უნდა, არც ერთი აზრი სწორი არ იყო. ქურთები ჩხუბობდნენ კარგადაც და ცუდადაც იმის გათვალისწინებით, თუ რამ მიიყვანა ისინი ამ ბრძოლამდე: წყურვილმა რისამე მონადირების, მათი არაპოპულარული ხელისუფლების ძალამ, საკუთარმა ენთუზიაზმმა (დაეცვა მშობლიური კერა), თუ, უბრალოდ, სიყოჩაღის გამოჩენის სურვილმა.

**ქურთების იარაღი ხელჩართულ ბრძოლაზეა გათვლილი; განსაკუთრებით კარგია მათი გრძელი და დრეკადი შუბი, რომელსაც ისინი სრულად ფლობენ. როცა ქურთი მტერს უტევს, ამ შუბს ისე სწრაფად იქნევს, რომ დრეკადობის გამო ძნელია, გათვალო დარტყმის მიმართულება. ქურთებს არ უყვართ ქვეითად ბრძოლა და ამიტომ თითქმის არც აქვთ იარაღი, მაგრამ ორი გრძელი ფისტოლეტი ყოველთვის ქამარში აქვთ გაჩრილი, რომელზეც, ასევე, სპარსული ხმალი უკიდიათ. ქურთული ჯიშის ცხენი ლამაზი და ჩქარია, რითაც იგი ისევე ფასობს ჩრდილოეთ აზიაში, როგორც არაბული ცხენი — სამხრეთში, თურქმენული — სპარსეთში.**

**ქურთებთან მოლაპარაკება ზამთარში დაიწყო და ისე წარმატებით წარიმართა, რომ მუშის ფაშამ თვითონვე გამოგზავნა ერთი სომეხი შიკრიკი თბილისში იმის სათქმელად, რომ მზად იყო რუსეთის მხარეს გადმოსულიყო, თუ კარგ პენსიას მიიღებდა და ფაშის ღირსებას შეინარჩუნებდა.** პასკევიჩმა მასთან პირადად მოსალაპარაკებლად კაპიტანი, თავადი ვაჩნაძე გაგზავნა, სომეხი ვაჭრის ფორმაში გამოწყობილი. იგი უნდა შეთანხმებოდა ფაშას 12-ათასიანი მხედრიონის მიქირავებაზე, რაშიც ყოველთვიურად ათი ათას ჩერვონეცს გადაუხდიდა. **„მე არ ვითხოვ თქვენგან,** — წერდა მას მთავარსარდალი, — **ჩვენზე ადრე გამოჩნდეთ სოღანლუღთან, მაგრამ ჩვენი იქ მისვლის შემდეგ თქვენც შორიახლოს უნდა იმყოფებოდეთ და დაეცეთ, როგორც კი არწრუმისაკენ წავლენ“.**

დიდი ხიფათისა და სიძნელეების გადალახვით მიაღწია თავადმა ვაჩნაძემ მუშამდე. იქ მან მოახერხა ფაშასთან საიდუმლოდ შეხვედრა. მაგრამ ფაშამ განაცხადა, რომ მსგავსი რამ მას არასდროს გაუვლია გულში, და რომ ახლავე გასცემდა ბრძანებას და ვაჩნაძეს როგორც ჯაშუშს არზრუმში გაგზავნიდა. ვაჩნაძემ გამოცდილებით იცოდა, რომ ფაშას ასე უნდა ეთქვა, რათა თავი საკუთარ სინდისთან მაინც გაემართლებინა. როცა ჯილდოზე ჩამოვარდა საუბარი, ისინი შეთანხმდნენ და ვაჩნაძემ მიიღო საიდუმლო უფლება, — ქურთ მოსახლეობასთან ურთიერთობა გაება.

**ქურთი ბელადების სათავეში მაშინ სულეიმან-აღა იდგა, ცნობილი წინაპრების ჩამომავალი და ფრიად პატივსაცემი პიროვნება. სულეიმანი ცოცხალი ლეგენდა იყო მთელ სპარსულ და თურქულ ქურთისტანში. ვანი, თავრიზი, ბაიაზეთი, ერევანი და არზრუმი მოწმე იყო ამ სახელგანთქმული მხედრის საქმეებისა.**

მის შესახებ რამდენიმე ამბავი უნდა გიამბოთ. ერთხელ თურმე ორასი მხედრით 15-ათასიანი თურქული კორპუსი გაუნადგურებია. ამ დაუჯერებელ ამბავს შემდეგ თვითონ თურქული ჯარების უფროსი ჯაფარ-ხან-ეგოისკი ყვებოდა, რომელმაც გაქცევით ძლივს უშველა თურმე თავს. მისი ნაამბობის მიხედვით, თურქული კორპუსი ღამეს ათევდა არარატის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხეობაში. სულეიმანმა ისარგებლა ბნელი ღამით, ჩახერგა ყველა გასასვლელი ხეობიდან და შემდეგ მოულოდნელად შეიჭრა თურქთა ბანაკში, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია. პანიკაში ჩავარდნილი თურქები ერთმანეთს დაერივნენ, ქურთებმა კი გამხეცებულ ბრბოს ჩახერგილ ადგილას ჩასაფრებულებმა სროლა დაუწყეს.

ერთხელაც, როცა სულეიმანი ერევნის სახანოში ცხოვრობდა, მასა და ცნობილ სამან-ხანს ჩხუბი მოუვიდათ და ამაყმა თათარმა (ხანი წარმოშობით თათარი იყო) სულეიმანს ქურთი ვირი უწოდა. **„ჩემი ცოლის ლეჩაქი დამეხუროს, თუ მაგ სიტყვა გაპატიოო“,** — უთქვამს სულეიმანს და რამდენიმე დღეში თურქეთში გაქცეულა. ამან ძლიერ შეაშფოთა ერევნის ხანი. **„ბებერი მგელი არ დაივიწყებს წყენას და, ადრე თუ გვიან, აქ მოვაო“,** — უთხრა მან სამანს და ჩააბარა 500 ცხენოსანი საზღვრის დასაცავად.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**გაგრძელება იქნება**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთხუთმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ოლიმპიადა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ანდრეი დუდნიკი,**
ღია სააქციო საზოგადოება სოჭის „რუსეთის რკინიგზის" ხელმძღვანელი:
**„ჯერ ერთი, რომ აფხაზეთთან ჩვენი დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები ისეთი სიმძლავრის არაა, რომ დიდი მოცულობის ინერტული მასალები გადაიტანო; მეორეც, იქიდან მასალების ჩამოტანა ჩვენთვის არარენტაბელურია, ის ქვიშა და ღორღი ოქროს ფასი დაგვიჯდება!"**



# კურორტ სოჭს

**სოჭის მერს, ანატოლი პახომოვს ძალიან გაუმართლა — 2014 წელს მან უნდა ჩაიბაროს ოლიმპიური ჩირაღდანი. მსოფლიოში სულ 21 ადამიანს ხვდა წილად ასეთი ბედნიერება. პახომოვი ოცდამეორე იქნება.**
**მაგრამ მანამდე საზრუნავიც ბევრი აქვს ქალაქის თავს. ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის სწრაფად და ხარისხიანად მიმდინარეობაზე მთელი სახელმწიფო და ბიზნეს-სექტორი ზრუნავს; ყველას თავისი ინტერესი ამოძრავებს — ქვეყნის ხელისუფლებისთვის ეს პოლიტიკაა, ბიზნესმენებისთვის — სარფიანად დაბანდებული ინვესტიცია. აი, ანატოლი პახომოვი კი პასუხისმგებლობასთან ერთად იმასაც გრძნობს, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშები სოჭის განვითარებისა და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად ქცევის უნიკალური შანსია.**
**ამის თაობაზე მომავალი ოლიმპიადის მასპინძელმა ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა „ერთიანი საინფორმაციო ცენტრის" სოჭის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ ცენტრისა და „რია-ნოვოსტის" მიერ დსთ-ის, ბალტიისა და საქართველოს წარმომადგენლებისთვის ერთობლივად ორგანიზებული პრესტურის ფარგლებში, ორი დღის მანძილზე — 10-11 თებერვალს, კრასნაია პოლიანასა თუ იმერეთის დაბლობზე მშენებარე ოლიმპიური ობიექტების დათვალიერების შემდეგ, ბუნებრივია, შეკითხვებიც დაგვიგროვდა.**

ანატოლი პახომოვი



**წერილი მესამე**

## „პარალელების პრობლემა" მოხსნილია

**„ერთიანი საინფორმაციო ცენტრის" სოჭის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ტატიანა სტრახოვა გულღიად გვმასპინძლობს და ცენტრის მუშაობას გვაცნობს. სწორედ აქ იყრის თავს ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც შემდგომ მთელ მსოფლიოში ავრცელებენ.** ცენტრში არამხოლოდ ჟურნალისტების პროფესიულ ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებენ, არამედ, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ერთგვარი დასაქმების ბიუროს სახეც აქვს. ყოველდღიურად უამრავი ადამიანი რეკავს და ითხოვს ინფორმაციას სხვადასხვა მშენებარე ობიექტზე ვაკანსიების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ცენტრი ოლიმპიადისთვის მზადების მთელ პროცესს თვალს ადევნებს და ნებისმიერ შეკითხვას ამომწურავად პასუხობს.

ტატიანა სტრახოვა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ პარალიმპიური თამაშების ამსახველ ალბომებს გვჩუქნის და მერის მოსვლამდე ოფისში გამოკრული ოლიმპიადის თილისმების ვარიანტებს ვათვალიერებთ. ახლა უკვე **შერჩეულია და ყველამ იცის, რომ სოჭის ოლიმპიადას ერთდროულად სამი სიმბოლო — კურდღელი, თეთრი დათვი და ლეოპარდი ექნება.** საუკეთესო თილისმები რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის პირდაპირ ეთერში სმს შეტყობინებების საშუალებით 26 თებერვალს შეირჩა. ჩვენი იქ ყოფნისას კი მთავარ თილისმაზე პრეტენზიის მქონე ვარიანტები გვიჩვენეს: **ჩიტისტვენია (სნეგირი), ლეოპარდი, ბაჭია, დელფინი და ორი დათვი — თეთრი და მურა, მატრიოშკა, ფიფქია, ცეცხლოვანი ბიჭი და თოვლის პაპა („დედ მოროზი").** ვნახეთ სხვა ნახატებიც — ზოგი ძალიან გულუბრყვილოც კი. ჩემი ყურადღება მიიქცია „დუეტებმა", რაც აღვნიშნე კიდეც — **„თუკი სიმბოლოზე ორი ფიგურა ერთად იქნება გამოსახული, პარალელების გავლება, ალბათ, არავის გაუჭირდება..."** ტატიანა სტრახოვა მინიშნებას მიმიხვდა, გაიღიმა და მიპასუხა: **„აი, თქვენც მიაქციეთ ყურადღება, ამაზე ჩვენც ვიფიქრეთ..."**

ახლა, როცა თილისმები უკვე შერჩეულია, „პარალელების პრობლემაც" მოიხსნა.

ამასობაში „ცენტრის" ოფისში სოჭის მერი ანატოლი პახომოვიც მოვიდა, სხვათა შორის, ზუსტად დათქმულ დროს, და პრესკონფერენციაც დაიწყო.

## სოჭი დღეს და ხვალ – რეალურ დროში

**პირველი, რაც უთუოდ აღსანიშნავია, რადგან პრესკონფერენციის შემდეგ ყველას ეს შთაბეჭდილება დაგვრჩა, ქალაქის თავი სიღრმისეულად იცნობს სოჭის პრობლემატიკას და მისი განვითარების პერსპექტივასაც რეალურ დროში ხედავს.** ანატოლი პახომოვისთვის პროექტი „სოჭი-2014" არამხოლოდ ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშებისთვის მზადებისა და ჩატარების პროგრამაა, არამედ ქალაქის აღორძინებისა და მთელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების უნიკალური შესაძლებლობა.

**„უპრეცედენტოდ მოკლე დროში პრაქტიკულად მთლიანად იცვლება ქალაქის კომუნალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. გვარდება კურორტის საკვანძო პრობლემა — ელექტროენერგიისა და გაზის დეფიციტი აღარ იქნება. რასაკვირველია, ქალაქი დამოუკიდებლად ვერასდროს შეძლებდა ისეთი პროექტების რეალიზებას, როგორიცაა „ჯუბგა-ლაზარევსკოე-სოჭის" გაზსადენისა და ერთდროულად 19 ელექტროქვესადგურის, ოთხი თბოელექტროსადგურის, ერთი ჰიდროელექტროსადგურის, ერთი თბოელექტროცენტრალის მშენებლობა. ამ პროექტების განხორციელება კი არამარტო საქალაქო სამსახურების შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს, არამედ განვითარების საფუძველსაც იძლევა,"** — განაცხადა ანატოლი პახომოვმა და უნდა დავეთანხმოთ, რომ უამისოდ წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი კურორტი. სოჭი კი ასეთად უნდა იქცეს უახლოეს მომავალში. ამიტომაც **მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის სერიოზული რეკონსტრუქცია, რაც უწყვეტად წყალმომარაგებას უზრუნველყოფს და გარემოს დაბინძურებასაც კარდინალურად შეამცირებს. ასევე იგეგმება ნარჩენების გადამამუშავებელი კომპლექსის მშენებლობა, რაც ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის წლობით მოუგვარებელ პრობლემას.**

ოლიმპიური პროგრამის მემკვიდრეობად დარჩება კეთილმოწყობილი ქალაქი, რომლის კონცეფციაც ქვეყნის წამყვანმა არქიტექტორებმა შეიმუშავეს.

**„სოჭის ახალ არქიტექტურულ ანსამბლში უნდა ჩაეწეროს როგორც ქალაქის ტრადიციული ღირსშესანიშნაობები: დენდრარიუმი, რივიერა, საზღვაო პორტი, კინოსაკონცერტო დარბაზი და ზღვისპირეთი, ისე ოლიმპიადისთვის მზადებისას აშენებული ობიექტები: სპორტული არენები, ოლიმპიური პარკი, ახალი თანამედროვე სასტუმროები, ქალაქის სატრანსპორტო არტერიები და ბევრი სხვა,"** — გვიყვება ანატოლი პახომოვი და, თუ თქვენ ჯერ არ გინახავთ, რა და როგორ კეთდება სოჭში, სიტყვაზე უნდა მენდოთ — საკუთარი თვალით ვიხილე დასუფთავებულ-მოვლილი ქალაქიც და უკვე აშენებული თუ მშენებარე თანამედროვე სასტუმროებიც, რომლებიც, მიუხედავად ეპოქის გავლენისა, იმდენად ბუნებრივად ეწერება ქალაქის საერთო არქიტექტურაში, რომ კონტრასტს ვერც იგრძნობთ.

ეს არის და იქნება მშვიდი საკურორტო ქალაქი, სადაც დამსვენებელთა კომფორტის უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად ირჯებიან. და არამხოლოდ ოლიმპიური ობიექტებს, არამედ მთლიანად ქალაქს ეძლევა ერთიანი არქიტექტურული იერი: **„მხოლოდ მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიების გამართვის ადგილის მიმდებარედ მოგვიწევს ქალაქის 308 ქუჩისთვის ერთიანი არქიტექტურული იერის მიცემა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დეტალური ინვენტარიზაცია ჩავატარეთ და რემონტის გრაფიკიც მოვამზადეთ. 13 500 ობიექტიდან, რომლებიც ამ ტერიტორიაზეა, 15 პროცენტი 2010 წელს გარემონტდა, 45 პროცენტს 2011 წელს გავარემონტებთ, 40 პროცენტს კი — 2012 წელს. 2009 წლიდან 250-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გარემონტდა, თითქმის 200 კი ახლა რემონტდება".**

მეორე წერილში იმერეთის დაბლობზე უკვე აშენებული სოფლების შესახებ გიამბეთ. სოჭში კი არამხოლოდ ოლიმპიადის „კარის მეზობლებზე" ზრუნავენ, არამედ იმათზეც, ვინც ახლომახლო ცხოვრობს. რფ „სბერბანკთან" ერთად ახორციელებენ სპეციალური დაკრედიტების პროგრამას იმათთვის, ვისაც ინდივიდუალური საცხოვრებე- ▶

ოლიმპიადისთვის ერთნაირად ემზადება სახელმწიფო და კერძო სექტორი



სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი პრიორიტეტია



**ანატოლი პახომოვი,**
სოჭის მერი:
**„...როგორც მერმა, შემიძლია განვაცხადო, რომ ინერტული მასალების ასზე მეტი მომწოდებელი გვყავს და ყველა შემოთავაზებიდან ტერიტორიულად ყველაზე ახლო მყოფებს ვირჩევთ: ეს მთავარი კრიტერიუმია. ამიტომაც ეს, ძირითადად, კრასნოდარის მხარე და სოჭის ოლქია.“**



ოლიმპიადა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# დღედაღამ აშენებენ

◀ ლი სახლების გარემონტების სურვილი აქვს. **44 სახლს ღობე შეუცვალეს, 98-ს ფასადი შეურემონტეს, 123 ახლიდან გადახურეს, 72-ის საყრდენი კედელი გაამაგრეს, 61 სახლს კი ფრონტონი გაურემონტეს.**

გარდა ამისა, ოლიმპიადის მოსაზღვრე შენობების მფლობელებს არქიტექტურული გადაწყვეტის მზა ვარიანტები გადასცეს: **ვაჭრობის — 880, საზკვების — 398, ოფისებისა და ბანკების — 78, სოციალური სფეროს — 138, საინჟინრო-ტექნიკური — 383 და განთავსების 813 ობიექტი ერთიან არქიტექტურულ სტილში ჩაჯდება. ასევე შენდება ან რემონტდება სოციალური ინფრასტრუქტურის 61 ობიექტი, რომლებიც თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მოწყობილობებით აღიჭურვება.**

SOЧI ერთიან არქიტექტურულ იერს შეიძენს



„ეს სტალინის ბრძანებით აშენდა... ესეც...“



## ოლიმპიადის მემკვიდრეობა

**ახლა კი თბილისელებისთვის ბოლო დროს ძალიან ცნობილ და ხმაურიან თემას უნდა შევეხო: სოჭში უსაფრთხოების თანამედროვე სისტემა იქმნება.** დაიწყო „უსაფრთხო ქალაქის“ პროგრამის განხორციელება, რომელიც ვიდეოკამერების დაყენებასა და სამართალდამცავი ორგანოების ექსტრენად გამოძახებას გულისხმობს.

**„მასობრივი თავშეყრის ადგილებში უკვე დაყენებულია 53 ვიდეოკამერა და მოქმედებს „მოქალაქე-პოლიციის“ კავშირის 5 პუნქტი. შედგენილია ქალაქის ობიექტებზე დაყენებული ვიდეოთვალთვალის სისტემის რეესტრი. ამ რეესტრის მიხედვით მოგვიწევს, ერთიან სქემაში მოვაქციოთ სხვადასხვა ობიექტებზე განთავსებული 1100-ზე მეტი ვიდეოკამერა. ამ პროგრამის მიხედვით კი მთელი სოჭის ტერიტორიაზე 2326 ვიდეოკამერის მონტაჟი და „მოქალაქე-პოლიციის“ კავშირის 51 პუნქტის ამოქმედება იგეგმება,“** — ანატოლი პახომოვის ამ სიტყვებზე ქართველ ჟურნალისტებს გაგვეღიმა. მიზეზი კი ქართულ სინამდვილესთან პარალელის დანახვა იყო — თბილისში ეს პროგრამა, დიდი ხანია, წარმატებით ხორციელდება და ჩვენი თითოეული ნაბიჯი უყურადღებოდ არ რჩება.

**საერთაშორისო დონის მომსახურების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა კვალიფიციური პერსონალის მომზადება.** ქალაქში თითქმის ორჯერ იზრდება ადგილები დამსვენებელთათვის, შენდება დიდი რაოდენობით საინჟინრო და ინფრასტრუქტურული ობიექტი. მათი სრული დატვირთვით ამოქმედებას კი მუდმივი პერსონალი სჭირდება — 52 ათასი ადამიანი: **„მხოლოდ დროებით, ოლიმპიური თამაშების დროს 62 ათასზე მეტი ადამიანი დაგვჭირდება. დროებითი პერსონალისთვის აშენებული საცხოვრებელი ფართი, მათ კი 600 ათასი კვადრატული მეტრი სჭირდებათ, ქალაქს შესაძლებლობას მისცემს, პრაქტიკულად მთლიანად გადაჭრას ბინის მომლოდინეთა, 27500-ზე მეტი ადამიანის, საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემა. ეს კი სოჭელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ოლიმპიადის შემდგომ დარჩებათ,“** — გვითხრა ქალაქის თავმა.

ამ წერილის დასაწყისში აღვნიშნე, ძალიან გაუმართლამეთქი ანატოლი პახომოვს, რომ სწორედ ოლიმპიადის მასპინძლობის პერიოდში ხელმძღვანელობს ქალაქ სოჭს. ამ ბოლო მონაცემების გაცნობის შემდეგ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ **წლობით ბინის რიგში მდგომი ბევრი სოჭელისთვის დიდი ხნის ოცნების ახდენის დრო დგება — მათ საკუთარი ჭერი ექნებათ** და, ბუნებრივია, ქალაქის თავი ცდილობს, ოლიმპიურ თამაშებს მაქსიმალურად „გამორჩეს“ თანამოქალაქეების სასიკეთოდ. მითუმეტეს, რომ სწორედ მათგან მზადდება ვოლონტიორთა რაზმები — **600-ზე მეტი სოჭელი ახალგაზრდა უკვე გაწევრდა ვოლონტიორთა მოძრაობაში და ოლიმპიური და პარალიმპიური იდეის აქტიური პროპაგანდაც მიმდინარეობს.** მოკლედ, მთელი ქალაქი დიდ მზადებაშია, თითოეული მოქალაქისთვის საკუთარ საქმედ იქცა ოლიმპიადის მასპინძლობა და დიდ იმედებსაც ამყარებენ ამ თამაშებზე.

## ქართული აქცენტი

ამ ძალიან სასიამოვნო ინფორმაციების გაცნობის შემდეგ ანატოლი პახომოვმა შეკითხვებზე პასუხისთვის მზადყოფნა გამოთქვა და საიფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ გენერალურმა დირექტორმა და მთავარმა რედაქტორმა არნო ხიდირბეგიშვილმაც არ დააყოვნა. მან მასპინძელს ყველა ქართველისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეკითხვა დაუსვა:

**„საქართველოში სოჭის ოლიმპიადას როცა ახსენებენ, მუდმივად ხაზს უსვამენ აფხაზეთში მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფას. მართალია თუ არა, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა — ახალი სარკინიგზო და საავტომობილო გზები, ასევე, ოლიმპიური ობიექტები აფხაზეთიდან შემოტანილი ინერტული მასალებით შენდება, სადაც, როგორც ამბობენ, ამის გამო სანაპირო ზოლი და პლაჟები აღარ დარჩა?“**

ჩვენმა კოლეგებმა დსთ-დან და ბალტიის ქვეყნებიდან ისედაც იცოდნენ, რა გვაინტერესებდა ქართველ ჟურნალისტებს, რადგან მათთან საუბრებში არაერთხელ დავსვით „ქართული აქცენტები“, მაგრამ, როგორც ჩანს, ანატოლი პახომოვისთვისაც არ ყოფილა მოულოდნელი ქართველების ინტერესი და თითქოს ელოდა კიდეც (ბუნებრივია!) ამ შეკითხვას:

**„ამას უფრო დაზუსტებით მშენებლები გეტყვიან, მაგრამ, როგორც მერმა, შემიძლია განვაცხადო, რომ ინერტული მასალების ასზე მეტი მომწოდებელი გვყავს და ყველა შემოთავაზებიდან ტერიტორიულად ყველაზე ახლო მყოფებს ვირჩევთ: ეს მთავარი კრიტერიუმია. ამიტომაც ეს, ძირითადად, კრასნოდარის მხარე და სოჭის ოლქია“,** — უპასუხა ქალაქის თავმა.

ამ შეკითხვით ქართველმა ჟურნალისტმა მშენებლებსაც მიმართა. ღია სააქციო საზოგადოება „რუსეთის სარკინიგზო გზების ფილიალის — რუსეთის სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტთა მშენებლობისა და სარკინიგზო გზების კომპლექსური რეკონსტრუქციის დირექციის“ შეკვეთის სამსახურის უფროსის მოადგილემ ანდრეი დუდნიკმა კი პასუხად განმარტა: **„ჯერ ერთი, აფხაზეთთან ჩვენი დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები ისეთი სიმძლავრის არაა, რომ დიდი მოცულობის ინერტული მასალები გადაიტანო; მეორეც, იქიდან მასალების ჩამოტანა ჩვენთვის არარენტაბელურია, ის ქვიშა და ღორღი ოქროს ფასი დაგვიჯდება!“.**

ჩვენი დაბრუნებისა და სოჭში მიღებული შთაბეჭდილებების პუბლიკაციის შემდეგ ამ თემაზე გარკვეული პრეტენზიები გაისმა. არ მინდა, ღრმა პოლემიკაში შევიდე პრეტენზიების ავტორებთან, მაგრამ მათ უნდა ესმოდეთ, რომ **ჟურნალისტის საქმეა შეკითხვების დასმა და მიღებული პასუხის მკითხველამდე მიტანა. რაც შეხება დებატების წარმართვას, ეს არ ყოფილა ჩვენი პრესტურის მიზანი** და, ალბათ, ესეც უნდა ესმოდეთ იმ ადამიანებს, ვისაც საკუთარ პოლიტიკურ გამოცდილებაზე დიდი წარმოდგენა აქვს.

## მოტივაცია და სახელი

და ბოლოს, წერილების სერიის დასასრულ კვლავაც მინდა აღვნიშნო, რომ სოჭს მართლაც გაუმართლა: **ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა ამ საკურორტო ქალაქის ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლის; ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების დედაქალაქის იმიჯი უდავოდ დიდ ფორას აძლევს სხვა საკურორტო ქალაქებთან.** როდესაც ამ უპირატესობაზე საუბრობდა, ანატოლი პახომოვმა ისიც აღნიშნა, ვალდებული ვართ, პოტენციური სტუმრები მოვხიბლოთ და მათი მოლოდინი გავამართლოთო.

პოტენციური სტუმრებისა რა გითხრათ და, გულახდილად რომ ვთქვა, მე იმასაც არ ველოდი, თუ ამდენი რამ იყო უკვე გაკეთებული.

**სოჭში გატარებულმა ორმა დატვირთულმა დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა: როცა მოტივირებული ადამიანები სწორ მიზანს დაისახავენ, შედეგს აუცილებლად მიაღწევენ.**

თქვენ გგონიათ, მხოლოდ ანატოლი პახომოვს ვგულისხმობ? როცა სოჭის საკურორტო ინფრასტრუქტურას ვათვალიერებდით, ჩვენი მეგზური „ერთიანი საიფორმაციო ცენტრიდან“ მიგვითითებდა 50-60 წლის წინათ აშენებულ შენობებზე და გვეუბნებოდა: **„ეს სტალინის ბრძანებით აშენდა... ესეც...“ „მაგ პერიოდში აქ ვინ იყო ქალაქის თავი?“** — ვითომ გულუბრყვილოდ ვიკითხე. მეგზურმა მხრები აიჩეჩა, არ ვიციო.

ასეა, ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების ავტორი ყოველთვის ერთი ადამიანია და სოჭი ვითომ რატომ იქნება გამონაკლისი? **2014 წლის ზამთრის ოლიმპიადასაც ერთი კაცის სახელს უკავშირებენ. არ დავასახელებ, ისედაც ყველამ იცის!**

**ბონდო მძინარაშვილი**

**თბილისი-მოსკოვი-სოჭი-მოსკოვი-თბილისი**
**2011 წლის 9-12 თებერვალი**

პრესტურის მონაწილეები დსთ-ის და ბალტიის ქვეყნებიდან და საქართველოდან



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## აჰმადინეჯადი უდრის კადაფს

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ მიესალმა გაეროს გადაწყვეტილებას, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიდან ლიბიის გარიცხვას შეეხება, თუმცა მიუთითა, რომ „აჰმადინეჯადი არანაკლები დამნაშავეა, ვიდრე კადაფი“ და გაეროს მოუწოდა, ირანსაც იგივე სანქციები დაუწესდეს, რაც უშიშროების საბჭომ ლიბანთან მიმართებაში მიიღო. „ირანის უშიშროების სამსახური მკაცრად ახშობს ოპოზიციის მასობრივ გამოსვლებს“, — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

# ჩინეთი სამხედრო პოტენციალს ზრდის

**ჩინეთმა წელს შეიარაღებაზე დანახარჯების 12,7%-ით გაზრდის თაობაზე გამოაცხადა, რაც გასული წლის პოლიტიკას ეწინააღმდეგება, მაგრამ იაპონიასთან, სამხრეთ კორეასა და ფილიპინებთან ტერიტორიული კონფლიქტების გამო იძულებითი ნაბიჯია. შედეგად, როგორც ეროვნული კონგრესის წარმომადგენელმა ლი ჩჟაოსინმა განაცხადა, წელს ჩინეთი შეიარაღებაზე 91,4 მილიარდ დოლარს დახარჯავს.**



ლიმ ბრძანა, რომ დანახარჯები „შეიარაღების ღირსეული განვითარებისაკენ“ და პირადი შემადგენლობის გაწვრთნისაკენ მიიმართება და დასძინა, რომ ჩინეთის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობის გათვალისწინებით, ეს უმნიშვნელო ხარჯია და რომ ჩინეთი მეზობელი ქვეყნებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. „სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩინეთის დანახარჯები შეიარაღებაზე ბევრი არაა. დახარჯული ფულის ყველა ნაწილი ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისკენ იქნება მიმართული. ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან მეგობრობის შენარჩუნება“, — ამბობს ლი.

**წლევანდელი ზრდა შარშანდელ 7,5%-იანს აღემატება, მაგრამ 2000-იანი წლების დასაწყისის საშუალო წლიურ ზრდაზე — 19%-ზე ნაკლებია. თანხა არ ითვალისწინებს ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს, მაგალითად იარაღის ექსპორტს, მეხუთე თაობის გამანადგურებლების შექმნას და ასე შემდეგ. ამიტომ მრავალი საერთაშორისო სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი სინამდვილეში გაცილებით სოლიდური თანხაა.**

ჩინეთის მზარდი ეკონომიკა და სამხედრო ძლევამოსილება მეზობელ რეგიონებს საკუთარი შეიარაღებული ძალების მოდერნიზების სტიმულს აძლევს. ეს კი აზიას შეიარაღების ახალ შეჯიბრში ჩაბმისაკენ უბიძგებს, ზოგიერთ ქვეყნებს კი — აშშ-თან დაახლოებისკენ.

იაპონიამ წინა წლის სამხედრო ბიუჯეტს გადახედა და ჩინეთის მხრიდან საფრთხეზე ფოკუსირების შემდეგ ამ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე შეშფოთება გამოთქვა. **საგარეო საქმეთა მინისტრმა სეიჯი მაეჰარამ განაცხადა, რომ ჩინეთის ბიუჯეტი უზარმაზარია და ხელისუფლებას მოუწოდა, მისი განკარგვის კუთხით მეტად გამჭვირვალედ იმოქმედოს. „ეს თავდაცვითი შეიარაღება იქნება თუ თავდასხმითი? ეს საკითხი სერიოზულ განხილვას მოითხოვს“, — განაცხადა მან.**

ჩინეთის სამხედრო ძლიერების ზრდით შეშფოთება გამოთქვა იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა იუკიო ედანომაც. მისი თქმით, იაპონია დაჟინებით დააკვირდება ამ პროცესს. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი მთელ ამ განცხადებებზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა.

აზიის ორი ეკონომიკური გიგანტის ურთიერთობა გასული წლის სექტემბრიდან მკვეთრად გაუარესდა. ყველაფერი ჩინეთის თევზმჭერი გემისა და იაპონიის საპატრულო გემების შეტაკებით დაიწყო. ამ და კიდევ რამდენიმე ტერიტორიულ კონფლიქტთან მიმართებაში ჩინეთის დამოკიდებულება რამდენიმე ქვეყანას სერიოზულად ადარდებს. **ორიოდე დღის წინათ ფილიპინელებმა ორი სამხედრო თვითმფრინავი გაგზავნეს სამხრეთ ჩინეთის ზღვის სადავო წყლებში, სადაც ფილიპინელი ნავთობმომპოვებლები ჩინეთის საპატრულო გემების თავდასხმებზე ჩიოდნენ. გარდა ამისა, ფილიპინების მთავრობამ ახსნა-განმარტება მოითხოვა კუნძულ სპრატლისთან მომხდარი ინციდენტის გამო. ამ კუნძულზე ერთდროულად ექვსი სახელმწიფო — ვიეტნამი, ჩინეთი, ტაივანი, მალაიზია, ფილიპინები და ბრუნეა დავობს.**

პარალელურად სამხრეთ კორეის სასაზღვრო ჯარებმა განაცხადეს, რომ დააკავეს ჩინეთის ორი თევზსაჭერი გემი და მათი ეკიპაჟები, როდესაც ისინი უკანონოდ იჭერდნენ თევზს სამხრეთკორეულ ეკონომიკურ ზონაში. ამ ინცინდენტის დროს სამხრეთკორეელი პოლიციელი ჩინელი მეთევზის იარაღით დაიჭრა. ჩინეთის საგარაო საქმეთა სამინისტრომ კი ამ ყველაფერსაც აბსოლუტური დუმილით უპასუხა.

*The Wall Street Journal*

# დემოკრატია ამერიკული აქცენტით

**ჩვენი „ცივილიზებული ღირებულებების“ სახელით ომმა პირველად მიიღო წერილობითი სახე ზოგიერთი იმ ფრანგისა და ბელგიელის ძეგლზე, რომლებიც პირველ მსოფლიო ომს შეეწირნენ. იმ დროიდან ეს „ცივილიზებული ღირებულებები“ ჩვეულებრივი რიტმით ვითარდებოდა და აშშ-ის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებული ომის დროს აპოთეოზს მიაღწია.**

**ამ ყველაფერთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ბრიტანული „The Independent“-ის ჟურნალისტის, რობერტ ფისკის წიგნი სახელწოდებით „დიდი ომი ცივილიზაციისთვის“.**

**სწორედ მისთვის საკადრისის მიზღვის მიზნით, ქვეყნდება ეს მოკლე მიმართვა ყველა გაბედული ადამიანისადმი.**



დღეს ჩვენი დემოკრატიები აღარ შემოიფარგლებიან „ველურებს შორის საგანმანათლებლო მისიით“, რაც XIX საუკუნის ყველა კოლონიალური საწარმოს ძირითადი ლოზუნგის ფუნქციას ასრულებდა და დაუსრულებლად ღაღადებდა გაცილებით კეთილშობილურ, მასშტაბურ და დიად ამოცანაზე: მოუტანონ მსოფლიოს „კეთილი ცნობა“ ჩვენი ცივილიზებული ღირებულებების და, პირველ რიგში, „დემოკრატიის“ თავზე მოხვევით (ნელნელა, ხელსაყრელ მომენტებში, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, იარაღის ძალითაც).

**ამ გიგანტური ისტორიული ამოცანის განხორციელების საქმეში მთავარი მამოძრავებელი ძალა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, „ბებერი“ ევროპისგან ესტაფეტის მიმღები ამერიკის შეერთებული შტატებია.**

**ნებისმიერი მსხვერპლი, ნებისმიერი ტკივილი და ტანჯვა არაფერია ბნელსა და უკუნთან — წარსულში ნაციზმისა და კომუნიზმის, დღეს კი რადიკალური ისლამიზმის სამოსში გახვეული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან შედარებით. საბედნიეროდ, ჩვენი „მოციქულებისთვის“ ამგვარ ისლამიზმს ნამდვილ ისლამთან არაფერი ან თითქმის არაფერი აქვს საერთო.**

იცით, რომ ამ ყოვლისმომცველი ბოროტების განსხეულებასთან — ტერორიზმთან ბრძოლაში გამარჯვება არასდროს იქნება სრულყოფილი, მიუხედავად საამისოდ დახარჯული ძალისა? საქმე ისაა, რომ **ჩვენს დემოკრატიებს ერთი არაჩვეულებრივი თავისებურება ახასიათებთ** (რაც ერთდროულად მათი ძლიერებაცაა და სისუსტეც): **ბოროტებასთან გულისამრევად ახლოს ცხოვრების პირობებში მათ მის ზოგიერთ წარმომადგენელთან ჩუმჩუმად მოლაპარაკება ისწავლეს, რათა შედეგს მინიმალური დანახარჯებით მიაღწიონ.** თუ ზღვარს გადავლენ, ამგვარი „მოკავშირეების“ გაკრიტიკებასაც არ მოერიდებიან და ეს ადრეც არაერთხელ გაუკეთებიათ.

თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ სადამ ჰუსეინი სულ ცოტა ხნის წინათ ყველას მშვენივრად აწყობდა და ვაწვდიდით კიდეც ყველაფერს საამისოდ, რომ ირანის ჰომეინის რეჟიმის მხრიდან აშშ-ის შეურაცხოფისთვის შური ეძია.

**არც ამერიკული სპეცსამსახურების (ცსს) მიერ დაქირავებული და მომზადებული ისლამისტები დაგვივიწყებია, დიდ სამსახურს რომ გვიწევდნენ ავღანეთიდან „საბჭოთა დამპყრობლების“ განდევნის საქმეში.**

წმიდა წერილში წერია, რომ სიკეთეს ისევე ესაჭიროება ბოროტება, როგორც ღმერთს — ეშმაკი, რათა თავისი ძლევამოსილებისა და მიზიდულობის დემონსტრირება მოახდინოს.

ბედნიერება ტკივილში იბადება, მშვიდობის სიხარულს ომის საშინელებები უსწრებს წინ.

იყავით ფხიზლად და მუდამ თან გქონდეთ იარაღი, რომ არაკეთილმოსურნეებს საკადრისი პასუხი გასცეთ და ამავე დროს კანონიერ თავდაცვას ახორციელებდეთ, ეს ნებისმიერი ნამდვილი დემოკრატიის გარანტია.

გამოიყენეთ თქვენი მტრების წინააღმდეგ ძალა გონებით ხელმძღვანელობისას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეეცდებით, დაარწმუნოთ ისინი, დათმობაზე წამოვიდნენ თქვენი გონივრული მოთხოვნების სასარგებლოდ. თუ ჯიუტობენ, უარს ამბობენ თქვენი ინსტრუქციების გათვალისწინება-დაცვაზე, უყოყმანოდ მოიყვანეთ გონს ბომბებისა და საბრძოლო ჭურვების საშუალებით.

**დღეს აშშ-ში გვაქვს იმ იარაღის უზარმაზარი არსენალი, რომელიც უბრალო პაციფისტებს აკანკალებს. ნუ შეეხებით მათ, დაე მშვიდად მოიქავონ ენები და მოაწყონ მიტინგები, ვიდრე ხელს არ შეგვიშლიან პოლიტიკური დეზინფექციის სამუშაოების ჩატარებაში.**

**ავღანეთის რეკონსტრუქცია ჩვენი საწარმოებისთვის ოქროს ძარღვად იქცევა. შეიარაღების მარაგების განახლება ასევე დიდ მოგებას მოუტანს ჩვენს ქარხნებს.**

იცოდეთ, რომ ჩვენი დემოკრატიები სამყაროს აღსასრულამდე მყარად იდგებიან, თუნდაც 11 სექტემბრის მსგავსმა ბოროტებამ ჩვენი, როგორც აშშ-ის მოქალაქის სიამაყე შელახოს, ამერიკული დემოკრატია შეძლებს ჩვენი ტკივილის გადალახვას და გარდაუვალ სასჯელს მოუვლენს არა მხოლოდ „დამნაშავეებს“, არამედ მათ მოკავშირეებსაც.

თუნდაც მილიონობით ტონა ჩვენმა ბომბმა დათესოს სიკვდილი ავღანელ ხალხსა და თალიბების რიგებში, რომლებთანაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მჭიდრო და სერიოზული ურთიერთობა გვქონდა. დაგვეხმარნენ რა ქვეყნიდან „კომუნისტების“ განდევნაში, შემდეგ სერიოზული დახმარება გაგვიწიეს ჩეჩნეთში დესტაბილიზაციის შექმნის საქმეშიც.

მიუხედავად ამისა, ბოლო დროს, როდესაც ვთხოვდით, მშვიდად ყოფილიყვნენ, წესიერად მოქცეულიყვნენ და თავი დაენებებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შოკირებისთვის ისეთი რადიკალური ნაბიჯებით, როგორიც ბუდასა და სხვა არამუსლიმანი ღვთაებების უძველესი ქანდაკებების განადგურება იყო, ბუზღუნი დაიწყეს. უფრო მეტიც, მათ უდიდესი შეურაცხყოფა მოგვაყენეს, როდესაც უარი გვითხრეს ბენ ლადენის გადმოცემაზე.

**ჩვენ ათი ათასობით უდანაშაულოს დავტირით. ისინი შემთხვევით მოხვდნენ ჩვენი დარტყმის ქვეშ, მაგრამ, როგორც ანდაზაშია ნათქვამი, „თუ კვერცხებს არ დაამტვრევ, ომლეტს ვერ მოამზადებ“. წარსულში უიმედოდ ჩარჩენილი ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ ჩვენ მწარედ ვცდებით და თავხედ მატყუარებად მოგვიხსენიებენ.**

**იცოდეთ, რომ მშვენივრად ვაცნობიერებთ მსოფლიოსა და ადამიანის ბუნების არასრულყოფილებას, ადამიანობა კი განუყოფელ კავშირშია განდიდებისა და კეთილშობილებისკენ სწრაფვასთან, რისი ცოცხალი მაგალითიც ამერიკის შეერთებული შტატებია.**

როდესაც მართლმსაჯულება აღსრულდება, ჩვენ „ხანგრძლივი თავისუფლების“ ჭრილობებს მოვიშუშებთ. **ავღანეთის რეკონსტრუქცია ჩვენი საწარმოებისთვის ოქროს ძარღვად იქცევა. შეიარაღების მარაგების განახლება ასევე დიდ მოგებას მოუტანს ჩვენს ქარხნებს.** დემოკრატია და ამერიკის ინტერესები აბსოლუტურ ჰარმონიაში ცხოვრობენ და მოქმედებენ.

ყველა თქვენგანმა, ვისაც ასე სწყურია მართლმსაჯულება, იცოდეს, რომ **დემოკრატია ამერიკული სოუსით შეტევაზე მოდის და ამ სასტიკ შეტევას,** რომელსაც ჩვენთვის ბედნიერება მოაქვს და რომლის ნამცეცებს „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ კაპიტალიზმის ყველა სიკეთის მოლოდინში გათანგულ ხალხებსაც უწილადებენ, **ვერაფერი შეაჩერებს.**

*Mediapart*

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## კადაფი და ჩავესი შეთანხმდნენ

ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ და ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა სამშვიდობო მისიის „არაბული სახელმწიფოების ლიგის" დაფუძნების შესაძლებლობა განიხილეს. ლიგა ლიბიაში კადაფის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მოლაპარაკებებში შუამავლის როლს შეასრულებს. ლიბიის ლიდერი ჩავესის წინადადებას უკვე დათანხმდა. სპეციალური კომისიის შექმნის წინადადება ვენესუელამ ლათინური ამერიკის ბოლივიური ალიანსის წევრებთან ერთად წამოაყენა.

# ბიოტერორიზმი: დაუნდობელი მტერი და მკვლელი ჩვენ შორის

**ქოლერის გლობალური ეპიდემიის საშიშროებაზე ბოლო დროს ხშირად ისმის გაფრთხილებები, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს იმავე რეგიონიდან მომავალ ბიოლოგიურ საფრთხეზე, რაც მექსიკის ყურეში „ხელნაკეთმა" ნავთობის კატასტროფამ განაპირობა და რასაც ტრანსნაციონალური კორპორაციების კონტროლს დაქვემდებარებული მასმედიის საშუალებები მთელი ძალით მალავენ მსოფლიო საზოგადოებისთვის.**



ისინი, ვინც მექსიკის ყურის სანაპიროებთან ცხოვრობენ, ყოველთვის ახერხებდნენ „ჩარლისა" და „კატრინას" მსგავსი ქარიშხლებისგან თავის დაღწევას. მათ იციან, როგორ გადარჩნენ, მაგრამ ეს უხილავი ქარიშხალია, დაუნდობლად რომ გვიტევს და ვერსად დაემალები. მექსიკის ყურის სანაპიროებზე მცხოვრებმა ქარიშხლებთან ბრძოლებში გამოწრთობილმა ადამიანებმაც კი არ იციან, როგორ უნდა აღუდგნენ წინ გენური ინჟინერიის ბიოლოგიურ ტერორს.

2010 წლის 20 აპრილიდან, კატასტროფის დაწყებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ობამამ განაცხადა, რომ არც „BP" (ბრიტიშ პეტროლიუმი) და არც რომელიმე სხვა ჯგუფი არაფერს გააკეთებდა მის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად. სავარაუდოდ, წინასწარ შეთანხმებას ამის თაობაზე მიაღწიეს 2010 წლის 13 თებერვალს, როდესაც თეთრ სახლში ობამასა და „BP"-ს შორის მოლაპარაკებები გაიმართა. „შემთხვევით" სწორედ იმ დღეს ამერიკის მთავრობამ „BP"-ს „მისისიპი კანიონი 252"-ის ბურღის ლიკვიდაციის ნებართვა მისცეს.

„ყურეში ომი" საუკუნეების მანძილზე გაგრძელდება, რადგან ის მთელ ბიოსფეროს შეეხება. ის შიგნიდან დაანგრევს და გაანადგურებს ჩვენს ოჯახებს, მეგობრებს, მეზობლებს... იმიტომ, რომ ეს გენეტიკური ომია და მიზანმიმართულად შეკოწიწებული ბიოლოგიური ომი მალე მთელ მსოფლიოს მოედება, იმიტომ, რომ ჰორიზონტალურად გადატანადი სინთეტიკური გენები უხმოდ ვრცელდება წყალსა და ჰაერში. მან უკვე იჩინა თავი თევზებში, ფრინველებში, ძუძუმწოვრებში და ადამიანებშიც კი.

**მექსიკის ყურის სანაპიროებზე მცხოვრებთათვის, რაც იქ ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ოფიციალურად დაკანონებული ბიოტერორიზმი. მექსიკის ყურის ლურჯი ჭირი სანქცირებული ბიოლოგიური ტერორიზმია.**

მტერი ისაა, ვინც მექსიკის ყურეში ნავთობისგან გაწმენდის მიზნით სინთეტიკური გენომიკის გამოყენების ბრძანება გასცა და ხელისუფლების ის წარმომადგენლებიც, რომლებმაც ქრთამის სანაცვლოდ წინასწარი განზრახვით დაუშვეს ეს ყოველივე და წინასწარგანზრახულადვე მოატყუა საზოგადოება მექსიკის ყურის ზღვის პროდუქტების, ჰაერის, წყლისა და პლაჟების უსაფრთხოების შესახებ.

დედამიწის ბიოლოგიური ეკოსისტემა, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, ამ წუთშიც მიზანმიმართულად იცვლება. რამდენიმე დღის წინათ ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტი მეცნიერი რიკი ოტი საქვეყნოდ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ **მექსიკის ყურეში გენეტიკურად კონსტრუირებული ბაქტერიები გამოიყენება.** ორი კვირით ადრე კი ევროპელმა პროფესორმა მაქსიმო სანდინიმ დაადასტურა, რომ **ამ სინთეტიკური გენების ჰორიზონტალური გავრცელება მექსიკის ყურეში „შეუქცევად ბიოლოგიურ ინფიცირებას" განაპირობებს.**

დოქტორი ოტი მანამდეც წერდა: **„ყურეში ბინადრობენ ბუნებრივი ბაქტერიები, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ზოგიერთმა მეცნიერმა გადაწყვიტა, შეემოწმებინა, ხომ არ შეიძლებოდა ამ ბაქტერიების გენის ისე გადაკეთება, რომ მათ უკეთ შთანთქან ნავთობი. ასე რომ, ახლა იქ ბიოინჟინერთა ნახელავი ბაქტერიები ნავთობს ნთქავენ, მაგრამ ვინმემ იცის, რას უზამს ეს ბაქტერიები ადამიანებს? სამედიცინო საზოგადოებიდან ზოგიერთმა სპეციალისტმა გაარკვია, რომ ამ ნავთობჭამია ბაქტერიებს მეტიცილინრეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკის გამოწვევა შეუძლია".**

ახლა მექსიკის ყურეში გავრცელებულია ახალი სახეობის ბუნებრივ ნავთობ და გაზის ბაქტერიებთან ძალზე ახლოს მდგომი ბაქტერიები. მათი სამი სახეობა დაყოფადი ნახშირწყალბადებია, მეოთხე კი ანაერობულია და ნთქავს გაზს, განსაკუთრებით მეთანს. ყველა მათგანი სახეობაშეცვლილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ბაქტერიაა. ისინი ანტიბიოტიკებისადმი მდგრად „ბიოაპკად" ერთიანდებიან და სახლდებიან როგორც ადამიანის ორგანიზმში, ასევე მის ზედაპირზე. **სწორედ ისინი, მოდიფიცირებული დნმ-ის მქონე ბაქტერიები, არიან ახალი და უცნობი დაავადებების საწყისები და მიზეზები, დაავადებებისა, რომლებზეც ანტიბიოტიკები ვერ მოქმედებს.**

**„ბოლო დროს დნმ-ის თანმიმდევრულობის განსაზღვრის გაიაფებამ შესაძლებელი გახადა იმ მიკრობების აღმოჩენა, რომელთაც ნავთობის დაშლის უნარი ახასიათებთ. შემუშავდა კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც მეცნიერებს გენის ნუკლეოტიდურ თანმიმდევრობაში ნავთობის კომპონენტების დამშლელ ენზიმებთან დაკავშირებული მეტაგენების ზონდირების საშუალებას მისცემდა. ვინაიდან მიკრობებს გამრავლების დიდი უნარი აქვთ და მხოლოდ ერთმაგ დნმ-ს შეიცავენ, მუტაციები და გენების გადაცემის მოვლენა, რაც მათ შესაძლებლობებს აუმჯობესებს, დაუყოვნებლივ ეფექტს იძლევა.**

ამ ბაქტერიებს ნავთობის დაშლის უნარი და ამ უნარის განვითარების საშუალება აქვთ. ამ უნარის განვითარების ერთ-ერთი უსწრაფესი საშუალება გენების ჰორიზონტალური გავრცელებაა. ეს არის მექანიზმი, რომლის დროსაც მიკრობები ერთმანეთს გენებს უზიარებენ, რის შედეგადაც ნავთობის დამშლელი გენეტიკური ინსტრუქციის მიკრობები ამ გენების ასლს გადასცემს სხვა სახეობის მიკრობებს, რომელთაც მანამდე ნავთობის დაშლა არ შეეძლოთ. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ზუსტადაა განსაზღვრული, ნავთობის ჩაღვრის შემდეგ მისი გავრცელების დონე უცნობია" (მიკრობიოლოგიის ამერიკული აკადემია, ამერიკის მიკრობიოლოგთა საზოგადოება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი. http://www.asm.org).

მათ, ვინც ეს გააკეთა, თავისი ქმედებით ყოველ ჩვენგანს ომი გამოუცხადა. დაარქვით რაც გნებავთ, მაგრამ **ეს სანქცირებული ტერორიზმია, რომელიც ყველას შეეხება — ჩვენს ოჯახებსაც, მეგობრებსაც, მეზობლებსაც...** თუ ვინმეს სურს, რომ მექსიკის ყურეში ჩაღვრილ ნავთობთან და გაზთან ერთად ადამიანებიც გაქრნენ, უკეთესი ფორმულის მოფიქრება შეუძლებელია.

*perevodika.ru*



**ეს სანქცირებული ტერორიზმია, ის ყველას შეეხება — ჩვენს ოჯახებსაც, მეგობრებსაც, მეზობლებსაც...**

# ვაშინგტონი მოკავშირეებს კარგავს

**აშშ-მა, შესაძლოა, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში პირველობა ჩინეთს დაუთმოს. როგორც „Associated Press"-ი იტყობინებოდა, ასეთი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურმა ჰილარი კლინტონმა სენატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტში გამოსვლისას გააკეთა.**

გამოსვლაში სახელმწიფო მდივანმა გააკრიტიკა რესპუბლიკური პარტიის სენატორთა მცდელობა, შეემცირებინათ სხვა ქვეყნების დახმარების პროგრამების დანახარჯები. კლინტონის თქმით, ამან, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს აშშ-ის ავტორიტეტზე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. **„ჩვენ გავლენისთვის ჩინეთთან გვაქვს კონკურენცია. მოდი გვერდზე გადავდოთ ჩვენი პოლიტიკის ჰუმანიტარული და კეთილმეზობლური მხარეები და, უბრალოდ, განვიხილოთ რეალური პოლიტიკა. ჩვენ ჩინეთს ვეჯიბრებით",** — განმარტა კლინტონმა.

აშშ-ის მიერ სხვა ქვეყნების დასახმარებლად გამოყოფილი სახსრების დიდ ნაწილს სწორედ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები იღებენ. კერძოდ, პროგრამაში გათვალისწინებულია 21 მილიონის გამოყოფა კუნძულ-სახელმწიფოებისთვის, რომლებიც მსოფლიო ოკეანის დონის აწევის გამო ზარალდებიან.

კლინტონის აზრით, ამ დანახარჯების შემცირებით ვაშინგტონი რეგიონში მოკავშირეებს დაკარგავს. **„წყნარ ოკეანეში ჩვენ ბევრი მხარდამჭერი გვყავს. ამ პატარა ქვეყნებიდან ბევრმა გაეროში ჩვენთან ერთად მისცა ხმა. ისინი არიან ერთგული მოკავშირეები, რომლებიც ჩვენს ღირებულებებს იზიარებენ",** — განაცხადა სახელმწიფო მდივანმა და დასძინა: **„თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ პუნქტების მიხედვით ჩვენს უკან დახევას მსოფლიოში ჩვენი ლიდერობის (რაშიც ჩინეთსა და ირანს ვეჯიბრებით) მხარდაჭერისთვის მნიშვნელობა არ ექნება, ცდება".**

სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურმა ბრძანა, რომ **ვიდრე სენატი წყნარი ოკეანის სახელმწიფოებისთვის დახმარებაზე ეკონომიით საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებას ცდილობს, პეკინი აქტიურად ცდილობს ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა კეთილგანწყობის მოპოვებას.**

ჩინეთის გავლენის განუხრელი ზრდის შესახებ გასული წლის შემოდგომაზე აშშ-ის კონგრესის ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში ამერიკულ-ჩინური ურთიერთობების კომისიის წევრებმა მას შემდეგ განაცხადეს, რაც პეკინის სამხედრო პოტენციალი შეისწავლეს. ბოლო წლების მანძილზე ჩინეთის სამხედრო ძალები მნიშვნელოვნად იქნა მოდერნიზირებული. კერძოდ, მკვეთრად გაიზარდა მის მფლობელობაში არსებული ფრთიანი და ბალისტიკური რაკეტების რაოდენობა. კომისიის დასკვნების თანახმად, **აშშ-თან ან ამერიკის მოკავშირეებთან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია გაანადგურებს ან სრულად გამოიყვანს მწყობრიდან რეგიონში განლაგებული ექვსი ავიაბაზიდან ხუთს.**

ჯერჯერობით მოვლენათა ამგვარი განვითარება ნაკლებსავარაუდოა. როგორც იანვრის ბოლოს აშშ-ში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ჩინეთის ხელმძღვანელმა ხუ ცზინტაომ განაცხადა, მისი ქვეყანა ცალსახად მშვიდობიანი სახელმწიფოა. მისი თქმით, ვაშინგტონი და პეკინი თუ ერთმანეთის ინტერესებს პატივისცემით მოეკიდებიან, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას შეძლებენ.

*utro.ru*



**ჰილარი კლინტონი: ჩვენ ჩინეთს ვეჯიბრებით**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




# ნაგვის სასტუმრო

**მადრიდში ნაგვისგან სასტუმრო ააშენეს. ამ იდეის ავტორი გერმანელი ხელოვანი ჰაშულცია.** სასტუმროს ასაშენებლად ევროპის სხვადასხვა პლაჟზე მოგროვილი 12 ტონა ნაგავი დაიხარჯა. სასტუმროს 5 ოთახი აქვს. პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორის — როუს პიქუერას განცხადებით, ნაგვის სასტუმროს აშენებით ადამიანებს ნათლად დაანახებენ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს პლაჟების დაბინძურებას.



# ცინგი-დე-ბამარაჰის ქვის ტყე

**მადაგასკარზე არის ერთი საოცარი ადგილი — ქვის ტყე. ის უზარმაზარ ბუნებრივ ნაკრძალში ცინგ-დე-ბამარაჰში მდებარეობს. უნიკალური ხის ტყე ნაკრძალს იცავს. ტყე შედარებით რბილი ქვების ეროზიების შედეგად ჩამოყალიბდა.**

ეს ნამდვილი სამოთხეა, როგორც მთელი რიგი ველური ცხოველებისთვის, ასევე კლდეებზე ცოცვის მოყვარულთათვის. ტყეში ასობით სხვადასხვა სირთულის მარშრუტია. ყოველწლიურად მას ველური ბუნების ეგზოტიკური სილამაზის მოყვარული უამრავი ტურისტი სტუმრობს. ცინგი ადგილობრივი ენიდან თარგმანში ცერებზე სიარულს ნიშნავს. 1990 წლიდან ეს უნიკალური ადგილი იუნესკოს მსოფლიო საგანძურშია შეტანილი. თავად ნაკრძალი 1927 წელს შეიქმნა. მისი საერთო ფართობი 152 ათას ჰექტარს შეადგენს. სწორედ აქ ჰპოვეს თავშესაფარი უიშვიათესმა და გადაშენების გზაზე მდგარმა ლემურებმა და ჩიტებმა, რომლებიც მდინარისა და მომცრო ტბის ხელუხლებელ სანაპიროებზე თავს მშვენივრად გრძნობენ.







# მსოფლიოს ყველაზე ვიწრო შენობები

დედამიწაზე ყველაზე ვიწრო შენობად პარიზში მდებარე ჰოსმენის შენობა ითვლება.

**მეორე** ადგილზე ესპანეთის ტარაგონის ბლოკია,

**მესამეზე** კი ლათინოამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში მდებარე 15-სართულიანი შენობაა, რომლის სიგანე 2,5 მეტრს არ აღემატება. ამ შენობაში ლიფტიც კი არაა.

**მეოთხე** პოზიციაზე იაპონიაში, კიოტოში მდებარე ვიწრო ნაგებობაა, მასში ფართის დაქირავება ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე ქალაქის ნებისმიერ სხვა შენობაში.

**მეხუთე** ადგილზეა ნიუ იორკში ახლადაშენებული სახლი,

**მეექვსეზე** — სამხრეთ კორეის კერძო ოროთახიანი სახლი,

**მეშვიდე** ადგილის მფლობელ შენობას კი სამხრეთ კენსინგტონში ლიფტი გარედან მიადგეს.





















## მსოფლიოს ყველაზე უჩვეულოდ ნაგები ტაძრები



ბალტიმორის შტატში მდებარე ეს უცნაური ნაგებობა ახლა მოქმედი ბაპტისტური ეკლესიაა. თავიდან კი ამ შენობაში ჩინურ-ამერიკული ძალზე სახელგანთქმული რესტორანი „დეტროიტი" ფუნქციონირებდა.



ბრაზილიის კათედრალი ბრაზილიაში, აგებულია 1970 წელს.

ქრონოგრაფი
ისტორიული და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ყველაზე მსუქანი მოზარდი

**თინეიჯერებს თუ ჰკითხავ, რაზე ოცნებობენ და რისი მიღწევა სურთ, უმეტესობა, ალბათ, იტყვის, რომ სიმდიდრე, მსახიობობა, მომღერლობა ან, უბრალოდ, პოპულარობა სურს. მაგრამ ბრიტანელ მოზარდს — ჯორჯია დევისს ეს არ ეხება. მისი ერთადერთი ოცნებაა, იყოს ნორმალური, სხვების მსგავსად ჯანმრთელი და ბედნიერი.**








**17 წლის ასაკში გოგონა უკვე 254 კილოგრამზე მეტს იწონის, რამაც იგი ბრიტანეთის ყველაზე მსუქან მოზარდად აქცია.** ეს კი, ცხადია, ჯანმრთელობის გაუარესებასაც იწვევს – ჯორჯიას გამუდმებით აწუხებს მუხლებისა და ზურგის ტკივილი. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მცირეოდენი მანძილის გავლის შემდეგაც კი სუნთქვა უჩქარდება და აქოშინებული ჩერდება.

**დევისმა ყველაზე მსუქანი მოზარდის სტატუსი 2 წლის წინაც მოიპოვა, მაგრამ მაშინ 45 კგ-ით ნაკლებს იწონიდა. მას აშშ-ის სპეციალურ ბანაკში გამგზავრება და იქ წონის დაკლება შესთავაზეს. მართლაც, ცხრათვიანი რეჟიმის შედეგად 95 კილოგრამი დაიკლო. მაგრამ გავიდა დრო და არამარტო დაკლებულ წონას, არამედ დაკლებამდელ მაჩვენებელსაც გადააჭარბა.**

ჯორჯია სამხრეთ უელსის ქალაქ აბერდარში ცხოვრობს დედასთან და 73 წლის მამინაცვალ არტურთან ერთად. ტანსაცმლის შოვნა ჭარბწონიანთა სპეციალურ მაღაზიებშიც კი უჭირს. ჯორჯია თავის სიმსუქნეზე ასეთ კომენტარს აკეთებს: **„ყოველთვის მესმოდა, რომ ჩემი წონა ჩემი საქმეა, ჩემი პასუხისმგებლობა. იმაში, რაც მოხდა, არასოდეს არავის დავადანაშაულებ, გარდა საკუთარი თავისა".** თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისი 55 წლის დედაც ჭარბწონიანობისკენაა მიდრეკილი, ცხადია, რომ მომხდარში „დამნაშავე" მხოლოდ გულუბრყვილო მოზარდის დაუდევრობა ვერ იქნება. ქალბატონი ლესლი 108 კილოგრამს იწონის და ჭარბი წონით გამოწვეული პრობლემების გამო რამდენიმე წინა კბილი დაკარგა. სავარაუდოდ, შვილის ჯანმრთელ კვებასაც დიდ ყურადღებას არ აქცევდა.

ჯორჯია ღამით ერთმანეთთან შეტყუპებულ ორ საწოლზე იძინებს. სიმსუქნისა და ავადმყოფობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ჭარბი რაოდენობით ტკბილეულისა და ფასტფუდის ობიექტებში ხშირი კვებაა. დედის თქმით, გოგონამ მომატება 5 წლისამ დაიწყო, მას შემდეგ, რაც 38 წლის მამა გარდაეცვალა.

**„იმ პერიოდში ჭამა ჩემთვის ერთადერთი სიამოვნება იყო, ეს კომფორტის შეგრძნებას მიქმნიდა. როცა ვჭამდი, უფრო ნაკლებად უბედური ვიყავი",** — ამბობს ჯორჯია. შედეგად, 10 წლის ასაკში გოგონა 76 კგ-ს იწონიდა.

სპეცბანაკიდან დაბრუნებულმა ჯორჯიამ გაიგო, რომ მამინაცვალს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და ბანაკში დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ძირითად დროს ოთახში ჩაკეტილი ატარებდა და ჭამდა: **„ვფიქრობდი, რომ თევზითა და ჩიპსებით არ მოვიმატებდი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა".** ზაფხულის ბოლოს გოგონამ ისევ მოიმატა 20 კილოგრამამდე. გასული წლის ოქტომბერში მისმა წონამ ბანაკში წასვლამდელ მაჩვენებელს გადააჭარბა.

აპრილში იგი 18-ის ხდება. ამ ასაკში მისი ტოლები მომავლის დაგეგმვას იწყებენ, მაგრამ ჯორჯიას მომავალზე ფიქრი არ შეუძლია. მისი ერთადერთი სურვილია გახდომა, უფრო მცირე ზომის ტანისამოსის ჩაცმა და ქუჩაში თავისუფლად, დამოუკიდებლად სიარული.

## მოგზაურობა ჯოჯოხეთში

**ეთიოპიაში მდებარე დანაკილის უდაბნო ერთ-ერთი ყველაზე არასტუმართმოყვარე ადგილია მთელ დედამიწაზე. აქ ლანდშაფტი იმდენად უჩვეულოა, თავი სხვა პლანეტაზე გეგონებათ.** უდაბნოში უამრავი ვულკანი, გოგირდოვანი ტბა, დიდი რაოდენობით ტოქსიკური გაზი და აუტანელი სიცხეა. სწორედ ამ საშინელი პირობების გამო დაერქვა უდაბნოს სახელად „ნამდვილი ჯოჯოხეთი დედამიწაზე".





# გოგონა-მგელი

**მსოფლიოში ყველაზე თმიანი გოგონა სკოლაში განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა. მისი მეტსახელებია გოგონა-მგელი და მაიმუნისსახიანი. 11 წლის ტაილანდელი სუპატრა სასუპანისთვის სკოლაში არაერთხელ დაუცინიათ შეუბრალებელ თანაკლასელებს, თუმცა, მისი აზრით, ამ ყველაფერს დადებითი მხარეც აქვს — ის გინესის რეკორდების წიგნში შევიდა და პოპულარული გახდა, რითაც ამაყობს. „ძალიან ბედნიერი ვარ, გინესის წიგნში რომ დავიმკვიდრე ადგილი. სხვა ადამიანებს ამისთვის ბევრი წვალება უწევთ. ჩემს შემთხვევაში კი სულ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა იყო საჭირო", — ამბობს გოგონა-მგელი.**



სუპატრას იშვიათი დაავადება – ამბრასის სინდრომი სჭირს. დღესდღეობით მსოფლიოში ამ დარღვევის მქონე 50-მდე ადამიანია ცნობილი. მისი მიზეზი არასრულყოფილი ქრომოსომებია და შუა საუკუნეებიდანვე იყო ცნობილი. სანამ მას გამოიკვლევდნენ და შეისწავლიდნენ, **ამბრასის სინდრომით დაავადებულებს „მაქციებს" ეძახდნენ და ბოროტი სულების ჩარევად ან ღმერთის სასჯელად მიიჩნევდნენ.**

**გოგონას სახე, ყურები, მკლავები, ფეხები და ზურგი სქელი ხშირი თმითაა დაფარული. ლაზერული ჩარევაც კი უშედეგო აღმოჩნდა და თმამ ისევ დაიწყო ამოსვლა.** იმის მიუხედავად, რომ ასეთი ადამიანები უმეტესად გარიყულები არიან, სუპატრას ნათესავები და მეგობრები მხარში ამოუდგნენ და ის თითქმის ისე ცხოვრობს, როგორც ჩვეულებრივი ბავშვი: **„ადრე იყო რამდენიმე ადამიანი, რომელიც დამცინოდა და მეძახდა მაიმუნისსახიანს, მაგრამ შემდეგ შეწყვიტეს. ამ მდგომარეობას შეჩვეული ვარ. თმას ველარც ვგრძნობ, რადგან ყოველთვის ასე ვიყავი. თუმცა ზოგჯერ ცუდი შეგრძნება მეუფლება, როცა ვხედავ, როგორ იზრდება. იმედი მაქვს, ერთ დღესაც შეძლებენ ჩემს განკურნებას".**



სხვა მხრივ სუპატრა თანატოლების მსგავსია – უყვარს ცურვა, ცეკვა, მუსიკის მოსმენა და მეგობრებთან თამაში. ყველაზე მეტად კი ოჯახთან ერთად ტელევიზორში მულტფილმების ყურება მოსწონს. მომავალში სურს, ექიმი გახდეს და ადამიანებს განკურნებაში დაეხმაროს.

**გოგონას იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან მისი დახმარება შესაძლებელი იქნება, თუმცა მომავალი არც ისეთი იმედისმომცემი ჩანს.** დაბადებისას მას ორი ოპერაციის გადატანა მოუწია, რათა ნორმალურად სუნთქვა შეძლებოდა.

თავიდან ვინც სუპატრას ნახავდა, მის მშობლებს ეკითხებოდა, რა ცოდვა ჰქონდათ ასეთი, მაგრამ მალე გოგონა წამოიზარდა და მისმა კეთილშობილმა ხასიათმა ყველა დადებითად განაწყო მის მიმართ. ის ისე იქცევა, როგორც მისი ასაკის ნებისმიერი გოგონა და უამრავი მეგობარიც ჰყავს.

# მეამაყები, ჩემო დაიკო!

## თამილა ლასხიშვილი იუბილარია

**ბავშვობა ერთნაირი გვქონდა, მაგრამ ცხოვრების გრძელი გზა, რომელიც ერთად გავიარეთ, მისთვის საკმაოდ ადრე დამძიმდა.**



იმ დროს, როცა ქალბატონი თამილა შემოქმედებით ზენიტში იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ცხოვრების მეგზური, პარტნიორი, 6 წლის ტატოს მამა, ყველასთვის საპატივცემულო პიროვნება, ერუდირებული იურისტი, ნიჭიერი არტისტი გიორგი ლასხიშვილი.

ოჯახის უბედურებამ მკვეთრად შეცვალა ცხოვრების არსი.

მთავარი და უპირველესი საზრუნავი უმამოდ დარჩენილი ვაჟის ქართული სულისკვეთებით აღზრდა და მისთვის სრულყოფილი განათლების მიცემა იყო.

დედა-შვილს არც თუ იოლი გზის გავლა მოუხდა... მაგრამ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ თამილა იყო ოჯახის დედაბოძი, რომელიც უჩუმრად ატარებდა უფლისგან დაკისრებულ ჯვარს.

ოჯახი ცხოვრობდა ყველა იმ წეს-ჩვეულებით, რითაც თავი მოგვწონს ქართველებს.

მთელი ხიბლიც სწორედ ისაა, რომ ის ამას ახერხებდა. გავიდა წლები.

ტატომ დაამთავრა ორი უმაღლესი სასწავლებელი, ერთი — დედის ხათრით და მეორე — გატაცებით, რომელიც პროფესიად შერჩა და წლების მანძილზე ღირსეულად უძღვება გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“.

კარგი შესახედაობა, კარგი განათლება, ავტორიტეტი და ლამაზი გოგო — მეუღლედ.

ოჯახის განახლებულმა ბედნიერებამ, შეცვალა 24 წელიწადს ნაერთგულები სამგლოვიარო სამოსი.

ბედნიერების შეგრძნება განამტკიცა ორი ანგელოზის: თამუნასა და ნუცას შემოფრენამ ლასხიშვილების ოჯახში.

„უფროსობა“ მემკვიდრეობით გადაეცა ოჯახის ერთადერთ მამაკაცს — ტატოს.

ამ შინაგანად დახვეწილმა კაცმა როგორ ან რატომ უნდა „ეუფროსოს“ დედა თამილას, მეუღლე მაკას, შვილებს: თამუნას და ნუცკას? თითოეული წევრის სიყვარულით სასოებაში მოდის, ყველასადმი თავის სასიყვარულო მიმართვები აქვს.

ისე გავერთე საყვარელ ოჯახზე „ჭორაობით“, რომ, მგონი, მთავარი დამავიწყდა: ჩემი მეგობარი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამილა ლასხიშვილი იუბილარია. დღეს საშუალება მაქვს თქვენთან ერთად, ჩემო პატივცემულო მკითხველო, მივულოცო ჩემი და თქვენი სახელით პიროვნებას, რომელიც იმსახურებს ჩვენი საზოგადოების გულწრფელ პატივისცემას, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ პრესის ფურცლებზე.

ეს ეხებოდა მის შემოქმედებას: ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში, ტელევიზიაში, რადიოში, ესტრადაზე და სამ ათეულ წელზე მეტი შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში სასცენო მეტყველების პედაგოგად (პროფესორი) მუშაობას.

ქალბატონი თამილა მარტო სასცენო მეტყველებას კი არ ასწავლის მომავალ ხელოვანთ, არამედ მასთან სტუდენტები იზრდებიან... იზრდებიან ყველა სფეროში.

მთავარი ის არის, რომ აღსაზრდელებიც ეწაფებიან ცოდნის ამ წყაროს.

პედაგოგ თამილა ლასხიშვილისა და შეგირდების პიროვნული, შემოქმედებითი ურთიერთობა შედუღაბებულია დიდი პატივისცემითა და სიყვარულით.

ამის ნახვა დიდი სიამოვნებაც არის და დიდი იმედიც...

მეამაყები, ჩემო დაიკო!

რამდენი წლის გახდი, არ ვიტყვი, არ გავამხელ, მე ჩემს დაბადების დღეს და წელს არ ვმალავ. 18 აგვისტოს გავხდები სამოცდათოთხმეტის. შენ ჩემზე 1 წლით და 6 თვით უფროსი ხარ, ვისაც დააინტერესებს შენი საიუბილეო თარიღი, გამოიანგარიშოს.

გისურვებ ყოველივე კარგს შენი ლამაზი ოჯახით.

გკოცნი.

**ზანდა იოსელიანი**

# ეგ არის და გორისციხე!

**გამოიცა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის — ვილენ მარდალეიშვილის წიგნი „რაცა ვარ, ეგა ვარ“ — მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთგვარი ანგარიში ქართული საზოგადოებრიობის წინაშე.**




ეგ არის და — უფრო მეტიც!

ბარაქიანია ავტორივით. აკი თვითონაც წერს: „ეს წიგნი, ადრე გამოცემულ ჩემს რამდენიმე ჟურნალისტურ კრებულთან შედარებით, გაცილებით მოზრდილი და შინაარსითაც მრავალფეროვანია. გულდაგულ შევარჩიე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სხვადასხვა დროს დაბეჭდილი მასალები, რომლებიც, მგონი, დღესაც აქტუალური და ყავლგაუსვლელია“.

დასტურ, ასეა. წონადია.

სინათლის სხივს რომ წონა აქვს, დამტკიცებულია. ვილენ მარდალეიშვილის წიგნს წონა რომ აქვს, ნათელსხივობას ნიშნავს მისას.

ჯერ გმირები ნახეთ მისი ნარკვევების, ესეების, ჩანახატების, ინტერვიუების, სხვაგვარად — რესპონდენტები, და დამერწმუნებით, რომ აქედან მოდის ეს სხივნათელობა. დიდებული ადამიანები ყველა თაობის — ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს უღელგადგმული საღმრთო ხარები. კორიფეები მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, მასშტაბური ფიგურები ცივილიზაციის — მშობლიურის თუ მსოფლიოსი.

სიტყვასა და ფრაზას თუ ეზიარებით ამ წიგნის ავტორის (ეგებ გამოგრჩათ და პერიოდიკის პუბლიკაციებს თვალი ვერ მიადევნეთ), დამეთანხმებით, რომ საფუძვლიანია ჩემეული შეფასება ვილენ მარდალეიშვილის შემოქმედების სხივნათელობის შესახებ.

თუ ჟურნალისტს შესწევს პოტენცია, გადალახოს მწერლობისგან გამმიჯვნელი ზღვარი, — ვილენისთანას მხოლოდ.

ნათელიაო, ვთქვი, ტკივილიანიცაა მისი ნაწერები ამასთან ერთად, მწარეც, პირდაპირი და ვაჟკაცურად გაუტეხელი. „არამარტო ტკბილ ხმათათვის“ მოიხმობს დიდებულ აჩრდილს და მოგვიყვება თუნდაც ერთი პატარა, „ჩემი ბავშვობის მდინარის“ ამბავს, რომელიც „მოწმეა ქართველთა სირეგვნის“.

ვილენი ბევრი რამის მომსწრეა.

**არმაზ სანებლიძე**


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი

www.saqinform.ge



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net